

სამართლებრივი აქტები და რეგულაციები ადვოკატის პროფესიის შესახებ



COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

სამართლებრივი აქტები და რეგულაციები აღვოკათის პროფესიის შესახებ

SUPPORT TO THE JUDICIAL
REFORM IN GEORGIA



საპარტულ რეფორმის
შედეგად სამართლებრივი

კრებულზე მუშაობდნენ:

*მაზა ხატიაშვილი,
დავით ასათიანი,
ირაკლი ყანდაშვილი,
ციცინო ცხვედიანი,
ინგა ნებიერიძე,
თინათინ ქარსელაძე,
ეკა ხიმშიაშვილი,
ბელა ბაშარაძე.*

კრებულში მოცემულია დოკუმენტები 2017 წლის 01
სექტემბრის მდგომარეობით.

პუბლიკაცია იბეჭდება ევროპის საბჭოს პროექტის
- „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა
საქართველოში“ - ფარგლებში. აღნიშნული პროექტი
ფინანსდება ბულგარეთის, ლიხტენშტეინის სამეფოს,
ლიტვის, ნორვეგიის, სლოვაკეთისა და შვედეთის
კეთილი ნების შემოწირულობებით, რისი მიზანიცაა
ევროპის საბჭოს 2016-2019 წლების სამოქმედო
გეგმის განხორციელება

© Council of Europe / GBA 2016; საავტორო
უფლებები დაცულია

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
საქართველოს კანონი აღვოკადთა შესახებ	8
თავი I - ზოგადი დებულებანი	8
თავი II - ადვოკატის ზოგადი უფლებები და მოვალეობები	9
თავი III - ადვოკატი	12
თავი IV - ადვოკატის სტაჟიორი. ადვოკატის თანაშემწე	14
თავი V - საადვოკატო საქმიანობის ორგანიზება	15
თავი VI - ადვოკატთა ასოციაცია	16
თავი VII - ადვოკატის პასუხისმგებლობა	27
თავი VIII - ადვოკატის სამართლებრივი დაცვა	29
თავი IX - ადვოკატის მანტია	30
თავი X - გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი	30
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	
„საქართველოს აღვოკადთა ასოციაცია“	36
წესდება (ახალი რედაქციით)	36
თავი I - ზოგადი დებულებები	37
თავი II - მიზნები, ფუნქციები და საქმიანობა	38
თავი III - ასოციაციის წევრობა	39
თავი IV - ასოციაციის მართვა	41
თავი V - ასოციაციის ფიზიკის კომისია	52
თავი VI - სარევიზიო კომისია	56
თავი VII - ასოციაციის ქონება	59
თავი VIII - საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება	60
თავი IX - ასოციაციის გაუქმება და რეორგანიზაცია	62
თავი X - გარდამავალი დებულებები	63
ს.ს.ი.პ. „საქართველოს აღვოკადთა ასოციაცია“	64
აღვოკადთა პროფესიული ეთიკის კოდექსი	64
თავი I - ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპები	64
თავი II - ადვოკატის ურთიერთობა სხვა პირებთან და ინსტიტუტებთან	67
თავი III - დასკვნითი დებულებები	71
დებულება აღვოკადთა დისციპლინური	
პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების	
შესახებ	72
თავი I - ზოგადი დებულებები	72
თავი II - ფიზიკის კომისიის სტრუქტურა	74
თავი III - დისციპლინური წარმოება	75
თავი IV - საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინური წარმოების თავისებურებები	84
თავი V - განხილვის კოლეგიის მიერ დისციპლინური წარმოების თავისებურებები	86

თაპი VI - ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური წარმოების თავისებურებები	89
თაპი VII - გასაჩივრების წესი	89
თაპი VIII - რეკომენდაციების გაცემა.....	90

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება ადვოკატის ორდერის ნიშნის დაბეჭდვის შესახებ.....	94
---	----

განგრძობადი იურიდიული განათლების წესები	96
---	----

გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ.....	101
ადვოკატისა და იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა.....	103
სპეციალური გარანტიები სისხლის სამართალწარმოებაში.....	103
კვალიფიკაცია და მომზადება.....	104
მოვალეობები და პასუხისმგებლობები.....	105
ადვოკატის საქმიანობის გარანტიები	106
აზრის გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლება.....	107
ადვოკატთა პროფესიული გაერთიანებები.....	107
დისციპლინური პროცედურები.....	108

2006 წლის 25 ნოემბერს ევროპის ადვოკატთა ასოციაციისა და სამართლის საბჭომ (CCBE) ერთსულოვნად დაამტკიცა „ევროპაში იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტია“	109
---	-----

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება N2/10/256	114
---	-----

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება N1/5/323	125
--	-----

წინასიტყვაობა

ადვოკატის პროფესიას საქართველოში მდიდარი ისტორია და ტრადიციები აქვს. სასამართლოს დარბაზებში ადვოკატები მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან გამოჩნდნენ და თავდაპირველად მათ ნაფიც რწმუნებულებს უწოდებდნენ. ადვოკატთა პირველი გაერთიანებებიც სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის და შემდგომ, საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში, ქართველი ადვოკატები ყოველდღიურად იბრძოდნენ თავიანთი კლიენტების უფლებათა დასაცავად და წარმატებებსაც აღწევდნენ. ისეთი სახელების ხსენებაც კმარა, როგორიცაა: ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი, შალვა ალექსი-მესხიშვილი, გურამ უგრეხელიძე, ვაპიტონ ბაქრაძე, ვლადიმერ (ლადო) ბარათაშვილი, ჯამბაკურ ბაქრაძე და სხვები, რომლებიც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ქართული საადვოკატო სკოლის ფუძემდებლებად.

თანამედროვე საქართველოს ადვოკატურის დასაწყისად 2001 წლის 20 ივნისი შეიძლება ჩათვალოს, როცა საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ადვოკატთა შესახებ“ და ამით საფუძველი დაუდო საქართველოს ადვოკატთა ერთიანი ორგანიზაციის, როგორც საჯარო სამართლის კორპორაციის შექმნას.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია 2005 წელს დაფუძნდა და მალევე მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. პირველმა დამფუძნებელმა კრებამ ყველას დაანახა, რომ ადვოკატთა კორპუსი თავისუფლებისმოყვარე იურისტთა ერთობაა, რომელიც დამოუკიდებლად წარმართავდა საკუთარ საქმიანობას. ეს დამოუკიდებულება პირველ კრებაზე მიღებულ პრინციპულ გადაწყვეტილებებშიც გამოიხატა. ადვოკატთა ასოციაციის დაფუძნებიდან მოკლე დროში, თავი იჩინეს ერთიანი და ძლიერი ადვოკატურის მონინალმდევებმა - მათ აქტიურად დაიწყეს რამდენიმე ასოციაციის ჩამოყალიბების იდეის განხილვა, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობისა და თვითრეგულირების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან. რამდენიმე იურისტმა სარჩელითაც კი მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ერთიანი ასოციაციის პრინციპის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა.

საბედნიეროდ, ადვოკატთა კორპუსის უდიდესი ნაწილის მტკიცე პოზიციისა და საერთაშორისო პარტნიორების აქტიური მხარდაჭერით, ადვოკატთა

ასოციაციის დანაწევრებისა და კორპუსის დაქსაქსვის იდეა დამარცხდა - ერთიანი, დამოუკიდებელი და თვითმმართველი ადვოკატთა ორგანიზაცია რეალობად იქცა.


2017 წლის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში ემონაწილეობდი, როგორც ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი. ჩვენი დიდი მცდელობითა და საკონსტიტუციო კომისიის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით, საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტში გაჩნდა მნიშვნელოვანი ჩანაწერი ადვოკატის პროფესიული გარანტიების შესახებ. კერძოდ, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: „დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში - წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.“

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დაფუძნების შემდეგ, დამტკიცდა ასოციაციის წესდება, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, დებულება დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ, ასოციაციის სიმბოლიკა, ადვოკატის ორდერის ნიმუში და ადვოკატის პროფესიის მარეგულირებელი სხვა აქტები, რომლებიც წინამდებარე კრებულშია თავმოყრილი.

კრებული, რომელშიც კონსოლიდირებულია ადვოკატის პროფესიასთან დაკავშირებული რეგულაციები, განკუთვნილია პრაქტიკოსი ადვოკატებისათვის. იგი საინტერესო იქნება აგრეთვე იურისტების, სამართლის მკვლევართა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

დავით ასათიანი

*საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ალმასრულებელი საბჭოს წევრი
საერთაშორისო ურთიერთობათა მდივანი*



ადვოკატის ფიცი

*ვფიცავ, ვიყო სამართლიანობის იდეების ერთგული,
კეთილსინდისიერად და პირნათლად შევასრულო ადვოკატის
მოვალეობები, დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და
კანონები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი,
ადამიანის უფლებები და თავისუფლებები!*

საქართველოს კანონი

ადვოკატთა შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ადვოკატი

- საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი.
- ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და განწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. (29.12.2004 N 970)

მუხლი 2. საადვოკატო საქმიანობა

(24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)

საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე

გვერდი 8 ► სამართლებრივი აქტები და რეგულაციები ადვოკატის პროფესიის შესახებ

პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

მუხლი 3. საადვოკატო საქმიანობის პრინციპები

საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია:

- ა) კანონიერება;
- ბ) საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა;
- გ) ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- დ) საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა;
- ე) ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა;
- ვ) ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ზ) ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა;
- თ) ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

თავი II ადვოკატის ზოგადი უფლებები და მოვალეობები

მუხლი 4. ადვოკატის უფლებები

1. ადვოკატს უფლება აქვს:

- ა) წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან; (24.09.2010 N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)
- ბ) კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები;
- გ) დაუბრკოლებლად, ნებისმიერ დროს და კონტროლის გარეშე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი

წესით, პირისპირ შეხვდეს დაკავებულ, დაპატიმრებულ ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებში მოთავსებულ პირს, იქონიოს მასთან მიმოწერა;

დ) ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

2. ადვოკატის საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით.

მუხლი 5. ადვოკატის მოვალეობები (17.11.2009 N 2040)

ადვოკატი ვალდებულია:

- ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები;
- ბ) ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;
- გ) არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები;
- დ) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება;
- ე) შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ;
- ვ) მონაწილეობა მიიღოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ განცხადებადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამაში.
- ზ) „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცნობის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის აღნიშნული კანონითა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტით დადგენილი ფორმითა და წესით წარდგენას. (27.11.2013. N1639)

მუხლი 6. კლიენტის ინტერესების დაცვა

- 1. ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.
- 2. ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.

მუხლი 7. პროფესიული საიდუმლოება

1. ადვოკატი ვალდებულია:
 - ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;
 - ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.
- 1₁. ადვოკატი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმას აგზავნის იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშგების ფორმის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს. (27.11.2013. N1639)
2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 8. ინტერესთა შეუთავსებლობა

1. ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.
2. ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ.
3. დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მონმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 9. ადვოკატის დამღვევა

ადვოკატი ვალდებულია კლიენტისათვის შესაძლო მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, კანონით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა.

მუხლი 10. მოთხოვნები ადვოკატისადმი (29.12.2004 N 970)

1. ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც:
 - ა) აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება;
 - ბ) გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ამ კანონით დადგენილი წესით ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა (პროკურატურის მუშაკთა) საკვალიფიკაციო გამოცდა; (22.06.2007 N 5029)
 - გ) აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.
2. ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევე პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება პირზე, რომელსაც ეკავა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობა. (13.09.2011 N5036)

მუხლი 11. ადვოკატთა ტესტირება

1. ტესტირების გავლის უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ნებისმიერ პირს.
2. ტესტირება ტარდება წელიწადში ორჯერ. ტესტირების ჩატარების წესს, პროგრამას ამტკიცებს და თარიღს განსაზღვრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, ხოლო ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის დებულებას – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. (25.11.2005 N 2155)
3. ტესტირება არის საერთო ან სპეციალიზაციის მიხედვით.

4. ადვოკატების სპეციალიზაცია ხდება სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის დარგებში.
5. საერთო ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში:
 - ა) საკონსტიტუციო სამართალი;
 - ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;
 - გ) ადმინისტრაციული სამართალი;
 - დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
 - ე) სისხლის სამართალი;
 - ვ) სისხლის სამართლის პროცესი;
 - ზ) სამოქალაქო სამართალი;
 - თ) სამოქალაქო სამართლის პროცესი.
6. სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში:
 - ა) საკონსტიტუციო სამართალი;
 - ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;
 - გ) ადმინისტრაციული სამართალი;
 - დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
 - ე) სამოქალაქო სამართალი;
 - ვ) სამოქალაქო სამართლის პროცესი.
7. სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში:
 - ა) საკონსტიტუციო სამართალი;
 - ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;
 - გ) ადმინისტრაციული სამართალი;
 - დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
 - ე) სისხლის სამართალი;
 - ვ) სისხლის სამართლის პროცესი.
8. ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს.
9. ტესტირება ტარდება სახელმწიფო ენაზე.
10. ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში პირი იღებს ადვოკატთა ტესტირების გავლის დამადასტურებელ მოწმობას.
11. ადვოკატთა ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა ძალას კარგავს, თუ პირი ტესტირების გავლიდან 7 წლის განმავლობაში არ დაინიშნებს საადვოკატო საქმიანობას.

მუხლი 12. ამოღებულია (29.12.2004 N 970)

მუხლი 13. ამოღებულია (29.12.2004 N 970)

მუხლი 14. ამოღებულია (29.12.2004 N 970)

მუხლი 15. ამოღებულია (29.12.2004 N 970)

თავი IV

აღვოკატის სტაჟიორი. აღვოკატის თანაშემწე

მუხლი 16. ადვოკატის სტაჟიორი

1. ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულმა პირმა, რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში, განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს. ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო იღებს გადაწყვეტილებას პირის სტაჟიორად გამწესების შესახებ და ამ გადაწყვეტილებას არა უგვიანეს 5 დღისა აცნობებს შესაბამის ადვოკატთა ასოციაციას. (22.06.2007 N 5029)
2. საადვოკატო სტაჟირების პერიოდი შედის შრომის საერთო და პროფესიული საქმიანობის სტაჟში.
3. სტაჟიორი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი ადვოკატის დავალებით ახორციელებს მის უფლებამოსილებებს.
4. სტაჟიორი არ შეიძლება დაიკითხოს მონაწილე იმ საკითხზე, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. მასზე ვრცელდება ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 17. ადვოკატის თანაშემწე

1. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით ადვოკატმა შეიძლება აიყვანოს თანაშემწე. იგი არ სარგებლობს ადვოკატის უფლებებით და არ დაიშვება სამართალწარმოებაში, სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და

ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)

2. ადვოკატის თანაშემწეს უფლება აქვს, შესაბამისი ადვოკატის თანდასწრებით ან მისი დავალებით, ადვოკატის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული ნებართვის საფუძველზე გაეცნოს მის წარმოებაში არსებული საქმის მასალებს სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში. (24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)
3. ადვოკატის თანაშემწე არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ იმ საკითხზე, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. მასზე ვრცელდება ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.

თავი V

საადვოკატო საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 18. საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

1. ადვოკატს უფლება აქვს, საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად შექმნას საადვოკატო ბიურო ამხანაგობის ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეწარმეო იურიდიული პირის სახით. (17.11.2009 N 2040)
2. საადვოკატო ბიუროს შექმნის შესახებ ინფორმაცია მისი შექმნიდან 10 დღის ვადაში უნდა წარედგინოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს. ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს საადვოკატო ბიუროს მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ბიუროში გაერთიანებული ადვოკატის (ადვოკატების) ვინაობა და სამართლის ის დარგი, რომელშიც ადვოკატი (ადვოკატები) ახორციელებს (ახორციელებენ) საადვოკატო საქმიანობას.
3. საადვოკატო ბიუროს ორგანიზებისა და მუშაობის წესს და სტრუქტურას განსაზღვრავს ბიურო.

მუხლი 19. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველი

1. ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე.
2. გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მონმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი. (24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)
- 2₁. იმ შემთხვევაში, თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი საწესდებო მიზნების მისაღწევად ახორციელებს უფასო იურიდიული დახმარების საგრანტო ან სახელმწიფო პროგრამას, მას უფლება აქვს ადვოკატთან ხელშეკრულების საფუძველზე გასცეს ორდერი. (29.12.2006 N4332)
3. ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავენ და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

თავი VI

ადვოკატთა ასოციაცია (29.12.2004 N 970)

მუხლი 20. ადვოკატთა ასოციაციის სტატუსი (29.12.2004 N 970)

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის პირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
2. ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები განისაზღვრება ასოციაციის წესდებით.
3. ადვოკატთა ასოციაციაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო წინადადება და მე-11 მუხლი. (17.11.2009 N 2040)

მუხლი 21. ადვოკატთა ასოციაციაში განწვერიანება (29.12.2004 N 970)

1. ადვოკატთა ასოციაციაში განწვერიანებისათვის პირი განცხადებით მიმართავს ადვოკატთა ასოციაციას. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას პირის ადვოკატთა ასოციაციაში განწვერიანების ან განწვერიანებაზე უარის თქმის შესახებ. (17.11.2009 N 2040)
2. პირმა ასოციაციას უნდა წარუდგინოს შემდეგი მონაცემები:
 - ა) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი;
 - ბ) საცხოვრებელი ადგილის და საადვოკატო ბიუროს მისამართები, საკონტაქტო ტელეფონი;
 - გ) სპეციალიზაცია, თუ მას ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით.
- 2¹. ადვოკატთა ასოციაციას უნდა წარუდგინოს ინფორმაცია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების შესახებ მისი წარმოშობიდან 2 კვირის ვადაში. (17.11.2009 N 2040)
- 2². ადვოკატთა ასოციაციის წევრების საერთო სიის ორგანიზების ინტერესიდან გამომდინარე, დამატებითი მონაცემების (მათ შორის, მონაცემების ცვლილებების) წარდგენის წესი და პირობები განისაზღვრება ასოციაციის წესდებით. (17.11.2009 N 2040)
3. ადვოკატთა ასოციაციაში განწვერიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძვლებია:
 - ა) იგი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
 - ბ) მის მიერ ტესტირების გავლიდან გასულია 7 წელი;
 - გ) მას შეწყვეტილი აქვს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა ამ კანონის 213 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და წევრობის შეწყვეტიდან არ გასულა 3 წელი.
- 3¹. ადვოკატთა ასოციაციაში განწვერიანებისათვის ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება პირზე, რომელსაც ევავა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობა. (13.09.2011. N5036)
4. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს უარი ასოციაციაში განწვერიანებაზე შეიძლება უარის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

5. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ადვოკატთა ასოციაციის წევრების საერთო სიას აქვეყნებს ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისათვის. (17.11.2009 N 2040)

მუხლი 21¹. ადვოკატის ფიცი (29.12.2004 N 970)

1. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისათვის პირი ვალდებულია დადოს შემდეგი ფიცი: „ვფიცავ, ვიყო სამართლიანობის იდეების ერთგული, კეთილსინდისიერად და პირნათლად შევასრულო ადვოკატის მოვალეობები, დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები!“. (17.11.2009 N 2040)
2. თუ პირი თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე უარს ამბობს ფიცის დადებაზე, იგი ფიცის ნაცვლად წერს განცხადებას, რომლითაც ადასტურებს, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებს ამ კანონით დადგენილ ადვოკატის მოვალეობებს.
3. ფიცის (განცხადების) ტექსტს ხელს აწერს პირი და იგი ინახება მის პირად საქმეში.
4. ფიცის დადების (განცხადების დაწერის) შემდეგ პირი იძენს ადვოკატის სტატუსს და იღებს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობას, რომლითაც იგი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას.

მუხლი 21². ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეუჩერება (29.12.2004 N 970)

1. ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 213 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით:
 - ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
 - ბ) ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
 - გ) ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წევრობის შეჩერების შემთხვევაში ადვოკატი თავისუფლდება ადვოკატთა ასოციაციის საწევრო გადასახადის გადახდისგან და ეკრძალება ასოციაციის საქმიანობაში მონაწილეობა.
3. ადვოკატს წევრობა აღუდგება შესაბამისი განცხადების შეტანის ანდა ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ან ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში.
4. პირს, რომელსაც ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად არ შეუძლია გახდეს ადვოკატი და აკმაყოფილებს მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, უფლება აქვს მიმართოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს განწევრიანების თაობაზე. ასეთ პირს განწევრიანებისთანავე შეუჩერდება წევრობა.
5. პირს, რომელსაც შეჩერებული აქვს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 21³. ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა (29.12.2004 N 970)

1. ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება:
 - ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
 - ბ) ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან/და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
 - გ) თუ სასამართლომ ცნო შემლუღულქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ, აღიარა უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
 - დ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მძიმე დანაშაულისათვის;
 - ე) ამოღებულია (4.07.2007 N5209)
 - ვ) თუ ცნობილი გახდა, რომ იგი არ აკმაყოფილებდა ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რისი დროულად აღმოჩენაც გამოიწვევდა ადვოკატთა ასოციაციაში განწევრიანებაზე მისთვის უარის თქმას;
 - ზ) თუ არ იხდის საწევრო გადასახადს;
 - თ) გარდაცვალების შემთხვევაში.
2. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით,

ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატისათვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ, ხოლო „ა“, „გ“, „დ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირობებს იღებს ცნობად. (4.07.2007 N5209)

3. გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ადვოკატს პირადად ან იმავე ვადაში უნდა გაეგზავნოს მას, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეჩერდება ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება ადვოკატისათვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 22. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკას ამტკიცებს ასოციაციის საერთო კრება აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 23. ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა

1. ადვოკატთა ასოციაციაში ამ კანონით განსაზღვრულ ფუნქციათა შესასრულებლად იქმნება: ა) აღმასრულებელი საბჭო; ბ) ეთიკის კომისია; გ) სარევიზიო კომისია.
2. ადვოკატთა ასოციაცია უფლებამოსილია თავისი ფუნქციების შესასრულებლად შექმნას სხვა სტრუქტურული დანაყოფებიც, რომელთა საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება შესაბამის დანაყოფთა დებულებებით. თითოეულ დანაყოფს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან იქმნება ადვოკატთა სასწავლო ცენტრი, რომელიც ახორციელებს ადვოკატთა პროფესიულ გადამზადებას. ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესი განისაზღვრება ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით. (17.11.2009 N 2040)

**მუხლი 24. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება
(17.11.2009 N 2040)**

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. საერთო კრება იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ და იგი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ასოციაციის არანაკლებ 800 წევრისა. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში 2 კვირის ვადაში მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.
2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით:
 - ა) ამტკიცებს ასოციაციის წესდებსა და შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;
 - ბ) ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით;
 - გ) ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსსა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებას;
 - დ) ისმენს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეთა ანგარიშებს განეული საქმიანობის შესახებ;
 - ე) აწესებს სანევრო გადასახადის ფიქსირებულ ოდენობას.

**მუხლი 25. ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისა და რიგგარეშე კრების მოწვევის წესი
(29.12.2004 N 970)**

ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისა და რიგგარეშე კრების მოწვევის წესი განისაზღვრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებით.

მუხლი 26. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო (17.11.2009 N 2040)

1. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი ორგანოა აღმასრულებელი საბჭო, რომლის სხდომა იმართება სულ მცირე თვეში ერთხელ.
2. აღმასრულებელი საბჭოს წევრისთვის საბჭოს სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.
3. აღმასრულებელი საბჭო შედგება 12 წევრისაგან, რომელთაგან 11 წევრს 4 წლის ვადით ირჩევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიითი შემადგენლობიდან, ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით.
4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოში.
5. აღმასრულებელი საბჭოს წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.
6. აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო:
 - ა) კოლეგიურად ახორციელებს ასოციაციის ხელმძღვანელობას;
 - ბ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის ბიუჯეტს;
 - გ) ამტკიცებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის დებულებას;
 - დ) ამტკიცებს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესს;
 - ე) განსაზღვრავს ადვოკატთა განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამას და მისი შესრულების წესს;
 - ვ) ამტკიცებს ასოციაციის მომდევნო წლის ხარჯთაღრიცხვას;
 - ზ) გამოყოფს სახსრებს ასოციაციის საჭიროებისათვის, ადგენს სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ოდენობებს;
 - თ) წელიწადში ერთხელ საჯაროდ აქვეყნებს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;
 - ი) არსებული მონაცემების საფუძველზე, ამ კანონით დადგენილი წესით ორგანიზებას უწევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების საერთო სიის შედგენას, მასში ცვლილებების შეტანას და მის გამოქვეყნებას;

- კ) კოორდინაციას უწევს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამტკიცებს ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესსა და პროგრამას, განსაზღვრავს ტესტირების ჩატარების თარიღს;
- ლ) ორგანიზებას უწევს ადვოკატთა მიერ ფიცის დადებას;
- მ) აღასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადანაცვეტილებებს;
- ნ) ამტკიცებს ასოციაციის სამტატო განრიგს, ასოციაციის თავმჯდომარისა და სხვა დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობებს;
- ო) ამტკიცებს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობისა და ადვოკატის ორდერის ნიმუშს;
- პ) ამყარებს საერთაშორისო კავშირებს და ამ ურთიერთობებში არის ასოციაციის წარმომადგენელი;
- ჟ) აწარმოებს ადვოკატთა და მათ სტაჟიორთა პირად საქმეებს;
- რ) ორმხრივი თხოვნის საფუძველზე არის ასოციაციის მოდავე წევრების ან წევრებისა და მათი კლიენტების მომრიგებელი;
- ს) გამოსცემს ადვოკატთა საინფორმაციო ბიულეტენს ან სხვა პერიოდულ გამოცემას;
- ტ) ასოციაციის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს თავმჯდომარის უფლებამოსილებების დროებით განსახორციელებლად;
- ტ¹) „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად ირჩევს იურიდიული დახმარების საბჭოს 3 წევრს; (13.12.2013 N 1780)
- უ) ახორციელებს ამ კანონითა და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ განეკუთვნება ასოციაციის სხვა ორგანოების კომპეტენციას.

მუხლი 261. იურიდიული დახმარების საბჭოს წევრის არჩევის წესი (13.12.2013 N 1780)

1. იურიდიული დახმარების საბჭოს 3 წევრს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისაგან ირჩევს აღმასრულებელი საბჭო. კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრისმიერ წევრს.
2. იურიდიული დახმარების საბჭოში ადვოკატთა ასოციაციის წევრის წარსადგენად აუცილებელია მისი წინასწარი თანხმობა.

3. თუ კენჭისყრის შედეგად ხმათა საჭირო რაოდენობა ასარჩევზე ნაკლები რაოდენობის კანდიდატმა მიიღო, იმ კანდიდატებს, რომლებმაც ვერ მიიღეს ხმათა საჭირო რაოდენობა, ხელახლა ეყრებათ კენჭი. არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატების ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად. ამასთანავე, კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 1/3-ზე ნაკლები.
4. თუ კენჭისყრის შედეგად ხმათა საჭირო რაოდენობა ასარჩევზე მეტი რაოდენობის კანდიდატმა მიიღო, არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატების ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად.

მუხლი 27. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე

1. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 4 წლის ვადით, კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. (17.11.2009 N 2040)
2. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს ასოციაციას.
3. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე შრომის ანაზღაურებას იღებს ასოციაციის სახსრებიდან და მას თავისი უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში ეკრძალება საადვოკატო საქმიანობა. (17.11.2009 N 2040)

მუხლი 28. ეთიკის კომისია (17.11.2009 N 2040)

1. ეთიკის კომისია შედგება 15 წევრისაგან, რომელთაგან არანაკლებ 12 ადვოკატია. ეთიკის კომისიის წევრებს 4 წლის ვადით ირჩევს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით.
2. ეთიკის კომისიის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.
3. ეთიკის კომისიის ადვოკატი წევრი უნდა იყოს 30 წელს მიღწეული პირი არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილებით.

4. ეთიკის კომისია დამოუკიდებელია და თავის საქმიანობას ახორციელებს ამ კანონის შესაბამისად და პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე.
5. ეთიკის კომისიის წევრის ხელახლა არჩევა შეიძლება მხოლოდ ერთხელ.
6. ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც იმავდროულად უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.
7. ეთიკის კომისია ამონმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.
8. ანონიმური წერილები და შეტყობინებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას.
9. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 29. სარევიზიო კომისია (17.11.2009 N 2040)

1. სარევიზიო კომისია იქმნება ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, აღმასრულებელი მდივნისა და მათ მიერ დანიშნული (დამტკიცებული) პირების მიერ ამ კანონისა და ასოციაციის წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით.
2. სარევიზიო კომისია შედგება ასოციაციის საერთო კრების მიერ 4 წლის ვადით არჩეული 5 წევრისაგან.
3. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.
4. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს კომისიის წევრთაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით ირჩევს თავად კომისია.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფინანსო საქმიანობის შემოწმების მიზნით სარევიზიო კომისია ვალდებულია კონკურსის წესით ყოველწლიურად შეარჩიოს და მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 30. აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრად ადვოკატის არჩევის შემჯდვა

1. ადვოკატი არ შეიძლება არჩეულ იქნეს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრად, თუ:
 - ა) შეუსრულებელი აქვს სასამართლო წესით დაკისრებული ქონებრივი ვალდებულება;
 - ბ) ბრალდებულის სახით მიცემულია სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში;
 - გ) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დადებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი ან უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შეჩერებული ჰქონდა ასოციაციის წევრობა. (29.12.2004 N 970)
2. ასოციაციის თავმჯდომარის ანდა აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრის ზედიზედ არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 31. ადვოკატისთვის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. ადვოკატს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილება უწყდება:
 - ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
 - ბ) საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერების შემთხვევაში;
 - გ) უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, ახალი წევრის არჩევისთანავე; (17.11.2009 N 2040)
 - დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში. (29.12.2004 N 970)
2. თუ ადვოკატს ვადაზე ადრე უწყდება აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილება, მაშინ უახლოეს საერთო კრებაზე, უფლებამოსილების დარჩენილი ვადით აირჩევა ახალი წევრი. თუ აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის

ან სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობა ნახევარზე ნაკლები აღმოჩნდა, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული საერთო კრება ახალი წევრების ასარჩევად.

თავი VII

აღვოკატის პასუხისმგებლობა

მუხლი 32. ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები

1. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება:
 - ა) ამ კანონის მე-5–მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის;
 - ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.
2. ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი. (17.11.2009 N 2040)

მუხლი 33. ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა

ადვოკატის მიმართ დისციპლინურ დევნას აღძრავს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია. ეთიკის კომისია ინფორმაციის შემოსვლიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას დევნის აღძვრის ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 34. ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეები. ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებები

1. ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია:
 - ა) გაფრთხილება;
 - ბ) სააადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით;
 - გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. (29.12.2004 N 970)

2. ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია:
 - ა) კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა;
 - ბ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. (29.12.2004 N 970)

მუხლი 35. ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დადების წესი

1. ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების საკითხი ეთიკის კომისიის სხდომაზე განიხილება კოლეგიურად, კომისიის 3 წევრის შემადგენლობით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ან ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საკითხს განიხილავს ეთიკის კომისია არანაკლებ 12 წევრის შემადგენლობით. აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ეთიკის კომისიის არანაკლებ 10 წევრის ხმა. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში იგი დაერთვის გადაწყვეტილებას. (17.11.2009 N 2040)
2. ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ადვოკატს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გამოთქვას აზრი ზეპირად ან წერილობით, გამოითხოვოს და წარმოადგინოს მტკიცებულებები და სრულად ისარგებლოს დაცვის უფლებით. (17.11.2009 N 2040)
3. ეთიკის კომისიის სხდომა დახურულია, ხოლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.
4. ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საკითხის განხილვა გადაიდება 10 დღით. ამასთან, ადვოკატის არასაპატიო მიზეზით, ხელმეორედ გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის განხილვას.
5. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ადვოკატს პირადად, ხოლო მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში იმავე ვადაში უნდა გაეგზავნოს მას.
6. ადვოკატს უფლება აქვს მისთვის გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან 1 თვის ვადაში გაასაჩივროს იგი უზენაეს სასამართლოში.

მუხლი 351. სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობა (29.12.2006 N4332)

სასამართლო უფლებამოსილია სახელმწიფოს ხარჯზე მოწვეული ადვოკატის არასაპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობის ან დაცვის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში წარდგინებით მიმართოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გატარების მოთხოვნით.

მუხლი 36. ადვოკატის პასუხისმგებლობა

ადვოკატს სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საერთო წესით.

მუხლი 37. ადვოკატის წახალისება

ადვოკატის წარმატებული საქმიანობისათვის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით ასოციაციის საერთო კრებამ შეიძლება დაადგინოს ადვოკატთა წახალისების ფორმები და წესი.

თავი VIII

ადვოკატის სამართლებრივი დასვა

მუხლი 38. ადვოკატის სამართლებრივი დაცვა

1. ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მასში ჩარევა დაუშვებელია.
2. ადვოკატები თანასწორნი არიან კანონის წინაშე.
3. არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მონაწილეობა იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი).
4. ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

5. ამოღებულია (20.04.2005 N 1364)
6. კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან.
7. ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებული საუბრის მიყურადება და ჩანერა დაუშვებელია, ხოლო მათ შორის მიმოწერა –ხელშეუხებელი.
8. ადვოკატის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე განხილულ უნდა იქნეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ განსჯადობის მიხედვით. (20.04.2005 N 1364)

თავი IX ადვოკატის მანტია

მუხლი 39. ადვოკატის მანტია

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო და საერთო იურისდიქციის სასამართლოებში საქმის განხილვისას ადვოკატისათვის შეიძლება შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული ჩაცმულობა – მანტია.
2. ადვოკატის მანტიის ფორმას ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით.

თავი X ბარდამაშალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 40. ადვოკატთა ტესტირება გარდამავალ პერიოდში

1. ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. (29.12.2004 N 970)

2. ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის არანაკლებ ნახევარს შეადგენენ საქართველოს ადვოკატთა და იურისტთა სხვა გაერთიანებების (საადვოკატო ფირმა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ა.შ.) წარმომადგენლები. (14.12.2006 N3980)
3. ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის წესს, ტესტირების პროგრამას, აგრეთვე ტესტირების ჩატარების წესსა და ვადებს საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.
4. პირებს, რომლებსაც გავლილი არა აქვთ ადვოკატთა ტესტირება და მიღებული არა აქვთ ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობები, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და ორგანიზაციების თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე. (29.12.2006 N4332)

მუხლი 41. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში განწევრიანება ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე (29.12.2004 N 970)

1. ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში განწევრიანების მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.
2. ტესტირებაგავლილ პირთა სიას ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 42. ადვოკატთა ასოციაციის პირველი საერთო კრება და ადვოკატთა ტესტირება (29.12.2004 N 970)

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირველი ორი ტესტირების ჩატარების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 2005 წლის 1 მარტისა მოიწვევს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელ კრებას. დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც:

- ა) წერილობით გამოთქვამს სურვილს, განეწიანდეს ადვოკატთა ასოციაციაში, და შესაბამისად წარადგენს განცხადებას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არა უგვიანეს 2005 წლის 31 იანვრისა;
- ბ) აკმაყოფილებს ამ კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.
2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო შემოსული განცხადებების საფუძველზე ადგენს და 2005 წლის 15 თებერვლამდე აქვეყნებს დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა სიას. განმცხადებელი, რომელიც არ იქნება შეყვანილი დამფუძნებელ კრებაში მონაწილეთა სიაში, უფლებამოსილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანაცვეტილება გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში.
 3. დამფუძნებელი კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება იმ პირთა ნახევარზე მეტი, რომლებსაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ დამფუძნებელ კრებაში და რომლებმაც ადვოკატის ფიცი დადეს კანონით განსაზღვრული წესით. დამფუძნებელ კრებაზე გადანაცვეტილებები, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. დამსწრე წევრთა რაოდენობა დაითვლება ყოველი კენჭისყრის წინ. (25.11.2005 N 2155)
 4. დამფუძნებელ კრებას ხსნის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. დამფუძნებელ კრებას თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება დამსწრე უხუცესი წევრი.
 5. უხუცესი წევრი კითხულობს ადვოკატის ფიცს. ტექსტის წაკითხვის შემდეგ დამსწრე წევრები წარმოთქვამენ „ვფიცავ“ და ხელს აწერენ ფიცის ტექსტს. პირი, რომელიც თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე უარს ამბობს ფიცის დადებაზე, წერს განცხადებას.
 6. დამფუძნებელი კრება ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას 11 წევრის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან. ხმის დამთვლელი კომისია უზრუნველყოფს დამფუძნებელ კრებაზე ასარჩევი ხელმძღვანელი პირებისა და ორგანოების წევრობის კანდიდატთა დასახელებული კანდიდატურების ბიულეტენებში შეტანას და საერთო კრების წევრთათვის ბიულეტენების დარიგებას.
 7. დამფუძნებელი კრების ნებისმიერ მონაწილეს აქვს უფლება, დაასახელოს ასოციაციის თავმჯდომარეობის, აღმასრულებელი საბჭოს წევრობის, ეთიკის კომისიის წევრობის, სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატთა კანდიდატურები.

8. ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება დასახელებული იქნეს როგორც აღმასრულებელი საბჭოს, ისე ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატად.
9. ასარჩევ ორგანოში დასახელებული ყოველი კანდიდატი საჭაროდ, საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე აცხადებს თავის თანხმობას კანდიდატად კენჭისყრაზე. თუ რომელიმე პირი დასახელებული იქნება ერთდროულად ორივე ან სამივე ორგანოს წევრობის კანდიდატად, მაშინ იგი განაცხადებს საკუთარ სურვილს და თანხმობას მხოლოდ ერთი ორგანოს წევრობის კანდიდატად კენჭისყრაზე და შესაბამისად საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე მისი კანდიდატურა შეიტანება მხოლოდ ერთ ბიულეტენში.
10. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კენჭისყრაში მონაწილე წევრთა მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ 35 ხმისა. თანაბარი რაოდენობის ხმათა მიმღებ კანდიდატებს შორის, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო კანონით გათვალისწინებული ორგანოს წევრთა რაოდენობა, კენჭი განმეორებით ეყრება უკეთესი შედეგის მქონე, მაგრამ 35 ხმაზე ნაკლების მიმღებ იმდენ კანდიდატს, რამდენი წევრიცაა ასარჩევი. თუ ასარჩევ კანდიდატთა რაოდენობაზე მეტ კანდიდატს აღმოაჩნდა თანაბარი საუკეთესო შედეგი ან ერთი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, განმეორებით კენჭი ეყრება ყველა ზემოაღნიშნულ კანდიდატს. იმ შემთხვევაში, თუ ორი კენჭისყრის შედეგად კანდიდატებმა ვერ დააგროვეს ხმათა მინიმალური რაოდენობა კანონით გათვალისწინებული ორგანოს დარჩენილ წევრთა რაოდენობის შესავსებად, ტარდება ხელახალი არჩევნები. (25.11.2005 N 2155)
11. ხმის დამთვლელი კომისია ჩატარებული არჩევნების შედეგებს აფორმებს ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრი. საბოლოო შედეგებს საერთო კრებაზე აცხადებს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 43. საადვოკატო ბიუროების რეგისტრაცია გარდამავალ პერიოდში

1. საერთო სასამართლოებმა სამეწარმეო იურიდიული პირის სახით შექმნილი საადვოკატო ბიუროების რეგისტრაცია 2005 წლის 1 თებერვლიდან მოახდინონ ამ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

2. სამეწარმეო იურიდიული პირის სახით 2005 წლის 1 თებერვლამდე შექმნილი საადვოკატო ბიუროების სარეგისტრაციო დოკუმენტები 2006 წლის 1 ივნისამდე შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ამ კანონის მე-18 მუხლის მოთხოვნებთან. (02.06.2003 N 2303)

მუხლი 44. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცება

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია პირველი საერთო კრების მოწვევიდან 3 თვის ვადაში ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

მუხლი 45. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული და მისაღები ნორმატიული აქტები

1. ამ კანონით დადგენილი წესით ადვოკატთა ასოციაციის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ“.
2. 2002 წლის 1 ივნისამდე მიღებულ იქნეს საქართველოს კანონები „ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დამღვევის შესახებ“ და „საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის შესახებ“.
3. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტმა ამ კანონის მიღებიდან 3 თვის ვადაში აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებებთან ერთად შეიმუშაოს საკანონმდებლო წინადადებები ადვოკატთა დაბეგვრის განსაკუთრებულ რეჟიმთან დაკავშირებით.
4. „საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე საზოგადოებრივ (სახაზინო) მომსახურებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახური, რომელსაც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქმნის საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

მუხლი 46. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის მე-9 მუხლი და 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი პროფესიული პასუხისმგებლობის დამღვევის ნაწილში ამოქმედდეს „ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დამღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან ერთად.

საქართველოს პრეზიდენტი

მდუმარე შიშარდნაძე

თბილისი,
2001 წლის 20 ივნისი.
N 976 - II ს

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“

წ ე ს დ ე ბ ა (ახალი რედაქციით)

ქალაქი თბილისი

პრეამბულა

ვაგრძელებთ რა საქართველოში ადვოკატთა პროფესიული გაერთიანების მრავალწლიან ტრადიციებს, 2005 წლის 26 თებერვლის საერთო კრებაზე ჩვენ, საქართველოს ადვოკატებმა დავაფუძნეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, რათა საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად ხელი შევუწყოთ საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებას, კანონის უზენაესობის განმტკიცებას და ადამიანის უფლებების დაცვას, იურიდიული პროფესიის განვითარებას; უზრუნველყოთ ადვოკატის დამოუკიდებლობა, მისი უფლებების დაცვა და პროფესიული თავისუფლება.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სახელწოდება

1.1 ასოციაციის სრული სახელწოდებაა:

- ა) ქართულად: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“.
- ბ) ინგლისურად: Legal Entity Under Public Law „Georgian Bar Association“. - G.B.A

1.2 ასოციაციის შემოკლებული სახელწოდებაა:

- ა) ქართულად: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“.- ს.ა.ა.
- ბ) ინგლისურად: L.E.P.L „Georgian Bar Association“.

მუხლი 2. სამართლებრივი სტატუსი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (შემდგომში - ასოციაცია) წარმოადგენს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის კორპორაციას და შექმნილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ და ადვოკატთა შესახებ კანონების საფუძველზე.

მუხლი 3. ასოციაციის ადგილსამყოფელი

ასოციაციის ადგილსამყოფელია: „საქართველო, თბილისი, 0179, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა #36 (08.12.2012.)

მუხლი 4. ხანგრძლივობა

ასოციაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

თავი II მიზნები, ფუნქციები და საქმიანობა

მუხლი 5. ასოციაციის მიზნები და ფუნქციები

ასოციაციის მიზნები და ფუნქციებია:

- 5.1 საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების და კანონის უზენაესობის განმტკიცების ხელშეწყობა;
- 5.2 იურიდიული პროფესიის განვითარება;
- 5.3 ადვოკატის უფლებების, პროფესიული თავისუფლების, ინტერესების და დამოუკიდებლობის დაცვა;
- 5.4 საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობის უზრუნველყოფა;
- 5.5 იურიდიული განათლების ხელშეწყობა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- 5.6 უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბება და ხელშეწყობა;
- 5.7 ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;
- 5.8 საზოგადოებაში ადვოკატისადმი ნდობის და რეპუტაციის ამაღლება;
- 5.9 ადვოკატების სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

მუხლი 6. ასოციაციის საქმიანობა

- 6.1 ასოციაცია თავისი მიზნების და ფუნქციების განსახორციელებლად ეწევა შემდეგ საქმიანობას:
 - ა) ორგანიზებას უწევს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას;
 - ბ) ორგანიზებას უწევს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობას და სავალდებულო, განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამას;
 - გ) ორგანიზებას უწევს ადვოკატებისათვის სემინარებს, დისკუსიებს, მრგვალ მაგიდებს და სხვა პროექტების განხორციელებას;
 - დ) გამოსცემს ასოციაციის პერიოდულ ჟურნალს;
 - ე) მოიძიებს დაფინანსების წყაროებს;

- ვ) შეიმუშავებს საადვოკატო ეთიკის ნორმებს;
- ბ) მონაწილეობს კანონშემოქმედებით საქმიანობაში; თ) განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას;
- ი) ქმნის ადვოკატთა, ადვოკატის სტაჟიორთა და საადვოკატო ბიუროების მონაცემთა ბაზას და უზრუნველყოფს მის განახლებას;
- კ) შეიმუშავებს ადვოკატთა წახალისების და დისციპლინური დევნის წესებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას;
- ლ) მიიღებს და გასცემს გრანტებს.

6.2 ასოციაცია ახორციელებს ნებისმიერ საქმიანობას, რაც დაკავშირებულია მისი მიზნების და ფუნქციების განხორციელებასთან და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ასოციაციის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა უნდა ატარებდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათს და ემსახურებოდეს ასოციაციის მიზნებს.

თავი III. **ასოციაციის წევრობა**

მუხლი 7. ასოციაციის წევრი

- 7.1 ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა (პროკურატურის მუშაკთა) საკვალიფიკაციო გამოცდა, აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი, განვერიანების მოთხოვნით, დადგენილი წესით, მიმართა ასოციაციას და დადო ფიცი.
- 7.2 ადვოკატი არ შეიძლება გახდეს პირი, ხოლო მოქმედ ადვოკატს შეუწყდება ასოციაციის წევრობა, თუკი იგი ნასამართლევია განზრახი მძიმე დანაშაულისთვის და ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 7.3 ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი ან სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 8. ასოციაციის წევრად მიღება

- 8.1 ადვოკატთა ასოციაციაში განწევრიანებისათვის პირი განცხადებით მიმართავს ასოციაციას. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირის ადვოკატთა ასოციაციაში განწევრიანების ან განწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ.
- 8.2 ასოციაციაში განწევრიანებისათვის პირმა განცხადებასთან ერთად ასოციაციის აპარატს უნდა წარუდგინოს დიპლომი უმაღლესი იურიდიული განათლების შესახებ, ცნობა ნასამართლობის შესახებ, ცნობა აუცილებელი სტაჟის შესახებ, პირადობის მოწმობის ასლი, ავტობიოგრაფია და 4 ცალი ფერადი ფოტოსურათი და ერთი ფოტოსურათი ჩD დისკზე (08.12.2012). სანწევრო გადასახადის დამადასტურებელი ქვითარი, ადვოკატთა (მოსამართლეთა, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო ტესტირების საკვალიფიკაციო ტესტირების სერტიფიკატი).

მუხლი 9. წევრის უფლებები და მოვალეობები 9.1 ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

- ა) ირჩიოს და არჩეულ იქნას ასოციაციის მართვის ორგანოებში, ასოციაციის ეთიკის და სარევიზიო კომისიებში;
 - ბ) მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის საერთო კრების მუშაობაში;
 - გ) მონაწილეობდეს ასოციაციის პროგრამებსა და პროექტებში, მათ შემუშავებასა და განხილვაში;
 - დ) გაეცნოს აღმასრულებელი საბჭოს, სარევიზიო და ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
 - ე) თავისი სურვილით გავიდეს ასოციაციიდან.
- 9.2 ასოციაციის წევრი მოვალეა:
- ა) დაიცვას ასოციაციის წესდება;
 - ბ) დაემორჩილოს ასოციაციის მიერ დამტკიცებულ ეთიკის ნორმებს;
 - გ) ხელი შეუწყოს ასოციაციის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას;
 - დ) დროულად და დადგენილი წესით გადაიხადოს სანწევრო გადასახადი.
 - ე) ასოციაციას წარუდგინოს მისი საცხოვრებელი ადგილის და საადვოკატო ბიუროს მისამართების, საკონტაქტო ტელეფონის ცვლილების შესახებ მისი წარმოშობიდან 2 კვირის ვადაში.
 - ვ) ასოციაციას მოთხოვნისამებრ წარუდგინოს დამატებითი მონაცემები ან მათი ცვლილებები ადვოკატთა საერთო სიის ორგანიზების ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 10. წევრობის შეჩერება და შეწყვეტა

ასოციაციის წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები წესრიგდება კანონით და ასოციაციის მიერ დამტკიცებული დისციპლინური ნორმებით.

თავი IV ასოციაციის მართვა

მუხლი 11. ასოციაციის მართვის ორგანოები

ასოციაციის მართვის ორგანოა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო (24.10.2015);

მუხლი 12. ასოციაციის საერთო კრების კომპეტენცია

12.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება (შემდგომში „საერთო კრება“).

12.2 საერთო კრება:

- ა) დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის წესდებს (წესდების ახალ რედაქციას) და შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები.
- ბ) ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით ირჩევს ასოციაციის თავმჯდომარეს. გ) ფარული კენჭისყრით ირჩევს წინამდებრე წესდების 14.2 მუხლით დადგენილი წესით აღმასრულებელი საბჭოს, წინამდებრე წესდების 21.2 მუხლით დადგენილი წესით ეთიკის კომისიის და წინამდებრე წესდების 25.4 მუხლით დადგენილი წესით სარევიზიო კომისიის წევრებს.
- დ) ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს.
- ე) დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებას.

- ვ) ისმენს აღმასრულებელი საბჭოს, ასოციაციის ეთიკისა და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ.
 - ბ) დამსწრეთა უმრავლესობით აწესებს ფიქსირებულ საწევრო გადასახადის ოდენობას.
 - ტ) დამსწრეთა უმრავლესობით, აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს ასოციაციის სიმბოლოვას.
 - ი) დამსწრეთა უმრავლესობით, აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს ადვოკატის მანტიის ფორმას.
 - კ) დამსწრეთა უმრავლესობით, აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით, ადგენს ადვოკატის წახალისების ფორმებს და წესს.
 - ლ) დამსწრეთა უმრავლესობით, ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას, 15 წევრის შემადგენლობით. მუხლი 13. ასოციაციის საერთო კრების მოწვევა
- 13.1 საერთო კრება იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ და იგი უფლებამოსილია თუ მას ესწრება ასოციაციის არანაკლებ 800 წევრი. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში, 2 კვირის ვადაში, მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.
- 13.2 საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით წარმოდგენილ წევრთა უბრალო უმრავლესობით, თუ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- 13.3 საერთო კრების მოწვევისა და კრების თავმჯდომარეობის უფლებამოსილება გააჩნია ასოციაციის თავმჯდომარეს ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ არჩეულ პირს საბჭოს შემადგენლობიდან.
- 13.4 რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოთხოვნისა და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება გააჩნიათ ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს, სარევიზიო კომისიას, ეთიკის კომისიას ან ასოციაციის წევრების არანაკლებ 10 (ათი) პროცენტს.
- 13.5 ასოციაციის თავმჯდომარე უზრუნველყოფს წესდების 13.4 პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ მოთხოვნილი რიგგარეშე კრების მოწვევას და შემოთავაზებული საკითხების შეტანას დღის წესრიგში. ასოციაციის თავმჯდომარის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში წესდების 13.4

მუხლში აღნიშნულ პირებს აქვთ უფლება თვითონ მოწვიონ საერთო კრება.

- 13.6 ასოციაციის თავმჯდომარე, უზრუნველყოფს დღის წესრიგის შემუშავებას და ასოციაციის წევრებისთვის გასაცნობად წარდგენას.
- 13.7 ასოციაციის საერთო კრება, როგორც წესი, ტარდება შაბათ ან კვირა დღეს.
- 13.8 ასოციაციის კრება ტარდება კრების მოწვევის შესახებ განცხადების და დღის წესრიგის ბეჭდვით ორგანოში და ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან არაუადრეს 14 და არაუგვიანეს 30 დღისა.
- 13.9 ამ წესდების 13.4 პუნქტში დასახელებულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ ცვლილებების და დამატებების შეტანა დღის წესრიგში კრების მოწვევის შესახებ განცხადების და დღის წესრიგის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 7 დღისა. აღნიშნული წესით შესატანი ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს 3 დღის ვადაში.
- 13.10 ასოციაციის საერთო კრების მსვლელობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

მუხლი 13¹. ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრთა ნომინირების და არჩევის წესი

- 13^{1.1} საერთო კრების თარიღის გამოქვეყნებიდან შვიდი დღის ვადაში ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრობის მსურველი კანდიდატი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წარუდგინოს განაცხადება ასოციაციის აპარატს, განცხადება უნდა შეიცავდეს კანდიდატის სახელს და გვარს, ასოციაციის წევრის რიგით ნომერს, ინფორმაციას საადვოკატო ბიუროში საქმიანობის, პროფესიული გამოცდილების, ადვოკატად მუშაობის სტაჟის და ფაქტობრივ მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს (24.10.2015)
- 13^{1.2} კანდიდატი უფლებამოსილია წარადგენოს თავისი კანდიდატურა მხოლოდ ერთ არჩევით ორგანოში.
- 13^{1.3} ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სავალდებულო მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმებას განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში. თუ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია

აკმაყოფილების კანონმდებლობისა და ამ წესდების მოთხოვნებს, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უზრუნველყოფს მსურველის რეგისტრაციას კანდიდატად და შეაქვს საარჩევნო ბიულეტენში.

- 13^{1.4} საარჩევნო დღეს კანდიდატების ნომინირება დაუშვებელია.
- 13^{1.5} პირს უფლება აქვს მოხსნას საკუთარი კანდიდატურა კენჭისყრის დაწყებამდე. ამ შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენში აღნიშნული კანდიდატის გასწვრივ კეთდება აღნიშვნა – „კანდიდატურა მოხსნილია“, და ასეთი კანდიდატის მიერ მიღებული ხმები არ დაითვლება.

მუხლი 14. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო

- 14.1 ასოციაციის აღმასრულებელი ორგანოა აღმასრულებელი საბჭო, რომელიც შედგება 12 წევრისაგან, რომელთაგან 11-ს 4 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, ირჩევს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება, ადვოკატთა ასოციაციის სიითი შემადგენლობიდან. ასოციაციის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში.
- 14.2 აღმასრულებელი საბჭოს წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომელიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება საარჩევ წევრთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო ორგანოს წევრთა კანონით განსაზღვრული რაოდენობა, კენჭი განმეორებით ეყრება უკეთესი შედეგის მქონე იმდენ კანდიდატს, რამდენი წევრიცაა საარჩევნი.
- 14.3 ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა იმართება სულ მცირე თვეში ერთხელ.
- 14.4 აღმასრულებელი საბჭოს წევრისთვის საბჭოს სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.
- 14.5 აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით, თუ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხმის გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი თავმჯდომარის ხმა.

- 14.6 აღმასრულებელი საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:
ა) ასოციაციის თავმჯდომარის მიერ;
ბ) აღმასრულებელი საბჭოს არანაკლებ სამი წევრის მიერ.
- 14.7 საბჭოს სხდომის მოწვევას უზრუნველყოფს ასოციაციის თავმჯდომარე.
- 14.8 აღმასრულებელი საბჭოს წევრთა უფლებამოსილება გრძელდება ახალი წევრების არჩევამდე.
- 14.9 აღმასრულებელი საბჭოს წევრობა შეუთავსებელია საჯარო მოსამსახურედ ყოფნასთან და სხვა საჯარო ან პოლიტიკურ თანამდებობასთან.
- 14.10 (ამოღებულია)
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2015 წლის 24 ოქტომბრის საერთო კრება
- 14.11 (ამოღებულია)
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2015 წლის 24 ოქტომბრის საერთო კრება
- 14.12 სხდომის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს აღმასრულებელი საბჭოს წევრებს.
- 14.13 საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს თავმჯდომარე. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და პასუხისმგებელია მის სიზუსტეზე.
- 14.14 საბჭო გადაწყვეტილებას იღებს „აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების“ სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.
- 14.15 საბჭოს გადაწყვეტილებები აღირიცხება ჟურნალში გადაწყვეტილების ნომრის, სხდომის ჩატარების ადგილის, თარიღის, გადაწყვეტილების მოკლე შინაარსის მითითებით და განთავსდება ასოციაციის ვებ-გვერდზე.
- 14.16 ასოციაციის თავმჯდომარე უზრუნველყოფს აღრიცხვის ჟურნალის წარმოებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ასოციაციის წევრთათვის.

მუხლი 15. აღმასრულებელი საბჭოს უფლებამოსილება 15.1
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო:

- ა) კოლევგურად ახორციელებს ასოციაციის ხელმძღვანელობას.
- ბ) იღებს გადაწყვეტილებას პირის ასოციაციაში განწევრიანების ან განწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ.
- გ) იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის წევრობის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ.
- დ) აღასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებებს.
- ე) არსებული მონაცემების საფუძველზე, კანონმდებლობით და ამ წესდებით დადგენილი წესით ორგანიზებას უწევს ასოციაციის წევრთა სიის შედგენას, მასში ცვლილებების შეტანას და მის გამოქვეყნებას. უზრუნველყოფს ადვოკატთა სიის გამოქვეყნებას ასოციაციის ვებ-გვერდზე და წელიწადში ორჯერ ადვოკატთა ასოციაციის ყოველკვარტალურ ჟურნალში.
- ვ) ორგანიზებას უწევს ადვოკატის მიერ ფიცის დადებას.
- ზ) ამტკიცებს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობისა და ადვოკატის ორდერის ნიმუშებს.
- თ) ორგანიზებას უწევს საადვოკატო ბიუროების რეესტრის წარმოებას.
- ი) ორგანიზებას უწევს ადვოკატთა და მათ სტაჟიორთა პირადი საქმეების წარმოებას.
- კ) კოორდინაციას უწევს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამტკიცებს ადვოკატთა ტესტირების წესსა და პროგრამას, განსაზღვრავს ტესტირების ჩატარების თარიღს;
- ლ) ამტკიცებს საკვალიფიკაციო კომისიის დებულებას;
- მ) ქმნის ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრს, ამტკიცებს მის საქმიანობის წესს (დებულებას), სტრუქტურას და ნიშნავს მის ხელმძღვანელს.
- ნ) ორგანიზებას უწევს ასოციაციის წევრთა სავალდებულო განგრძობად იურიდიულ განათლებას, განსაზღვრავს ადვოკატთა სავალდებულო განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამას (დებულებას) დამისი განხორციელების

წესს, ახდენს განგრძობადი იურიდიული განათლების კურსების სხვა პროვაიდერების აკრედიტაციას.

- ო) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის წესდების პროექტს და წინადადებებს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.
- პ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პროექტს და წინადადებებს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.
- ჟ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების პროექტს და წინადადებებს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.
- რ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ადვოკატის ჩაცმულობის, მანტიის ფორმას და სხვა განმასხვავებელ ნიშნებს.
- ს) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის სიმბოლიკას.
- ტ) ადგენს ტესტირების გადასახადის ოდენობას, რომელიც უნდა იყოს გონივრულ შესაბამისობაში ტესტირების ჩასატარებლად აუცილებელი ხარჯებთან.
- უ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის ბიუჯეტს და მომდევნო წლის ხარჯთაღრიცხვას.
- ფ) ამტკიცებს ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას, საშტატო განრიგს, სახელფასო ფონდს და ადგენს ასოციაციის თავმჯდომარის, დაქირავებულ პირთა ხელფასების, სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ოდენობას.
- ქ) ამტკიცებს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს და თავის წევრთაგან განსაზღვრავს სტრუქტურული ქვედანაყოფების კურატორთა ვინაობას.
- ღ) ამყარებს საერთაშორისო კავშირებს და ამ ურთიერთობებში არის ასოციაციის წარმომადგენელი.
- ყ) ორმხრივი თხოვნის საფუძველზე არის ასოციაციის მოდავე წევრების ან წევრებისა და მათი კლიენტების მომრიგებელი.
- შ) გამოსცემს ადვოკატთა საინფორმაციო ბიულეტენს ან სხვა პერიოდულ გამოსცემას.
- ჩ) იღებს გადაწყვეტილებას უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების,

უფლებრივად დატვირთვის, სესხის აღების, გაცემის და სხვა ნებისმიერი გარიგების დადების თაობაზე, რომლის ღირებულებაც აღემატება ასოციაციის წლიური ბიუჯეტის 10%-ს.

- ც) ორგანიზებას უწევს ადვოკატების წახალისების ღონისძიებებს წარმატებული საქმიანობის ან ასოციაციის განვითარებისთვის შეტანილი წვლილის გამო.
- დ) ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ღონისძიების მოწყობას ასოციაციის წევრებისთვის.
- ე) ქმნის მუდმივმოქმედ კომიტეტებს და დროებით კომისიებს, ამტკიცებს მათი საქმიანობის წესს (დებულებას).
- ვ) იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის რეგიონალური წარმომადგენლობების შექმნისა მისი საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე.
- ბ) ასოციაციის თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს თავმჯდომარის უფლებამოსილებების დროებით განსახორციელებლად.
- გ) წელიწადში ერთხელ, საჯაროდ აქვეყნებს ანგარიშს განეული საქმიანობის შესახებ.

15.2. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ახორციელებს ყველა სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით და ასოციაციის წესდებით არ განეკუთვნება ასოციაციის სხვა ორგანოების კომპეტენციას.

მუხლი 15¹. განგრძობადი იურდიული განათლება

- 15¹.1. განგრძობადი იურდიული განათლება – წარმომადგენს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სემინარების კურსს, რომელიც სავალდებულოა ადვოკატთა კორპუსის წევრთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.
- 15¹. 2. განგრძობადი იურდიული განათლების მიღების მიზნით ასოციაციის წევრი ადვოკატი ვალდებულია მოისმინოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული სემინარის კურსი, რომლის შინაარსს და ხანგრძლივობას განსაზღვრავს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

- 15^{1.3}. განგრძობადი იურდიული განათლების პროგრამის ამოქმედების ვადა, განისაზღვრება აღმასრულებელი საბჭოს მიერ.

მუხლი 16. ასოციაციის აპარატი და აღმასრულებელი მდივანი

- 16.1 ასოციაციის მართვის ორგანოები თავის საქმიანობას ახორციელებენ აღმასრულებელი საბჭოს აპარატის დახმარებით.
- 16.2 ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი, რომელიც იმავდროულად არის ასოციაციის აპარატის უფროსი, ხელმძღვანელობს ასოციაციის აპარატის მუშაობას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია ასოციაციის მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე.
- 16.3 ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.
- 16.4 აღმასრულებელ მდივანს უფლება არ აქვს ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა.
- 16.5 აღმასრულებელი მდივნის საქმიანობის ფარგლები და უფლებამოსილებები დგინდება აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით.
- 16.6 აღმასრულებელ მდივნის და აპარატის თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა კომპლექტდება აღმასრულებელი საბჭოს მიერ.
- 16.7 კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ, აღმასრულებელ მდივანს და აპარატის მუშაკთა კანდიდატებთან იდება შრომითი ხელშეკრულებები, რომელსაც ასოციაციის სახელით ხელს აწერს ასოციაციის თავმჯდომარე.
- 16.8 ასოციაციის აპარატის სამტატო განრიგი, სახელფასო ფონდი და ორგანიზაციული სტრუქტურა მტკიცდება აღმასრულებელის საბჭოს მიერ.

მუხლი 16¹. ასოციაციის კომიტეტები და კომისიები

- 16^{1.1}. ასოციაციაში იქმნება მუდმივმოქმედი კომიტეტები სამართლის დარგების მიხედვით, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მიზნით და დროებითი კომისიები იურიდიულ პროფესიაში არსებული პრობლემატური საკითხების ირგვლივ.
- 16^{1.2}. მუდმივმოქმედი კომიტეტები და დროებითი კომისიები იქმნება აღმასრულებელ საბჭოს გადანაცვეტილებით, თავად აღმასრულებელი საბჭოს ან ადვოკატთა არანაკლებ 30 წევრიანი ჯგუფის ინიციატივით.
- 16^{1.3}. მუდმივმოქმედი კომიტეტების და დროებითი კომისიების საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო.

მუხლი 17. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე

- 17.1 ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან, კანონითა და წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით, დამსრეტა უმრავლესობით, ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 4 წლის ვადით, კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.
- 17.2 იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობას, იმართება კენჭისყრის მეორე ტური არაუგვიანეს 14 დღის განმავლობაში უკეთესი შედეგის მქონე პირველ ორ კანდიდატს შორის. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატზე მეტ ხმას.
- 17.3 ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში.
- 17.4 ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე შრომის ანაზღაურებას იღებს ასოციაციის სახსრებიდან და მას თავისი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში ეკრძალება საადვოკატო საქმიანობა.
- 17.5 ასოციაციის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ასოციაციის მიერ საფინანსო და საბუღალტრო ანგარიშგების სწორად განხორციელებაზე.
- 17.6 ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს ადვოკატთა უფლებების დაცვით ღონისძიებებს.

მუხლი 18. ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე:

- ა) წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
- ბ) წარმოადგენს ასოციაციას სასამართლოში, სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში;
- გ) მართავს და განკარგავს ასოციაციის ქონებას და პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებაზე;
- დ) ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ, მათ შორის ფინანსურ დოკუმენტებს;
- ე) უძღვება ასოციაციის საერთო კრებას;
- ვ) აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით და საშტატო განრიგის მიხედვით სამსახურში იღებს და ათავისუფლებს ასოციაციის აპარატის თანამშრომლებს და სხვა დაქირავებულ პირებს;
- ზ) კოორდინაციას უწევს პროგრამებისა და პროექტების შედგენას და უზრუნველყოფს მათ რეალიზაციას;
- თ) ასოციაციის სახელით დებს გარიგებებს;
- ი) ადგენს და აღმასრულებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის ბიუჯეტის პროექტს;
- კ) უზრუნველყოფს ასოციაციის ბეჭდის და სხვა რეკვიზიტების დამზადებას;
- ლ) ასრულებს კანონმდებლობითა და წესდებით დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 19. ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა

- 19.1 ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილება წყდება ახალი თავმჯდომარის არჩევისთანავე.
- 19.2 ასოციაციის თავმჯდომარის გადადგომის, ზედიზედ 3 თვის ან წელიწადში 6 თვის ვადით თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ახალი თავმჯდომარის არჩევამდე ასრულებს აღმასრულებელი საბჭოს მიერ არჩეული პირი თავისი შემადგენლობიდან.

- 19.3 ასოციაციის თავმჯდომარის გადადგომის, ზედიზედ 3 თვის ან წელიწადში 6 თვის ვადით თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ფაქტს ადასტურებს და ცნობად იღებს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო თავის გადაწყვეტილებით.
- 19.4 ასოციაციის თავმჯდომარის გადადგომის, ზედიზედ 3 თვის ან წელიწადში 6 თვის ვადით თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აღმასრულებელი საბჭო უზრუნველყოფს რიგგარეშე კრების მოწვევას ასოციაციის ახალი თავმჯდომარის ასარჩევად.

მუხლი 20. კონფიდენციალურობა

აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრები ვალდებული არიან, როგორც თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში, ასევე თანამდებობის დატოვების შემდგომ არ გაავრცელონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე.

თავი V. ასოციაციის ეთიკის კომისია

მუხლი 21. ეთიკის კომისიის შექმნა

- 21.1 ეთიკის კომისია შედგება 15 წევრისაგან, რომელთაგან არანაკლებ 12 ადვოკატია. ეთიკის კომისიის წევრებს 4 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, ირჩევს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით.
- 21.2 არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომელიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო ორგანოს წევრთა კანონით განსაზღვრული რაოდენობა, კენჭი განმეორებით ეყრება

უკეთესი შედეგის მქონე იმდენ კანდიდატს, რამდენი წევრიცაა ასარჩევი.

- 21.3 ეთიკის კომისიის წევრის უფლებამოსილება წყდება უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ ახალი წევრის არჩევისთანავე.
- 21.4 ეთიკის კომისიის ადვოკატი წევრი უნდა იყოს 30 წელს მიღწეული პირი არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილებით.
- 21.5 ეთიკის კომისიის საქმიანობის ეფექტურობის და საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების მიზნით, ასოციაციის საერთო კრება ეთიკის კომისიის 3 წევრს 4 წლის ვადით ირჩევს არა ადვოკატთა რიგებიდან.
- 21.6 ეთიკის კომისიის არა ადვოკატი წევრი შეიძლება იყოს 30 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილებით, რომელიც არაა ნასამართლევ, სარგებლობს მაღალი საზოგადოებრივი რეპუტაციით და არის თავისი სფეროს გამოჩენილი სპეციალისტი.
- 21.7 საერთო კრებაზე ეთიკის კომისიის 3 არა ადვოკატი წევრი კანდიდატების ნომინირება და არჩევა ხდება ეთიკის კომისიის სხვა ადვოკატი წევრებისაგან დამოუკიდებლად, ცალკე საარჩევნო სიის საფუძველზე. არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომელიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო ორგანოს წევრთა კანონით განსაზღვრული რაოდენობა, კენჭი განმეორებით ეყრება უკეთესი შედეგის მქონე იმდენ კანდიდატს, რამდენი წევრიცაა ასარჩევი.
- 21.8 ეთიკის კომისია დამოუკიდებელია და თავის საქმიანობას ახორციელებს „ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის და პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე. ეთიკის კომისია ხელმძღვანელობს „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ ასოციაციის დებულებით.
- 21.9 ეთიკის კომისიის წევრის ხელახლა არჩევა შეიძლება მხოლოდ ერთხელ.
- 21.10 ეთიკის კომისია თავის შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ირჩევს

კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ამავდროულად უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

- 21.11 ეთიკის კომისია ამონებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.
- 21.12 ანონიმური წერილები და შეტყობინებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას.
- 21.13 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.
- 21.14 ეთიკის კომისიის წევრად არ შეიძლება არჩეული იქნას ადვოკატთა ასოციაციის წევრი, რომელიც ახორციელებს სხვა საქმიანობას, გარდა საადვოკატო, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობისა.
- 21.15 (ამოღებულია)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2015 წლის 24 ოქტომბრის საერთო კრება
- 21.16 ეთიკის კომისიის წევრებს არ ენიშნებათ ხელფასი ან სხვა კომპენსაცია.
- 21.17 ეთიკის კომისიის წარდგინებით ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ამტკიცებს ეთიკის კომისიის აპარატს, საშტატო განრიგს და შრომის ანაზღაურების საკითხს.
- 21.18 ეთიკის კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ახალი წევრის არჩევა ხდება რიგგარეშე ან მორიგი საერთო კრების მიერ იმ ვადით, რა ვადაც ჰქონდა დარჩენილი კომისიიდან გასულ წევრს.
- 21.19 ეთიკის კომისია იკრიბება არჩევიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.
- 21.20 ეთიკის კომისიის წევრის უფლებამოსილება იწყება საერთო კრების მიერ არჩევიდან და წყდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, ახალი წევრის არჩევისთანავე.

21.21 ეთიკის კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები.

მუხლი 22. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

22.1 ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

22.2 ეთიკის კომისიის თავმჯდომარე იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, უზრუნველყოფს წევრებისთვის განსახილველი მასალის წინასწარ მიწოდებას, ანაწილებს შემოსულ საჩივრებს.

მუხლი 23. ეთიკის კომისიის სხდომა

23.1 ეთიკის კომისიის სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის ან მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის სხვა წევრის მიერ.

23.2 სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

23.3 ეთიკის კომისიის სხდომების დროს დგება ოქმი, საოქმო ჩანაწერს ასრულებს წევრთაგან არჩეული სხდომის მდივანი.

23.4 სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

23.5 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება მიიღება „გადაწყვეტილების“ სახით.

23.6 განსხვავებული მოსაზრება ყოველთვის თან ერთვის „გადაწყვეტილებას“.

მუხლი 24. დისციპლინური წარმოება

24.1 საჩივრების განხილვის წესი და პროცედურა რეგულირდება დისციპლინური წარმოების დებულებით.

24.2 ასოციაციის წევრის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ განცხადებას მიიღებს და განსახილველად გაანაწილებს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

- 24.3. ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი.
- 24.4. ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახდელის დადების საკითხი ეთიკის კომისიის სხდომაზე განიხილება კოლეგიურად, კომისიის 3 წევრის შემადგენლობით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ანდა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საკითხებს განიხილავს ეთიკის კომისია არანაკლებ 12 წევრის შემადგენლობით და აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ეთიკის კომისიის არანაკლებ 10 წევრის ხმა. განსხვავებული ამრის არსებობის შემთხვევაში, იგი დაერთვის გადაწყვეტილებას.
- 24.5. ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ადვოკატს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოთქვას ამრი ზეპირად ან წერილობით, გამოითხოვოს და წარმოადგინოს მტკიცებულებები და სრულად ისარგებლოს დაცვის უფლებით.

თავი VI **სარევიზიო კომისია**

მუხლი 25. სარევიზიო კომისიის შექმნა

- 25.1 სარევიზიო კომისია ახორციელებს კონტროლს ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, აღმასრულებელი მდივნისა და მათ მიერ დანიშნული (დამტკიცებული) პირების კანონის, ასოციაციის წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე.
- 25.2 სარევიზიო კომისია შედგება ასოციაციის საერთო კრების მიერ 4 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, არჩეული 5 წევრისგან.
- 25.3 სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევიდან და წყდება უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ ახალი წევრის არჩევისთანავე. სარევიზიო კომისიის ერთ-ერთი წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში

ახალი წევრის არჩევა მოხდება რიგითი ან რიგგარეშე საერთო კრებაზე იმ ვადით, რა ვადაც დარჩენილი ჰქონდა წევრს, რომელსაც უფლებამოსილება ვადადვე შეუწყდა.

- 25.4 არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომელიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო ორგანოს წევრთა კანონით განსაზღვრული რაოდენობა, კენჭი განმეორებით ეყრება უკეთესი შედეგის მქონე იმდენ კანდიდატს, რამდენი წევრიცაა ასარჩევი.
- 25.5 სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს კომისიის წევრთაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს თავად კომისია, 4 წლის ვადით.
- 25.6 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფინანსო საქმიანობის შემოწმების მიზნით სარევიზიო კომისია ვალდებულია კონკურსის წესით ყოველწლიურად შეარჩიოს და მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი.
- 25.7 სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.
- 25.8 სარევიზიო კომისია თავის დადგენილებებს წარუდგენს ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს და თავმჯდომარეს.
- 25.9 სარევიზიო კომისია, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს და მიიღოს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსგან, თავმჯდომარისგან, ბუღალტრისგან ან აუდიტორისგან ნებისმიერი ფინანსური ან სხვაგვარი ინფორმაცია, რომლის შესწავლასაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს.
- 25.10 სარევიზიო კომისია განიხილავს და დადგენილების ფორმით გამოიტანს დასკვნას ასოციაციის თავმჯდომარის და აღმასრულებელი საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის თაობაზე.

მუხლი 26. (ამოღებულია)

მუხლი 27. სარევიზიო კომისიის მუშაობა

- 27.1 სარევიზიო კომისია იკრება მიზანშეწონილობისამებრ, თუმცა მინიმუმ სამ თვეში ერთხელ მაინც.
- 27.2 სარევიზიო კომისიის სხდომა გადანყვეტილებაუნარია თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- 27.3 კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს კომისიის სხდომა, თუკი მას თხოვნით მიმართავს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ან თავმჯდომარე.
- 27.4 სარევიზიო კომისიის სხდომის დღის წესრიგს ადგენს კომისიის თავმჯდომარე.
- 27.5 კომისიის ყოველი წევრი უფლებამოსილია კრებამდე ხუთი სამუშაო დღით ადრე დღის წესრიგში შეიტანოს დამატებითი საკითხები.
- 27.6 კომისიის ყოველ სხდომაზე აირჩევა სხდომის მდივანი, რომელიც ადგენს და ყველა დამსწრესთან ერთად ხელს აწერს სხდომის ოქმს.
- 27.7 იმ შემთხვევაში, თუ შესასწავლი საკითხი საჭიროებს სპეციალურ ცოდნას, სარევიზიო კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი სპეციალისტი ან ექსპერტი. აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია დროულად დაფაროს სპეციალისტის ან ექსპერტის მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯები ასოციაციის სახსრებიდან.
- 27.8 სარევიზიო კომისიის გადანყვეტილება გამოდის „დადგენილების“ ფორმით.
- 27.9 სარევიზიო კომისია დასკვნას ასოციაციის თავმჯდომარეს და აღმასრულებელი საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის შესახებ გამოიტანს „დადგენილების“ სახით.
- 27.10 სარევიზიო კომისიის „დადგენილება“ განსახილველად გადაეცემა აღმასრულებელ საბჭოს ან ასოციაციის საერთო კრებას.
- 27.11 გამოვლენილი დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე უცილებელია ზომების დაუყოვნებლივ მიღება, ხოლო თუ აღმასრულებელი საბჭო ვერ ან არ ასრულებს აღნიშნულ დადგენილებებს, სარევიზიო კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება ან აღნიშნული საკითხი შეიტანოს მორიგი საერთო კრების დღის წესრიგში.

თავი VII

ასოციაციის ქონება

მუხლი 28. ასოციაციის შემოსავლის წყაროები

- 28.1 ასოციაციის შემოსავლების წყაროებია:
- ა) სანევრო შენატანები;
 - ბ) შემონირულობები;
 - გ) გრანტით მიღებული ქონება და სახსრები;
 - დ) ტესტირების გადასახდელი;
 - ე) სასწავლო ცენტრიდან მიღებული შემოსავლები;
 - ვ) სესხით ან კრედიტით მიღებული სახსრები;
 - ზ) კანონით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები;
 - თ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.
- 28.2 ასოციაციის ქონება გამოიყენება მხოლოდ ასოციაციის მიზნების მისაღწევად და ამოცანების განსახორციელებლად.
- 28.3 ასოციაციის შემოსავლები არ შეიძლება განანილდეს მის წევრებს შორის.
28. ასოციაციის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ ყოველწლიურად შედგება ანგარიში შესაბამისი ფორმით და წარედგინება საერთო კრებას.

მუხლი 29. სანევრო შენატანი

- 29.1 ასოციაციის ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სანევრო შენატანი.
- 29.2 სანევრო შენატანი გადაიხდება ფულადი სახით.
- 29.3 ყოველი მომდევნო წლის სანევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე. ასოციაციაში პირველად გაწევრიანებული პირი იხდის გაწევრიანების წლის სანევრო გადასახადს შემდეგი განრიგით : 1 მაისამდე გაწევრიანებული პირი იხდის – 150 (ასორმოცდაათ) ლარს, 1

მაისიდან 1 სექტემბრამდე 100 (ას) ლარს, 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე 50 (ორმოცდაათ) ლარს ხოლო მომდევნო წლის საწევრო შენატანს მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.

- 29.4 საწევრო შენატანი გადაიხდება 200 ლარის ოდენობით. საწევრო შენატანიდან 5% შემოწირულობის სახით გადაირიცხება ადვოკატის სოციალური დაცვის ხელშეწყობის ფონდში. (08.12.2012.)
- 29.5 აღმასრულებელი საბჭოს გადანყვეტილებით განისაზღვრება ასოციაციის იმ წევრების შერჩევის კრიტერიუმები, რომლებზეც უნდა გავრცელდეს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი საშეღავათო საწევროს გადახდის ვალდებულება.
- 29.6 საწევრო შენატანის ძირითადი ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით.

თავი VIII

საბუნალბრო ალრრრრრ და ანბარრრრრ

მუხლი 30. ასოციაციის ბრუტერი

- 30.1 ასოციაციას აქვს დამოუკიდებელი ბრუტერი, რომელსაც ამტკიცებს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.
- 30.2 მომავალი წლის ბრუტერი უნდა დამტკიცდეს მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე.
- 30.3 ბრუტერის პროექტის შედგენას ორგანიზებას უწევს ასოციაციის თავმჯდომარე და წარუდგენს მას აღმასრულებელ საბჭოს არაუგვიანეს 1 ნოემბრისა. აღმასრულებელ საბჭო განიხილავს ბრუტერის პროექტს არაუგვიანეს 20 ნოემბრისა.
- 30.4 აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია ბრუტერის პროექტი თავისი შენიშვნებით დაუბრუნოს თავმჯდომარეს. ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარე ვალდებულია ბრუტერის პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით ხელახლა წარუდგინოს აღმასრულებელ საბჭოს არაუგვიანეს 30 ნოემბრის.

- 30.5 ასოციაციის ბიუჯეტის შესადგენად თავმჯდომარემ შეიძლება მოიწვიოს სპეციალისტი.
- 30.6 ასოციაციის ბიუჯეტში ხარჯების სახით გათვალისწინებული უნდა იყოს ასოციაციის თავმჯდომარის, ასოციაციის აპარატის, დამხმარე პერსონალის ხელფასები, ოფისის ქირა და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.

მუხლი 31. საბუღალტრო აღრიცხვა

- 31.1 ასოციაცია ვალდებულია აწარმოოს საბუღალტრო აღრიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით.
- 31.2 საბუღალტრო აღრიცხვის სისწორესა და სისრულეზე პასუხისმგებელია ასოციაციის თავმჯდომარე.

მუხლი 32. ადვოკატის პროფესიული წახალისების ფორმები (12.10.2014)

- 32.1 ადვოკატის პროფესიული წახალისების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს „ილია ჭავჭავაძის“ პირველი და მეორე ხარისხის ორდენი.
- ადვოკატის პროფესიული წახალისების ფორმას წარმოადგენს „ლუარსაბ ანდრონიკაშვილის“ ორდენი.
- ადვოკატის პროფესიული წახალისების ფორმას წარმოადგენს „ადვოკატის ღირსების“ ორდენი.
- 32.2 ადვოკატის პროფესიული ორდენის მინიჭება ხდება ადვოკატთა საერთო კრებაზე, დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.
- 32.3 ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული წახალისების ფორმის მინიჭების წესს განსაზღვრავს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

თავი IX

ასოციაციის გაუქმება და რეორგანიზაცია

მუხლი 33. გაუქმების საფუძვლები

ასოციაციის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილების განხორციელების გზით.

მუხლი 34. ლიკვიდაცია

- 34.1 ასოციაციის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის საერთო კრება.
- 34.2 მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას ლიკვიდატორი შეიძლება დანიშნული იქნას იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ასოციაციას გააჩნია ადგილსამყოფელი. 34.3 ლიკვიდაციის შესახებ ლიკვიდატორი აკეთებს განცხადებას პრესაში და მოიწვევს ყველა კრედიტორს მოთხოვნების წარმოსადგენად და დაუწესებს მათ ვადას. ცნობილ კრედიტორებს იგი პირადად ატყობინებს წერილობით.
- 34.4 ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ასოციაციის ლიკვიდატორმა ლიკვიდაციის დროს:
- ა) უნდა დაამთავროს ასოციაციის სახელით დადებული ყველა გარიგება;
 - ბ) მოახდინოს ქონების ინვენტარიზაცია და შეაფასოს იგი;
 - გ) მოახდინოს ქონების რეალიზაცია;
 - დ) რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით დაფაროს კრედიტორთა მოთხოვნები;
 - ე) განახორციელოს ლიკვიდაციისათვის აუცილებელი სხვა ღონისძიებები.

მუხლი 35. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განაწილება

- 35.1 დაუშვებელია ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განაწილება ასოციაციის წევრებს შორის.
- 35.2 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა ანალოგიური მიზნების მქონე სხვა არაკომერციულ იურიდიულ პირს ან განაწილდება რამდენიმე მსგავს იურიდიულ პირს შორის

თავი X

მარდამავალი დებულებები

მუხლი 36. გარდამავალი დებულებები

- 36.1 ასოციაციის შექმნისას საწევრო შენატანების გადახდა ხდება სადამფუძნებლო კრების ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში.
- 36.2 წესდების პრეამბულა წარმოადგენს მის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, მისი შესრულება სავალდებულოა ასოციაციის არსებობის განმავლობაში. ასოციაციის ნებისმიერი გადაწყვეტილება, დადგენილება ან დოკუმენტი, რომელიც არღვევს პრეამბულით გათვალისწინებულ დებულებებს, თუკი აღნიშნული არ გამომდინარეობს დისციპლინური წარმოების წესებიდან ჩაითვლება წესდების საწინააღმდეგოდ და შესაძლებელია შეცილებული იყოს ამ საფუძვლით.
- 36.3 წესდების 1311, 1313 და 1314 პუნქტების დებულებები და მოთხოვნები არ ვრცელდება იმ საერთო კრებაზე, რომელზედაც იქნა დამტკიცებული წესდების წინამდებარე რედაქცია.

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია საქართველოს
ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ
15 აპრილი, 2006 თბილისი.
ცვლილებები და დამატებები მიღებულია
2012 წლის 8 დეკემბრის საერთო კრებაზე

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა
პროფესიულ ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების
წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან
გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი
ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს
პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს
ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.

თავი I

ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპები

მუხლი 1. პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას,
იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკიდებლობა,

ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.

მუხლი 2. დამოუკიდებლობის პრინციპი

1. ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. (08.12.2012.)
2. ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ. (08.12.2012.)

მუხლი 3. ნდობის პრინციპი

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. (08.12.2012)

მუხლი 4. კონფიდენციალობის პრინციპი

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. (08.12.2012)
2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:
 - ა) კლიენტის წინააღმდეგ;
 - ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს. (08.12.2012)
4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:
 - ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;
 - ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;
 - გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჭონორარის მიღებისათვის. (08.12.2012)
5. ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მონვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა. (08.12.2012)

მუხლი 5. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. (08.12.2012)

მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმომადგენლოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (08.12.2012)
2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:

- ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.
 - ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. (08.12.2012)
3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (08.12.2012)
 4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში. (08.12.2012)
 5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე. (08.12.2012)

მუხლი 7. კოლეგიალობის პრინციპი

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები. (08.12.2012)

თავი II

ადვოკატის ურთიერთობა

სხვა პირებთან და ინსტიტუტებთან

მუხლი 8. ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის

1. ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება,

როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.

2. ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.
3. ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით.
4. ადვოკატმა შეიძლება შეზღუდოს საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე ადვოკატის უხეში გაუფრთხილებლობისთვის. ვალდებულების ამგვარი შეზღუდვა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი წერილობით დათანხმდება ამგვარ შეზღუდვაზე. (08.12.2012)
5. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.
6. ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიანოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.
7. ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.
8. ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. (08.12.2012)
9. ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე წინამდებარე თავის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით.
10. ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის. ამ აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს. (08.12.2012)

11. ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა. (08.12.2012)
12. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით.
13. ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიანდოს ანგარიშგება. (08.12.2012)
14. ადვოკატმა პატიოსნად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, მიუხედავად მისი პირადი ინტერესებისა ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შესაძლო შედეგებისა.
15. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და განეული ხარჯი. (08.12.2012)

მუხლი 8^ე. საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება (08.12.2012)

ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.

მუხლი 9. ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან

1. ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას

და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

2. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მონინალმდევე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა.
3. ადვოკატმა არ უნდა მიანოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.
4. ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას. (08.12.2012)

მუხლი 10. ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის

1. ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.
2. პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.
3. ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.
4. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მონინალმდევე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. (08.12.2012)

მუხლი 11. კოდექსის მოქმედების ფარგლები

1. ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან. (08.12.2012)
2. ეთიკის კოდექსი და მასში ცვლილებები ძალაში შედის საერთო კრების მიერ დამტკიცებისთანავე და არ გააჩნია უკუქცევითი ძალა. (08.12.2012.)
3. (ამოღებულია 08.12.2012).

დაბეჭდვა

ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ

დამტკიცებული 2010 წლის 11 დეკემბერს
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო
კრებაზე.

ცვლილებები და დამატებები მიღებულია 2015
წლის 24 ოქტომბრის საერთო კრებაზე

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მიზანი

ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოების პროცედურას,
ადვოკატებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და
ადვოკატებისათვის პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციის
გაცემის წესს. (24.10.15)

მუხლი 2. დისციპლინური სახდელის დაკისრება

- ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა
შესახებ“ საქართველოს კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის
კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

2. დისციპლინური წარმოება შეიძლება აღიძრას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრის მიმართ ან იმ პირის მიმართ, რომელსაც შეჩერებული აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა იმ პერიოდში განხორციელებული ქმედებისთვის, როდესაც ადვოკატი იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი. ამ შემთხვევაში დისციპლინური სახდელის დაკისრების აღსრულება შეიძლება გადაიდოს იმ ვადით, რა ვადითაც ადვოკატის წევრობა შეჩერებულია.
3. ადვოკატის მიმართ არ აღიძრება დისციპლინური საქმის წარმოება, თუ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თარიღიდან ეთიკის კომისიისთვის მიმართვის დღემდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.
4. დისციპლინური გადაცდომისთვის ადვოკატს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ერთი სახის დისციპლინური სახდელი ცალკე ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა ერთად.
5. ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

მუხლი 3. დისციპლინური წარმოების კონფიდენციალობა და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების საჭაროობა

1. დისციპლინური წარმოების პროცესი კონფიდენციალურია, ხოლო ეთიკის კომისიის და დისციპლინური კოლეგიების სხდომები დახურული. ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში ეთიკის კომისია უფლებამოსილია სხდომა ჩაატაროს საჭაროდ. (24.10.15)
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების, დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის, ასევე გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის ან დისციპლინური საქმის შეწყვეტის შესახებ საჭაროა.
3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრები და აპარატის თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან კანონით განსაზღვრული ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა დისციპლინური წარმოების დროს.

თავი II

ეთიკის კომისიის სტრუქტურა

მუხლი 4. დისციპლინური კოლეგიები

1. ეთიკის კომისია შედგება ხუთი დისციპლინური კოლეგიისგან. ყოველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობაში არის ეთიკის კომისიის სამი წევრი.
2. დისციპლინურ კოლეგიას ხელმძღვანელობს კოლეგიის თავმჯდომარე, რომელიც ანაწილებს საქმეებს კოლეგიის წევრებს შორის, იწვევს და წარმართავს დისციპლინური კოლეგიის სხდომას.
3. დისციპლინური კოლეგიების შემადგენლობას და კოლეგიების თავმჯდომარეებს განსაზღვრავს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თავისი გადაწყვეტილებით ერთი წლის ვადით. დისციპლინური კოლეგიების განსაზღვრისას ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა სპეციალიზაციის მქონე ადვოკატების წარმომადგენლობა ერთი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობაში.
4. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დისციპლინური კოლეგიის წევრი ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას ავადმყოფობის, აცილების ან თვითაცილების ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ნიშნავს ალტერნატიულ წევრს შესაბამისი ვადით.
5. საპროცესო კოლეგიის სხდომები და ყველა სხვა საპროცესო მოქმედება კოლეგიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კოლეგიურად, ასევე კოლეგიის წევრთა მიერ ინდივიდუალურად. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიურად. განხილვის კოლეგიის სხდომები და ყველა სხვა საპროცესო მოქმედება ტარდება კოლეგიურად, დისციპლინური კოლეგიის სამივე წევრის მონაწილეობით. (24.10.15)
6. დისციპლინურ კოლეგიებს ყველა გადაწყვეტილება გამოაქვს ეთიკის კომისიის სახელით.

თავი III

დისციპლინური წარმოება

მუხლი 5. დისციპლინური საქმის წარმოების ეტაპები

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოება მიმდინარეობს არაუმეტეს ორ ეტაპად: საპროცესო კოლეგიაში და განხილვის კოლეგიაში.
2. საპროცესო კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის აღძვრის ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე.
3. თითოეული დისციპლინური კოლეგია ახორციელებს საპროცესო კოლეგიის ფუნქციას 1 თვის განმავლობაში მიმდევრობით, დისციპლინური კოლეგიების ნუმერაციის შესაბამისად.
4. საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შემთხვევაში, დისციპლინური წარმოება სრულდება.
5. საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შემთხვევაში, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დისციპლინურ საქმეს განსახილველად გადასცემს განხილვის კოლეგიას.
6. განხილვის კოლეგიებს დისციპლინური საქმეები გადაეცემათ განსახილველად მიმდევრობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტულ საქმეზე განხილვის კოლეგია ასრულებდა საპროცესო კოლეგიის ფუნქციას ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დისციპლინურ საქმეს გადასცემს განხილვის კოლეგიას, რომელიც მომდევნო ნუმერაციაში.
7. განხილვის კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური სახდელის დაკისრების, დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე.

მუხლი 6. დისციპლინური წარმოების დაწყება დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია:

- ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა.

- ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.
- დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

მუხლი 7. საჩივარი

1. საჩივარი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. საჩივრის ავტორს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დამტკიცებული საჩივრის ფორმა.
2. საჩივარი უნდა შეიცავდეს:
 - ა) განმცხადებლის ვინაობას, მისამართს და საკონტაქტო ინფორმაციას. (ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა).
 - ბ) განმცხადებლის წარმომადგენლის ვინაობას, მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა), თუ განმცხადებელს ჰყავს წარმომადგენელი;
 - გ) იმ ადვოკატის ვინაობას, რომლის წინააღმდეგაც არის საჩივარი წარმოდგენილი; დ) განმცხადებლის მოთხოვნას; ე) გარემოებებს, რომელსაც ეფუძნება მოთხოვნა;
 - ვ) საჩივარზე დართული საბუთების ნუსხას, თუ ისინი თანდართულია, ასევე მოწმეთა ვინაობის შესახებ ინფორმაციას, თუ მათ შეუძლიათ საჩივარში მითითებული გარემოებების დადასტურება.
 - ბ) განმცხადებლის ხელმოწერას.
3. განმცხადებელს შეუძლია მიუთითოს ადვოკატის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა), თუ ეს მისთვის ცნობილია.
4. განმცხადებელმა უნდა წარუდგინოს ეთიკის კომისიას მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს საჩივარში მითითებულ გარემოებებს.
5. საჩივარს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი, კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული საბუთი, თუ საჩივარი ეთიკის კომისიაში შეაქვს წარმომადგენელს.

6. ეთიკის კომისიაში საჩივარი და თანდართული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნას 4 ეგზემპლარად.

მუხლი 8. საჩივრის რეგისტრაცია

1. ეთიკის კომისიის აპარატი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს საჩივარი მიღების დღესვე თუ საჩივარი აკმაყოფილებს დებულების მე-7 მუხლის მოთხოვნებს და მიუთითოს მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი. (24.10.15)
2. საჩივარი გადაეცემა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს ან მისი არყოფნისას, ეთიკის კომისიის მიერ უფლებამოსილ ეთიკის კომისიის წევრს, რომელიც 5 დღის ვადაში გადასცემს საჩივარს საპროცესო კოლეგიის ფუნქციის განმახორციელებელ დისციპლინურ კოლეგიას.

მუხლი 9. საჩივრის განხილვაზე უარის თქმა

ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ:

- ა) საჩივარის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში; ბ) საჩივარი წარდგენილია ქმედუუნარო პირის მიერ;
- გ) საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად;
- დ) დაინტერესებული პირის სახელით საჩივარი შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე;
- ე) ეთიკის კომისიის წარმოებაშია დისციპლინური საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლით;
- ვ) არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე;
- 8) საჩივარი არ შეიცავს ამ დებულებით განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს.

მუხლი 10. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით

1. მხარეებს უფლება აქვთ დისციპლინური საქმის წარმოებაში მონაწილეობა მიიღონ წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლონ ადვოკატის დახმარებით.
2. ეთიკის კომისიის წევრებს ეკრძალებათ მხარის წარმომადგენლობა დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში.

მუხლი 11. დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა

1. დისციპლინურ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ეთიკის კომისიის ის წევრი, რომელიც:
 - ა) თვითონ არის მხარე დისციპლინურ წარმოებაში;
 - ბ) დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია (ახლო ნათესავად ამ დებულების მიზნებისთვის ითვლება კანონისმიერი მემკვიდრე);
 - გ) იყო საპროცესო კოლეგიის წევრი, რომელმაც განიხილა დისციპლინური საქმე;
 - დ) სახელშეკრულებო ან პირად ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე მხარესთან ან მის წარმომადგენელთან;
 - ე) არსებობს სხვა გარემოებები, რომელიც სავარაუდოდ ხელს შეუშლის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად განხილვას.
2. ეთიკის კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება ამ მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნული რომელიმე გარემოების არსებობისას.

მუხლი 12. ეთიკის კომისიის წევრის აცილება

1. დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე ეთიკის კომისიის წევრის ან მთელი დისციპლინური კოლეგიის ამ დებულებით დადგენილი აცილების საფუძველი, უფლება აქვს ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე წერილობით განაცხადოს დასაბუთებული აცილება.
2. დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე მხარემ უნდა წარადგინოს განცხადება აცილების შესახებ 5 დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა გარემოება, რომელიც იძლევა ეთიკის კომისიის წევრის ან დისციპლინური კოლეგიის აცილების საფუძველს.

3. ეთიკის კომისიის წევრის აცილების ან თვითაცილების შესახებ განცხადებას იხილავს დისციპლინური კოლეგია იმ წევრის მონაწილეობის გარეშე, ვისი აცილების ან თვითაცილების საკითხიც დგას. მთელი დისციპლინური კოლეგიის აცილების საკითხი განიხილება ამ დისციპლინური კოლეგიის ყველა წევრის მონაწილეობით. გადაწყვეტილება მიიღება განხილვაში მონაწილე დისციპლინური კოლეგიის წევრების ხმათა უმრავლესობით.
4. აცილების ან თვითაცილების შესახებ განცხადება დაკმაყოფილდება, თუ დადასტურდება მე-11 მუხლის 1-ლ პუნქტში დადგენილი გარემოებები.
5. ეთიკის კომისიის წევრის აცილების ან თვითაცილების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ უნდა გადადოს საქმის განხილვა და მიმართოს ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს დისციპლინური კოლეგიის ალტერნატიული წევრის დანიშვნის თაობაზე, ხოლო მთელი დისციპლინური კოლეგიის აცილების შემთხვევაში - საქმის სხვა დისციპლინური კოლეგიისათვის გადაცემის თაობაზე.

მუხლი 13. დისციპლინური წარმოების ვადები

1. საპროცესო კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საჩივრის ან მიმართვის მიღებიდან 1 თვის ვადაში.
2. განხილვის კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან 3 თვის ვადაში.

მუხლი 14. საჩივრის მიწოდება

1. დისციპლინური კოლეგიისთვის საქმის გადაცემის შემდეგ საჩივრისა (მიმართვის) და თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეცემა ადვოკატს, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია საჩივარი (მიმართვა).
2. ადვოკატი ვალდებულია საჩივრის (მიმართვის) მისთვის გადაცემიდან კოლეგიის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება. (24.10.12)

მუხლი 15. მხარეთა შეტყობინება

1. მხარეს შეტყობინების გზით ეცნობება დისციპლინური კოლეგიის სხდომის დრო და ადგილი. შეტყობინების გზით უნდა მოხდეს აგრეთვე მოწვევების, ექსპერტებისა და თარჯიმნების დაბარება. თუ მხარემ დანიშნა წარმომადგენელი, მაშინ შეტყობინება მხარის ნაცვლად გაეგზავნება მის წარმომადგენელს.
2. მხარეები და დისციპლინური წარმოების მონაწილე სხვა პირები შეიძლება დაბარებულ იქნან ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით.
3. მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შეტყობინება უნდა ჩაბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ ეთიკის კომისიაში დროულად გამოცხადებისა და საქმისთვის მომზადების ვადა.
4. შეტყობინება ადვოკატს ბარდება განმცხადებლის მიერ მითითებულ მისამართზე. თუ ამ მისამართზე ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელია, შეტყობინება იგზავნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ მონაცემებში არსებულ ადვოკატის მისამართზე. ამ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, თუნდაც ადვოკატი აღარ იმყოფებოდეს ამ მისამართზე ან მან უარი განაცხადოს შეტყობინების ჩაბარებაზე.

მუხლი 16. მხარეთა უფლებები დისციპლინური წარმოების პროცესში

დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცხილები; წარადგინონ მტკიცებულებები; ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე.

მუხლი 17. მტკიცებულებათა შეგროვება.

1. მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები.
2. თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები.

3. დისციპლინური კოლეგია არ გაითვალისწინებს კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

მუხლი 18. დისციპლინური წარმოების ხარჯები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია უზრუნველყოფს დისციპლინური წარმოების ხარჯების დაფარვას, გარდა მხარეთა ინიციატივით ადვოკატის, თარჯიმნის, სპეციალისტისა და მოწმის მონვენასთან დაკავშირებული ხარჯებისა, რომელთა დაფარვას უზრუნველყოფს ინიციატორი მხარე.

მუხლი 19. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების შინაარსი

1. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.
2. გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი ორგანოს დასახელება და დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა, საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი და რეგისტრაციის ნომერი, მხარეები, წარმომადგენლები, ადვოკატის მიერ ეთიკის კოდექსის სავარაუდო დარღვევა.
3. გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს საჩივრის ავტორის მოთხოვნა და ადვოკატის პოზიცია საჩივართან დაკავშირებით.
4. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა მიეთითოს ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მტკიცებულებები, რომელსაც ემყარება ეთიკის კომისიის დასკვნები, ის სამართლებრივი ნორმები, რომლითაც იხელმძღვანელა ეთიკის კომისიამ.
5. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს ეთიკის კომისიის დასკვნას საჩივრის დაკმაყოფილების ან უარის თქმის თაობაზე, საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ადვოკატისთვის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეს, ასევე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

მუხლი 20. გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა მხარეებისათვის

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ეგზავნებათ მხარეებს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში.

მუხლი 21. დისციპლინური წარმოების შეჩერება

1. დისციპლინურ კოლეგიას დისკრეციული უფლება აქვს შეაჩეროს დისციპლინური წარმოება იმ შემთხვევაში, თუ:
 - ა) დისციპლინური საქმის შესწავლის პერიოდში დისციპლინური კოლეგიისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა ობიექტური სირთულეები (ადვოკატის ავადმყოფობა, მტკიცებულებების შეგროვებისთვის საჭირო დრო, სხვ.), რის გამოც შეუძლებელია დისციპლინური წარმოების გაგრძელება;
 - ბ) დისციპლინური საქმის მასალების მიხედვით ადვოკატის ქმედებაში აშკარაა დანაშაულის ნიშნების არსებობა. ასეთ შემთხვევაში დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებით დისციპლინური საქმის მასალები ეგზავნება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს;
 - გ) ამავე ადვოკატის მიმართ ეთიკის კომისიის წარმოებაშია დისციპლინური საქმე, რომელის შედეგებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებაზე.
2. ამ მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით დისციპლინური წარმოების შეჩერებისას, დისციპლინური წარმოება უნდა განახლდეს შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისთანავე, ხოლო „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთანავე.
3. დისციპლინური წარმოების განახლების თაობაზე დისციპლინური კოლეგია იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
4. დისციპლინური წარმოების შეჩერების ვადა არ ჩაითვლება ამ დებულებით განსაზღვრულ დისციპლინური წარმოების ვადებში.

მუხლი 22. დისციპლინური წარმოების შეწყვეტა

1. დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა;
 - ბ) (ამოღებულია 24.10.2015)
 - ბ) საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე). (24.10.15)
2. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს დისციპლინური წარმოების დაწყების შემდეგ შეუწყდება ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, დისციპლინური წარმოება შეჩერდება არაუმეტეს 5 წლისა. დისციპლინური წარმოება განახლდება ადვოკატის მიერ წევრობის აღდგენისას. (24.10.15)

მუხლი 23. დისციპლინური გადაცდომის განმეორებით ჩადენა

1. დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე, ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის განმეორებით ჩადენა, როგორც წესი, გამოიწვევს უფრო მძიმე დისციპლინური სახდელის დაკისრებას, ვიდრე ადვოკატისათვის წინა დისციპლინური გადაცდომის გამო დაკისრებული დისციპლინური სახდელი იყო.
2. დისციპლინური სახდელის გაქარწყლების შემდეგ, ადვოკატის მიერ განმეორებით ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას მხედველობაში არ მიიღება გაქარწყლებული დისციპლინური სახდელი.

მუხლი 24. დისციპლინური სახდელის გაქარწყლება

1. ადვოკატის გაფრთხილება გაქარწყლებულად ჩაითვლება პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ.
2. ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერების შემთხვევაში აღნიშნული დისციპლინური სახდელი გაქარწყლდება წევრად აღდგენიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი 25. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება

1. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლისთანავე ან, ადვოკატის მიერ მისი გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

მუხლი 26. დისციპლინური საქმის შენახვა

დისციპლინური საქმის მასალები ინახება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში დისციპლინურ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის განმავლობაში.

თავი IV

საპროცესო კოლეგიის მიერ

დისციპლინური წარმოების თავისებურებები

მუხლი 27. საპროცესო კოლეგიის უფლებამოსილებები საპროცესო კოლეგია დისციპლინური საქმის წარმოებისას:

- ა) შეისწავლის საჩივარს (მიმართვას) და მასზე დართულ საქმის მასალებს;
- ბ) მხარეებს ჩამოართმევს წერილობით ახსნა-განმარტებებს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით;
- გ) განიხილავს მხარეების შუამდგომლობებს დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში;
- დ) შეისწავლის მხარეებს მიერ წარმოდგენილ დამატებითი მტკიცებულებებს ან თავისი ინიციატივით გამოითხოვს საქმესთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს;
- ე) იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე.

მუხლი 28. მხარეთა ახსნა-განმარტებები

1. საპროცესო კოლეგიის შეუძლია შეხვდეს მხარეებს ცალ-ცალკე და მოსთხოვოს მათ წერილობითი ახსნა-განმარტებების გაკეთება მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით დაუსვას მხარეებს შეკითხვები.
2. მხარეთა მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტება მტკიცებულების სახით დაერთვის საქმეს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია დისტანციური საშუალებების გამოყენებით (ტელეფონი,

ვიდეო ან სხვა ტექნიკური საშუალებები), თუ შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება.

4. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა ან გამოცხადებული მხარის უარი, მისცეს ახნა-განმარტება, ვერ დააბრკოლებს დისციპლინური საქმის განხილვას.

მუხლი 29. დისციპლინური საქმეების გაერთიანება

თუ საპროცესო კოლეგიას გადაეცა რამდენიმე საჩივარი (მიმართვა) ერთი და იმავე ადვოკატის წინააღმდეგ, რომელიც წარდგენილია ერთი მხარის მიერ, მას აქვს უფლება ისინი გააერთიანოს ერთ წარმოებად და მიიღოს ერთიანი გადაწყვეტილება.

მუხლი 30. დისციპლინური დევნის დაწყება ან დაწყებაზე უარის თქმა

1. საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატის მიმართ დაიწყება დისციპლინური დევნა, თუ საქმეში წარმოდგენილი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, სავარაუდოა ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5-მე-9 მუხლებით, 351 მუხლით ან „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ ნორმებით განსაზღვრული ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების დარღვევა.
2. საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატის მიმართ არ დაიწყება დისციპლინური დევნა, თუ საქმეში არსებული გარემოებების დადასტურების შემთხვევაშიც, ადვოკატის ქმედება არ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.

მუხლი 31. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება

1. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება მიიღება ეთიკის კომისიის სახელით საპროცესო კოლეგიის შემადგენლობის უმრავლესობით.
2. გადაწყვეტილებას ხელს აწერს საპროცესო კოლეგიის ყველა წევრი. საპროცესო კოლეგიის წევრის განსხვავებული აზრი წერილობით დაერთვის გადაწყვეტილებას.

მუხლი 32. საპროცესო კოლეგიის მიერ საქმის შეწყვეტა (ამოღებულია 24.10.15)

თავი V

განხილვის კოლეგიის მიერ

დისციპლინური წარმოების თავისებურებები

მუხლი 33. განხილვის კოლეგიის სხდომა

1. განხილვის კოლეგიის სხდომაში მონაწილეობის უფლება აქვთ დისციპლინური საქმის მხარეებს, მათ წარმომადგენლებს და თარჯიმნებს.
2. განხილვის კოლეგია დისციპლინურ საქმეს იხილავს მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით.
3. განხილვის კოლეგიის თავმჯდომარე ხსნის სხდომას, აცხადებს განხილვის კოლეგიის შემადგენლობას, სხდომის მდივნის ვინაობას და თუ რომელი დისციპლინური საქმე იქნება განხილული.
4. სხდომის მდივანი მოახსენებს განხილვის კოლეგიას გამოცხადებულ პირთა ვინაობას, ასევე ინფორმაციას რომელიმე მხარის გამოუცხადებლობის და მისთვის შეტყობინების ჩაბარების თაობაზე.
5. კოლეგიის თავმჯდომარე განუმარტავს მხარეებს ეთიკის კომისიის რომელიმე წევრის ან მთელი კოლეგიის აცხადების უფლებას, ასევე შუამდგომლობების და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის და ადვოკატის ყოლის უფლებას.
6. განხილვის კოლეგია მოისმენს განმცხადებლის ახსნა-განმარტებას და პასუხებს განხილვის კოლეგიის მიერ დასმულ შეკითხვებზე, მოისმენს ადვოკატის განმარტებას და პასუხებს კოლეგიის მიერ დასმულ შეკითხვებზე, რის შემდეგაც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები.
7. მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ, განხილვის კოლეგია უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწოს სადავო ფაქტებთან დაკავშირებული მტკიცებულებები.
8. განხილვის კოლეგიას უფლება აქვს სხდომაზე მოიწვიოს და შეკითხვებით მიმართოს მოწმეებსა და ექსპერტებს საქმეში არსებული გარემოებების გამოკვლევის მიზნით, ასევე მისცეს მხარეებს მათთვის შეკითხვების დასმის საშუალება.

9. თუ მხარის მიერ დასმული შეკითხვა შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოებების გამოკვლევას, განხილვის კოლეგიას შეუძლია მოხსნას ის თავისი ინიციატივით ან მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.
10. განხილვის კოლეგიის სხდომის ბოლოს, მხარეებს უფლება აქვთ გამოვიდნენ შემაჯამებელი სიტყვით, ამასთან ბოლოს შემაჯამებელ სიტყვას წარმოთქვამს ადვოკატი, რის შემდეგაც კოლეგიის თავმჯდომარე სხდომას აცხადებს დახურულად.

მუხლი 34. განხილვის კოლეგიის სხდომის გადადება

1. თუ ადვოკატი, რომლის წინააღმდეგ აღძრული დისციპლინური დევნა, არ ესწრება სხდომას, ან თუ განხილვის სხდომის მიმდინარეობისას, მხარეები დააყენებენ შუამდგომლობას დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის, პირების მონმედ გამოძახების ან სხვა საპროცესო მოქმედების განხორციელების თაობაზე, განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით სხდომა გადაიდება 10 დღით.
2. ადვოკატის არასაპატიო მიზეზით ხელმეორედ გამოუცხადებლობა განხილვის კოლეგიის სხდომაზე არ აბრკოლებს საკითხის განხილვას.

მუხლი 35. განხილვის კოლეგიის გადანყვეტილება

1. განხილვის კოლეგიის გადანყვეტილება მიიღება განხილვის კოლეგიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
2. გადანყვეტილებას ხელს აწერს განხილვის კოლეგიის ყველა წევრი. განხილვის კოლეგიის წევრის განსხვავებული აზრი წერილობით დაერთვის გადანყვეტილებას.

მუხლი 36. დისციპლინური საქმის გადაცემა ეთიკის კომისიისათვის

თუ განხილვის კოლეგია დისციპლინური საქმის განხილვის პროცესში მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, განხილვის კოლეგია თავისი გადაწყვეტილებით დისციპლინური საქმეს განსახილველად გადასცემს ეთიკის კომისიას.

მუხლი 37. განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი

1. განხილვის კოლეგიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს განხილვის კოლეგიის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
2. განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:
 - ა) განხილვის კოლეგიის სხდომის წელი, თვე, რიცხვი და ადგილი; ბ) განხილვის კოლეგიის სხდომის დანყების და დამთავრების დრო;
 - გ) საქმის განმხილველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა და სხდომის მდივანი;
 - დ) დისციპლინური საქმის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი, საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თარიღი;
 - ე) სხდომაზე წარმოდგენილი მხარეებისა და სხვა პირების ვინაობას;
 - ზ) მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებებს და შეკითხვებზე პასუხი;
 - თ) მოწმეთა ჩვენებები, მტკიცებულებების გამოკვლევის მონაცემები;
 - ი) მხარეთა შემაჯამებელი განცხადებების შინაარსი.
3. მხარეებს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ ოქმში იმ გარემოებათა შეტანის თაობაზე, რომელსაც მათი აზრით საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.
4. სხდომის მიმდინარეობის ჩანერა შესაძლებელია ელექტრონული საშუალებების გამოყენებითაც.
5. სხდომის ოქმი თან ერთვის დისციპლინურ საქმეს.

მუხლი 38. კერძო სარეკომენდაციო ბარათი

1. განხილვის კოლეგიის მიერ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში, კერძო სარეკომენდაციო ბარათი უნდა შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში ჩადენის თავიდან აცილების მიზნით.
2. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია.

თავი VI

ეთიკის კომისიის მიერ

დისციპლინური წარმოების თავისებურებები

მუხლი 39. ეთიკის კომისიის უფლებამოსილება

1. ეთიკის კომისია კანონით დადგენილ შემთხვევებში იხილავს დისციპლინურ საქმეს ამ დებულების III და V თავით დისციპლინური კოლეგიებისათვის დადგენილი წესით, ამ თავში მითითებულ თავისებურებათა გათვალისწინებით.
2. ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვისას განხილვის კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ან, მისი არყოფნისას, ეთიკის კომისიის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წევრი.
3. ეთიკის კომისიამ დისციპლინური საქმე უნდა განიხილოს არანაკლებ 12 წევრის მონაწილეობით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება არანაკლებ 10 წევრის მიერ. მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით დადგენილი საპროცესო კოლეგიის წევრებზე მონაწილეობის შეზღუდვა.
4. ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაშიც, თუ ის ჩათვლის, რომ ადვოკატის მიმართ გამოყენებული უნდა იქნას დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება ან დისციპლინური სახდელი გაფრთხილების სახით.

თავი VII

გასაჩივრების წესი

მუხლი 40. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებები არ საჩივრდება.
2. განხილვის კოლეგიის ან ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს ამ ადვოკატის მიერ მისთვის

გადაწყვეტილების გადაცემიდან 1 თვის განმავლობაში კანონით დადგენილი წესით.

თავი VIII

რეკომენდაციების გაცემა (09.12.2012)

მუხლი 41. რეკომენდაციის არსი

1. რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება არის თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.
2. რეკომენდაცია არ არის ეთიკის კომისიისათვის სავალდებულო. რეკომენდაციაში დაფიქსირებული მოსაზრებით კომისია არ იზღუდება დისციპლინური სამართალწარმოების დროს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას.
3. რეკომენდაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

მუხლი 42. შეკითხვით მიმართვა

შეკითხვით მიმართვის უფლება აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედ წევრს.

მუხლი 43. შეკითხვის ფორმა

1. შეკითხვით მიმართვა შესაძლებელია ზეპირად ან წერილობით ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.
2. შეკითხვა უნდა აღწერდეს ჰიპოთეტურ ფაქტებს, შესაძლო ქმედებას და არ შეიცავდეს ინფორმაციას კონკრეტულ პირზე.

მუხლი 44. შეკითხვის რეგისტრაცია

დებულების 43-ე მუხლით დადგენილი წესის დაუცველად წარმოდგენილი შეკითხვა არ განიხილება.

მუხლი 45. შეკითხვის განხილვის წესი

1. შეკითხვა რეგისტრირდება ამ დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.
2. წერილობით შეკითხვას, მისი შინაარსის და ამ მუხლის წესების გათვალისწინებით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გადასცემს კომისიის იურისტს, მორიგე საპროცესო კოლეგიას ან ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.
3. წერილობით შეკითხვაზე, რომელიც ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების განმარტებას და დადგენილია ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკით, რეკომენდაციას მოამზადებს კომისიის იურისტი.
4. შეკითხვაზე, რომელიც ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების განმარტებას და არ არის დადგენილი ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკით, რეკომენდაციას მოამზადებს დისციპლინური კოლეგია, რომელიც მორიგეობს საპროცესო კოლეგიის სახით.
5. შეკითხვაზე, რომელიც ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების განმარტებას, არ არის დადგენილი ეთიკის კომისიის პრაქტიკით და საკითხის სირთულით ხასიათდება, რეკომენდაციას მოამზადებს ეთიკის კომისია არანაკლებ რვა წევრის მონაწილეობით.
6. რეკომენდაციის კოლეგიურად მომზადებისას ეთიკის კომისია საბოლოო მოსაზრებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით.
7. რეგისტრირებული შეკითხვის განხილვისას, თუ აღმოჩნდება, რომ ანალოგიურ საკითხზე არსებობს რეკომენდაცია, კომისიას შეუძლია არ გასცეს რეკომენდაცია და მიუთითოს არსებულზე.
8. რეკომენდაცია ეგზავნება ადვოკატს.
9. ეთიკის კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია უარი თქვას რეგისტრირებული შეკითხვის განხილვაზე, თუ მოთხოვნილი რეკომენდაცია ეხება კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ საქმეს.

10. შევითხვის განხილვაზე უარი ეცნობება ადვოკატს.

მუხლი 46. რეკომენდაციის ფორმა

რეკომენდაცია უნდა შეიცავდეს შევითხვას და დასაბუთებულ პასუხს, ასევე მითითებას, რომ ეთიკის კომისიის რეკომენდაციას არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

მუხლი 47. რეკომენდაციის გაცემის ვადა რეკომენდაციის გაცემის ვადა არ აღემატება 45 დღეს.

მუხლი 48. ბეპირი რეკომენდაცია და მისი გაცემის წესი

1. ბეპირი რეკომენდაცია არის ეთიკის კოდექსის ნორმებზე, რომელზედაც არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა, ასევე დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურულ საკითხებზე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ დებულების ნორმების განმარტება.
2. ბეპირი რეკომენდაცია გაიცემა კომისიის იურისტის მიერ სატელეფონო „ცხელი ხაზის“ მეშვეობით.
3. ბეპირი რეკომენდაცია გაიცემა ადვოკატზე, რომლის იდენტიფიცირება შესაძლებელია ადვოკატთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების საფუძველზე.
4. კომისიის იურისტი ერთიან რეესტრში ამოწმებს ადვოკატის სახელს, გვარს, პირად #-ს, სიით #-ს, სპეციალიზაციას და მხოლოდ ამის შემდეგ გასცემს პასუხს ადვოკატს.
5. ადვოკატსა და იურისტს შორის საუბარი, რაც ეცნობება ადვოკატს საუბრის დაწყებისთანავე, იწერება ტექნიკური საშუალების გამოყენებით და ინახება კომისიის არქივში.
6. იურისტი უფლებამოსილია ადვოკატის შევითხვა ჩაინეროს და რეკომენდაცია გასცეს შევითხვის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 05 სამუშაო დღისა.
7. იურისტი არ უპასუხებს შევითხვებს, რომელიც გამოქვეყნებულია ხშირად დასმული კითხვების სახით.

მუხლი 50. კონფიდენციალობა

რეკომენდაციის მომთხოვნი ადვოკატის ვინაობა რეგისტრირდება და ინახება ეთიკის კომისიის მონაცემთა ბაზაში და ხელმისაწვდომია მხოლოდ ეთიკის კომისიისათვის.

მუხლი 51. რეკომენდაციის საჯაროობა

წერილობითი რეკომენდაცია საჯაროა, ადვოკატის იდენტიფიცირების გარეშე და ქვეყნდება ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე, ასევე, ასოციაციის პერიოდულ გამოცემაში.

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება ადვოკატის ორდერის ნიშნის დამტკიცების“ შესახებ

ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #4/8, ბ. #6

1 თებერვალი 2006 წელი

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:

კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), რუსუდან პიტავა, ზაზა ხატიაშვილი, დავით ასათიანი, დავით ლანჩავა, როინ მიგრიაული, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ზურაბ ტაბიძე

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

გ ა დ ა ნ ყ დ ა:

- რეკვიზიტები, რომლებიც სავალდებულოა ორდერისთვის:
 - იურიდიული ფირმის, ბიუროს, ადვოკატის დასახელება, მისამართი, ორდერის გაცემის თარიღი;
 - დოკუმენტის დასახელება – ორდერი;
 - ადვოკატი – სახელი, გვარი, სიითი ნომერი;
 - იურიდიული პირი – სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი;
 - დავალების შინაარსი (უნდა მოიცავდეს საპროცესო მოქმედებას და მათი შესრულების ადგილს ან ორგანოს);
 - ორდერის გამცემი პირის ხელმოწერა; 8) ორდერის მოქმედების ვადა.

აღნიშნული რეკვიზიტები ადვოკატს უფლებას აძლევს ინდივიდუალურად გამოწეროს ორდერი. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

პახაბაძე ასლანიშვილი

თავმჯდომარე

განგრძობადი იურიდიული განათლების წესები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, ასოციაციის წესდების 151 მუხლის შესაბამისად, ადგენს განგრძობადი იურიდიული განათლების (შემდგომში გ.ი.გ-ის) სისტემას, ყველა პრაქტიკოსი ადვოკატისათვის საქართველოში.

მუხლი 1. განგრძობადი იურიდიული განათლების მნიშვნელობა და მიზანი

განგრძობადი იურიდიული განათლება გულისხმობს საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო მოთხოვნების არსებობას ადვოკატებისათვის. განგრძობადი იურიდიული განათლების მიზანია ადვოკატთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავება.

მუხლი 2. განგრძობადი იურიდიული განათლების პერიოდულობა და ხელმისაწვდომობა

- 2.1. სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებისათვის, ვადას ადგენს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.
- 2.2. საანგარიშო პერიოდის ათვლა იწყება ყოველი წლის 1 იანვრიდან და სრულდება მიმდინარე წლის 20 დეკემბერს.
- 2.3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ორგანიზებულ, სავალდებულო, საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დასწრება ადვოკატებისათვის უფასოა. აღნიშნული არ გამორიცხავს სხვადასხვა საკითხებზე ფასიანი საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას, რომლებზე დასწრებაც ადვოკატებისთვის ნებაყოფლობითია.

მუხლი 3. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე რეგისტრაცია

- 3.1. თუ საგანმანათლებლო ღონისძიებაზე დარეგისტრირების შემდეგ, ადვოკატი ვერ ახერხებს ღონისძიებაზე დასწრებას, იგი ვალდებულია, მინიმუმ, 7 (შვიდი) დღით ადრე, მიაწოდოს ინფორმაცია ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრს.

- 3.2. ინფორმაციის მიწოდების ვადის დარღვევის და არასაპატიო მიზეზით, საგანმანათლებლო ღონისძიების ორჯერ გაცდენის შემთხვევაში, ადვოკატი იხდის საფასურს, ადვოკატი იხდის საფასურს, მიმდინარე წელს დაგეგმილ ფასიან საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.
- 3.3. ფასიანი საგანმანათლებლო ღონისძიების საფასურის ოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზატორის მიერ, ხოლო ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული ფასიანი საგანმანათლებლო ღონისძიების საფასურს განსაზღვრავს აღმასრულებელი საბჭო.
- 3.4. საგანმანათლებლო ღონისძიების გაცდენის საპატიო მიზეზად ჩაითვლება ადვოკატის მიერ საგანმანათლებლო ღონისძიებაზე დასწრების შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საგანმანათლებლო ღონისძიებაზე დასწრებას ან/და ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრისთვის ინფორმაციის მიწოდებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს საგანმანათლებლო ღონისძიებაზე დასწრების შეუძლებლობაზე.
- 3.5. საანგარიშო პერიოდში (მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრამდე) უფასო საგანმანათლებლო ღონისძიებაზე განმეორებითი რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 4. განგრძობადი იურიდიული განათლების სავალდებულო კრედიტ-საათების რაოდენობა და მათი გადანაწილება

- 4.1. საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, აღმასრულებელი საბჭო მიმდინარე წლის ბოლოს ადგენს სავალდებულო კრედიტ-საათების ოდენობას და განსაზღვრავს სავალდებულო საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩამონათვალს მომდევნო წლისათვის.
- 4.2. ერთი კრედიტ-საათის ოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო ღონისძიების ერთი ასტრონომიული საათით.
- 4.3. შესაძლებელია დამატებით დაგროვებული კრედიტ-საათების მომდევნო წლის საანგარიშო პერიოდზე გადატანა. გადატანილი კრედიტ-საათების რაოდენობას, სასწავლო ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე, ადგენს აღმასრულებელი საბჭო.

- 4.4. კრედიტ-საათების დაგროვება შესაძლებელია, მხოლოდ აღმასრულებელი საბჭოს მიერ აკრედიტებულ ღონისძიებებში მონაწილეობით.
- 4.5 აღმასრულებელ საბჭოს უფლება აქვს კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვროს წლის პრიორიტეტული მიმართულებები, საკითხის აქტუალობის და პროფესიაში სიახლის დანერგვის მიზნით და ამ კონკრეტულ კალენდარულ წელს, არ გასცეს აკრედიტაცია შერჩეული პრიორიტეტული საგნის სწავლებაზე, განგრძობადი იურიდიული განათლების პროვაიდერ ან ნებისმიერ სხვა ორგანიზაციაზე. აღმასრულებელი საბჭოს მიერ მსგავსი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული წესი ასევე გავრცელდება ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მქონე ინსტიტუციებზე.

მუხლი 5. განრძობადი იურიდიული განათლების სპეციალიზაცია

ადვოკატებისთვის გ.ი.გ.-ის ფარგლებში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები არ არის განსაზღვრული სპეციალიზაციების მიხედვით, შესაბამისად მათ ეძლევა თავისუფალი არჩევანის უფლება, ინტერესის სფეროდან გამომდინარე, თავად განსაზღვრონ, სავალდებულო ღონისძიებების გარდა, რომელ ღონისძიებებზე დასწრებით დააგროვებენ სავალდებულო კრედიტ-საათებს.

მუხლი 6. კრედიტ-საათების დაჯამების სისტემა

- 6.1. ყოველი მიმდინარე წლის ბოლოს, სავალდებულო კრედიტ-საათების დაჯამების ორგანიზებას უზრუნველყოფს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი.
- 6.2. კრედიტ-საათების დაჯამება ხდება მიმდინარე წლის მანძილზე საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზატორების მიერ, წარმოდგენილი მონაწილეთა აღრიცხვის ფორმის საფუძველზე.
- 6.3. შედეგების დაფიქსირება ხდება პროგრამულად, ადვოკატთა ასოციაციის წევრთა საერთო სიაში, თითოეული ადვოკატის პირად საინფორმაციო ბაზაში შეტანის გზით.

მუხლი 7. სანქციები გ.ი.გ.-ის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში

- 7.1. აღმასრულებელი საბჭო აწესებს ადმინისტრაციულ სანქციებს იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი არ დააკმაყოფილებს განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნებს.
- 7.2. თუ ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მონაცემებით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე (მიმდინარე

წლის 20 დეკემბრამდე) ადვოკატმა ვერ დააგროვა სავალდებულო კრედიტ-საათები, სასწავლო ცენტრი, აღმასრულებელი საბჭოს სახელით, კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ადვოკატებს უგზავნის “გაფრთხილებას” და აძლევს შეტყობინების მიღებიდან 3 თვიან ვადას, განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულ პერიოდში ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებზე დასწრებაც, კრედიტ-საათების დავალიანების მქონე, ადვოკატებისთვის ფასიანია. ფასიანი საგანმანათლებლო ღონისძიების ღირებულება განისაზღვრება ღონისძიების ორგანიზატორის მიერ. სამი თვის გასვლის შემდეგ, სასწავლო ცენტრი წარუდგენს აღმასრულებელ საბჭოს კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ადვოკატთა საბოლოო სიას და აღმასრულებელი საბჭო იმსჯელებს კრედიტ-დავალიანების მქონე ადვოკატთა უფლებამოსილების შეჩერების საკითხზე.

- 7.3. უფლებამოსილების აღდგენა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში მონაწილეობას მიიღებს, ფასიან საგანმანათლებლო ღონისძიებაში და გადაიხდის დამატებით გადასახადს, რომლის ოდენობაც განისაზღვრება მისი საწევროს ნახევარი თანხით.

მუხლი 8. სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვება სტატუსის მიხედვით

- 8.1 ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრები, სავალდებულო კრედიტ-საათებს აგროვებენ საანგარიშო პერიოდში, მიმდინარე წლის, 1 იანვრიდან 20 დეკემბრამდე, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, დადგენილი სავალდებულო კრედიტ-საათების ოდენობისა და სავალდებულო საგანმანათლებლო ღონისძიებების მიხედვით.
- 8.2 ადვოკატის უფლებამოსილება შეჩერებული წევრები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიდგენენ ადვოკატის სტატუსს, სავალდებულო კრედიტ-საათებს აგროვებენ მე-8 მუხლის 8.1 პუნქტის მიხედვით. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდის, 30 ნოემბრის შემდეგ, ადვოკატის უფლებამოსილების აღდგენის შემთხვევაში, სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვება ხდება მომავალი წლის საანგარიშო პერიოდში, 1 იანვრიდან 20 დეკემბრამდე.
- 8.3 ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების წელს, ადვოკატებმა, სავალდებულო კრედიტ-საათები უნდა დააგროვონ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, ახლადგაწევრიანებული წევრებისთვის შემუშავებული სასწავლო პროგრამის მიხედვით, რომელიც

დამტკიცებულია ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ.

მუხლი 9. განგრძობადი იურიდიული განათლების შეღავათების სისტემა

9.1. განგრძობადი იურიდიული განათლების წესები ვრცელდება ყველა პრაქტიკოს ადვოკატზე, მაგრამ სხვადასხვა საქმიანობის ან აქტივობის განხორციელების შედეგად, გათვალისწინებულია კრედიტ-საათების დაგროვებისთვის გარკვეული შეღავათები და ვრცელდება შემდეგი კატეგორიის ადვოკატებზე რომელთაც:

- მინიჭებული აქვთ პროფესორის სტატუსი და/ან ეწევიან საგანმანათლებლო საქმიანობას (ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის ტრენინგების ჩატარების გზით);
- თავიანთი ავტორობით, რეფერირებად ჟურნალში განთავსებული აქვთ იურიდიული შინაარსის პუბლიკაცია;
- ქართულ ენაზე ნათარგმნი აქვთ იურიდიული ნაშრომები/დოკუმენტები;
- თავიანთი ავტორობით გამოცემული აქვთ იურიდიული შინაარსის წიგნი;
- მიმდინარე წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციებში და წარმოადგენენ ასეთი ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელ საბუთს; მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიენიჭათ დოქტორის ხარისხი;
- ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, არ შეუძლიათ საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დასწრება. (აღნიშნულ შემთხვევაში ადვოკატმა, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის სახელზე, უნდა წარმოადგინოს განცხადება და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ).

9.2 მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ და სხვა შემთხვევებში, ადვოკატებზე შეღავათების გავრცელების შესახებ გადაწყვეტილებას, ანგარიშის სახით, საგანმანათლებლო საბჭო წარუდგენს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს.

ბაქოს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ

მიღებულია გაერთიანებული ერების მერვე
კონგრესის მიერ დანაშაულის აღმოფხვრისა და
სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ

ჰავანა, კუბა, 27 აგვისტო – 7 სექტემბერი, 1990

ვინაიდან გაერთიანებული ერების წესდებაში მსოფლიოს ხალხი, ინტერ
ალია, განამტკიცებს მის სწრაფვას შექმნას ისეთი პირობები, სადაც
შენარჩუნებული იქნება სამართლიანობა, და თავის ერთ-ერთ მიზნად
აცხადებს საერთაშორისო თანამშრომლობის მიღწევას ადამიანის
უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის
ხელშეწყობას და მხარდაჭერის გზით, განურჩევლად რასის, სქესის, ენის
და რელიგიის,

ვინაიდან ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია
იცავს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, უდანაშაულობის
პრეზუმციას, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ
განხორციელებული სამართლიანი და ღია მართლმსაჯულების უფლებას
და ყველა აუცილებელ გარანტიებს იმ პირთა დასაცავად, ვისაც წაყენებული
აქვს სისხლისსამართლებრივი ბრალდება.

ვინაიდან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო
პაქტი დამატებით აღიარებს ყველას უფლებას გასამართლებელ იქნას
დაუყოვნებლივ და კანონის შესაბამისად შექმნილი კომპეტენტური,
დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ სამართლიანი და
ღია პროცედურით,

ვინაიდან სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების
საერთაშორისო პაქტი სახელმწიფოებს შეახსენებს გაერთიანებული
ერების წესდებით აღიარებულ ვალდებულებას ხელი შეუწყონ ადამიანის
უფლებებისა და თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას,

ვინაიდან რაიმე ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის
პრინციპთა ერთობლიობა აღიარებს დაკავებული პირის უფლებას
დამცველის დახმარებაზე, მასთან ურთიერთობასა და კონსულტაციაზე,

ვინაიდან პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები განსასჯელთათვის უზრუნველყოფს იურიდიული დახმარებისა და ადვოკატთან კონფიდენციალურ ურთიერთობას,

ვინაიდან სიკვდილმისჯილთა დაცვის გარანტიები უზრუნველყოფს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის შესაბამისად სასამართლო პროცესის ყველა სტადიაზე სათანადო იურიდიული დახმარების უფლებას ყველა ეჭვმიტანილის ან ბრალდებულისათვის, რომელსაც შეიძლება სიკვდილით დასჯა შეეფარდოს,

ვინაიდან სამართლიანობის ძირითადი პრინციპების დეკლარაცია დანაშაულისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების მსხვერპლთა შესახებ რეკომენდაციას უწევს იმ საერთაშორისო და შიდასა ხელმწიფოებრივ ზომებს, რომლებიც გააუმჯობესებს სამართლიანობის ხელმისაწვდომობის, რესტიტუციის, კომპენსაციის და დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების პირობებს,

ვინაიდან ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ადექვატური დაცვა, რომელზეც ყველა ადამიანს აქვს უფლება, იქნება ეს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ან სამოქალაქო და პოლიტიკური, მოითხოვს, რომ ყველა პირს ჰქონდეს დამოუკიდებელი ადვოკატის მიერ გაწეულ იურიდიულ მომსახურებასთან ეფექტური ხელმისაწვდომობის საშუალება,

ვინაიდან ადვოკატთა პროფესიულ გაერთიანებებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებათ პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის წესების დამკვიდრების ხელშეწყობის, მათი წევრების შევიწროებისა და შესაბამო შეზღუდვებისაგან დაცვის, ყველსათვის ვინც ამას საჭიროებს, იურიდიული დახმარების გაწევისა და სამთავრობო და სხვა დაწესებულებებთან სამართლიანობისა და სამოგადოების ინტეგრირების დასაცავად თანამშრომლობის საქმეში,

წინამდებარე ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ შეიქმნა მონაწილე სახელმწიფოების დასახმარებლად, რათა მათ ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ ადვოკატთა როლის დამკვიდრება. მთა ვრობებმა შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ფარგლებში პატივი უნდა სცენ და ანგარიში გაუწიონ წინამდებარე პრინციპებს და ისინი უნდა გადაეცეს როგორც ადვოკატებს, ასევე სხვა პირებს, კერძოდ, მოსამართლეებს, პროკურორებს, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მთლიანად, სამოგადოებას. ეს პრინციპები თანაბრად უნდა შეეფარდოს იმ პირებს, რომლებიც ახორციელებენ ადვოკატთა ფუნქციებს ადვოკატის ფორმალური სტატუსის გარეშე.

ადვოკატიზა და იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა

1. ყველა ადამიანს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ არჩეული ადვოკატის დახმარება მისი უფლებების სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა სტადიაზე დაცვისათვის.
2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათ ტერიტორიაზე მცხოვრები და მათ იურისდიქციას დაქვემდებარებული ყველა პირისთვის საადვოკატო მომსახურებასთან ეფექტური და თანაბარი ხელმისაწვდომობის სათანადო პროცედურებისა და ადექვატური მექანიზმების არსებობა, მიუხედავად მათი რასის, ფერის, ეთნიკური წარმოშობის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებების, ეროვნული თუ სოციალური კუთვნილების, საკუთრების, დაბადების, ეკონომიკური ან სხვა სტატუსისა.
3. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ღარიბთა და საჭიროებისამებრ სხვა დაუცველი პირებისათვის იურიდიული დახმარების სათანადო დაფინანსებისა და სხვა რესურსების გამოყოფა. ადვოკატთა პროფესიულმა გაერთიანებებმა უნდა ითანამშროლონ მომსახურების, პირობებისა და სხვა რესურსების ორგანიზებისა და მობილიზაციისათვის.
4. სახელმწიფოებმა და ადვოკატთა პროფესიულმა გაერთიანებებმა ხელი უნდა შეუწყონ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას მათი კანონიერი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ასევე, მათი უფლებების დასაცავად ადვოკატთა მნიშვნელოვან როლზე. სპეციალური ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბთა და სხვა სოციალურად დაუცველ პირთა დახმარებას, რათა მათ საშუალება მიეცეთ განამტკიცონ თავიანთი უფლებები და საჭიროებისამებრ მოითხოვონ ადვოკატის დახმარება.

სპეციალური ბარანდიები სისხლის სამართალწარმოებაში

5. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა ყველა ადამიანი დაუყოვნებლივ ინფორმირებულ იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ მისი უფლებების შესახებ მოითხოვს მის მიერ არჩეული ადვოკატის

დახმარება დაკავების, დაპატიმრების ან სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენების დროს.

6. პირს, რომელსაც არ ჰყავს ადვოკატი და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მართალმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს, უფლება აქვს ჰყავდეს სამართალდარღვევის ხასიათის შესაბამისი გამოცდილების მქონე კომპეტენტური ადვოკატი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი ეფექტური იურიდიული დახმარება.
ასეთი დახმარება უნდა განხორციელდეს უფასოდ, თუ ამ პირს საფასურის გადახდისათვის სათანადო სახსრები არ გააჩნია.
7. სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რათა სისხლისსამართლებრივი ბრალდებით ან მის გარეშე დაპატიმრებულ ან დაკავებულ ნებისმიერ პირს ქონდეს ადვოკატთან დაუყოვნებლივი შეხვედრის უფლება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში დაპატიმრებიდან ან დაკავებიდან არა უგვიანეს ორმოცდარვა საათის შემდეგ.
8. ყველა დაპატიმრებული, დაკავებული ან საპრობლეუმი მყოფი პირი უზრუნველყოფილ უნდა იქნას სათანადო შესაძლებლობით, დროითა და პირობებით თავის ადვოკატთან შეხვედრის, მასთან კომუნიკაციისა და კონსულტაციისათვის, დაყოვნების, შეჩერებისა და ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალურობის დაცვით. ასეთ კონსულტაციებს შეიძლება თვალყური ადევნოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა, მაგრამ მას მოსმენის უფლება არ აქვს.

კვალში და მომზადება

9. სახელმწიფოებმა, ადვოკატთა პროფესიულმა გაერთიანებებმა და საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადვოკატებს გააჩნდეთ სესაბამისი განათლება და მომზადება, აცნობიერებდნენ ადვოკატთა მორალურ და ეთიკურ მოვალეობებსა და საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.
10. სახელმწიფოებმა, ადვოკატთა პროფესიულმა გაერთიანებებმა და საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არ განხორციელდეს დისკრიმინაცია იურიდიული პრაქტიკის დაწყებასა და გაგრძელებასთან მიმართებაში, რასის, ფერის, სქესის, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებების,

ეროვნული და სოციალური წარმოშობის, საკუთრების, დაბადების, ეკონომიკური თუ სხვა სტატუსის საფუძველზე, გარდა მოთხოვნისა, რომ ადვოკატი იყოს შესაბამისი ქვეყნის მოქალაქე, რაც არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად.

11. ქვეყნებში, სადაც არსებობენ ჯგუფები, თემები ან რეგიონები, რომელთა იურიდიული დახმარებაც არ ხორციელდება, განსაკუთრებით, სადაც ამ ჯგუფებს გააჩნიათ განსხვავებული კულტურა, ტრადიციები, ენა ან წარსულში იყვნენ დისკრიმინაციის მსხვერპლი, სახელმწიფოებმა, ადვოკატთა პროფესიულმა გაერთიანებებმა და საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა მიიღონ სპეციალური ზომები, რათა ასეთი ჯგუფების წარმომადგენლები დაეუფლონ იურიდიულ პროფესიას და ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად, მიიღონ სათანადო მომზადება.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები

12. ადვოკატმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად.
13. კლიენტის წინაშე ადვოკატთა მოვალეობაა:
 - ა) რჩევა მისცეს კლიენტს მისი უფლებებისა და მოვალეობების, ასევე, კლიენტის უფლებებსა და მოვალეობებთან მიმართებაში სამართლებრივი სისტემის მოქმედების შესახებ;
 - ბ) დაეხმაროს კლიენტს ყველა შესაძლო ფორმით და მიიღოს ყველა ზომა მისი ინტერესების დასაცავად;
 - გ) დაეხმაროს კლიენტს სასამართლოს, ტრიბუნალისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე;
14. ადვოკატებმა, მათი კლიენტების უფლებების დაცვისა და მართლმსაჯულების ინტერესების ხელშეწყობისას, უნდა განამტკიცოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლით აღიარებული ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები და ყოველთვის უნდა იმოქმედონ თავისუფლად და ღირსეულად, კანონისა და პროფესიული მოვალეობების, სტანდარტებისა და ეთიკის წესების შესაბამისად.
15. ადვოკატებმა ყოველთვის პატივი უნდა სცენ თავიანთი კლიენტის ინტერესებს.

ადვოკატის საქმიანობის ბარანდია

16. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადვოკატებმა
 - ა) შეძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება, დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე;
 - ბ) შეძლონ თავისუფლად გადაადგილდნენ და კონსულტაცია გაუწიონ კლიენტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, და
 - გ) თავიანთი პროფესიული მოვალეობების, წესებისა და ეთიკის შესაბამისად განხორციელებული რაიმე ქმედების გამო, არ განიცადონ გაკიცხვა, ან დევნა ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა სანქციების მექანიზმით.
17. როდესაც ადვოკატთა უსაფრთხოებას, მათ მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების გამო, საფრთხე ემუქრება, ისინი სათანადოდ უნდა იყვნენ დაცული ხელისუფლების მიერ.
18. ადვოკატები, თავიანთი ფუნქციების შესრულების გამო, არ უნდა იყვნენ იდენტიფიცირებული მათ კლიენტებთან ან მათი კლიენტების ქმედებასთან;
19. არც ერთ სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს, სადაც აღიარებულია წარმომადგენლობაზე უფლება, არ აქვს უფლება უარი უთხრას ადვოკატს წარსდგეს სასამართლოს წინაშე თავისი კლიენტის დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადვოკატი დისკვალიფიცირებულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის წესების ან ამ პრინციპების შესაბამისად.
20. ადვოკატი უნდა სარგებლობდეს სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი იმუნიტეტით ყველა განცხადების მიმართ, რომელიც მის მიერ სასამართლოს, ტრიბუნალის ან სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციული ხელისუფლების წინაშე წარდგენილია კეთილი განზრახვით, ზეპირი ან წერილობითი ფორმით.
21. შესაბამისი ორგანოების მოვალეობაა სათანადო დროის განმავლობაში უზრუნველყონ მათ გამგებლობაში ან კონტროლქვეშ არსებული სათანადო ინფორმაციის, საბუთებისა და დოკუმენტების ადვოკატისათვის ხელმისაწვდომობა, მათი კლიენტების ე ფ ე ქ ტ უ რ ი დაცვის უზრუნველსაყოფად. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფილ უნდა იქნას უმოკლეს შესაძლო ვადაში.

22. სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ და პატივი სცენ ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის ყველა კომუნიკაციისა და კონსულტაციის კონფიდენციალურობას მათი პროფესიული ურთიერთობის ფარგლებში.

აზრის გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლება

23. ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. კერძოდ, მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან, ასევე, უფლება აქვთ შეუერთდნენ ან შექმნან ადგილობრივი, სახელმწიფოებრივი ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და დაესწრონ მათ შეკრებებს, რაც გამომდინარეობს მათი სხვა მართლზომიერი ქმედებებიდან ან სხვა კანონიერი ორგანიზაციების წევრობიდან, ყოველგვარი პროფესიული შეზღუდვების გარეშე. ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.

ადვოკატთა პროფესიული გაერთიანება

24. ადვოკატებს უფლება აქვთ შექმნან თვითმართვადი პროფესიული გაერთიანება საკუთარი ინტერესების წარმოდგენის, განათლებისა და პროფესიონალიზმის ხელშეწყობისა და მათი პროფესიული ღირსების დაცვის მიზნით. პროფესიული გაერთიანების აღმასრულებელი ორგანო არცეულ უნდა იქნას მისი წევრების მიერ და მოქმედებდეს ყოველგვარი გარე ჩარევის გარეშე.
25. ადვოკატთა პროფესიულმა გაერთიანებებმა უნდა ითანამშრომლონ მთავრობებთან, რათა უზრუნველყონ იურიდიული მომსახურების ეფექტური და თანაბრი ხელმისაწვდომობა, აგრეთვე, იმ მიზნით,

რომ ადვოკატებმა შეძლონ, რაიმე გარე ჩარევის გარეშე, კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების დაცვით კონსულტაცია გაუწიონ და დაეხმარონ კლიენტებს.

დისციპლინური პროცედურები

26. ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესების კოდექსი დადგენილ უნდა იქნას იურიდიული პროფესიის მიერ, მისი სათანადო ორგანოების მეშვეობით ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ, ეროვნული კანონმდებლობის, ჩვეულებებისა და აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად.
27. ადვოკატთა მიერ მათი პროფესიული უფლებამოსილებების განხორციელების წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები და საჩივრები განხილულ უნდა იქნას სწრაფად და სამართლიანად, სათანადო პროცედურების შესაბამისად. ადვოკატებს უფლება უნდა ჰქონდეთ სამართლიან სასამართლოზე, რაც მათ მიერ არჩეული ადვოკატის დახმარების უფლებასაც გულისხმობს.
28. ადვოკატის წინააღმდეგ მიმართული დისციპლინური პროცედურები წარდგენილ უნდა იქნას იურიდიული პროფესიის მიერ შექმნილი მიუკერძოებელი დისციპლინური კომიტეტის, სხვა დამოუკიდებელი ორგანოს ან სასამართლოს წინაშე და უნდა დაექვემდებაროს მიუკერძოებელ სასამართლო გადასინჯვას.
29. ყველა დისციპლინური პროცედურა უნდა განისაზღვროს ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესების კოდექსის, სხვა აღიარებული სტანდარტებისა და იურიდიული პროფესიის ეთიკის წესების შესაბამისად და ამ პრინციპების საფუძველზე.

2006 წლის 25 ნოემბერს ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭომ (CCBE) ერთსულოვნად დაამტკიცა „ევროპაში იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტია“

პრინციპი(ა) – ადვოკატის დამოუკიდებლობა და თავისუფლება კლიენტის საქმის წარმართვისას: საქმის წარმართვისას, კლიენტის ინტერესების დაცვისას ან მისთვის კონსულტაციის განწვევისას ადვოკატი უნდა იყოს აუცილებლად თავისუფალი პოლიტიკური, ეკონომიკური და ინტელექტუალური თვალსაზრისით. ეს გულისხმობს, რომ ადვოკატი არ უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფო თუ სხვა ძალის გავლენას. ადვოკატმა არ უნდა დაუშვას, რომ მისი დამოუკიდებლობა არასათანადო გენოლის ან წნეხის ქვეშ აღმოჩნდეს მისივე საქმიანი პარტნიორების მხრიდან. ადვოკატი ასევე არ უნდა მოექცეს კლიენტების ზეგავლენის ქვეშ რათა დაიმსახუროს მესამე მხარისა და სასამართლოს ნდობა. მართლაც, კლიენტისაგან ამგვარი დამოუკიდებლობის გარეშე არ არსებობს ადვოკატის მუშაობის ხარისხიანობის გარანტია. თავისუფალი პროფესია, რომელსაც ადვოკატები მიეკუთვნებიან, მათ დამოუკიდებლობის შენარჩუნების საშუალებას აძლევს, ხოლო ადვოკატთა ასოციაციებს ევალებათ წვლილი შეიტანონ ადვოკატის დამოუკიდებლობის გარანტირების საქმეში. ცალკეული ადვოკატის დამოუკიდებლობის მხარდაჭერის საკითხში იურიდიული პროფესიის თვითრეგულაცია გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორადაა მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ არადემოკრატიულ / არათავისუფალ საზოგადოებებში ადვოკატს ხელს უშლიან პროფესიული მოვალეობის შესრულებისას და, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მაინც გადაწყვეტს კლიენტის საქმის წარმართვას, მას დაპატიმრება ან სიკვდილი ემუქრება.

პრინციპი(ბ) – ადვოკატის უფლება და მოვალეობა, დაიცვას კლიენტის საქმის კონფიდენციალურობა და პატივი სცეს პროფესიულ საიდუმლოებას:

ადვოკატის საქმიანობისას მთავარია, რომ კლიენტმა ადვოკატს გაანდოს ისეთი დეტალები, რომლებსაც სხვას არ უზიარებს - უაღრესად ინტიმური პირადი დეტალები ან ღირებული კომერციული საიდუმლოებანი - ხოლო ადვოკატი ამ ინფორმაციის მიმღები ხდება კონფიდენციალურობის დაცვის პირობით. აბსოლუტური კონფიდენციალურობის პირობის გარეშე არ არსებობს ნდობა. წინამდებარე ქართია ამ პრინციპის ორმაგ ბუნებას უსვამს ხაზს- კონფიდენციალურობის დაცვა არა მხოლოდ ადვოკატის ვალდებულებაა - ის ასევე ერთ-ერთია კლიენტის ადამიანის ძირითად უფლებათაგან. „იურიდიული პროფესიის პრივილეგია“ წესები კრძალავს ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის გამოყენებას კლიენტის საწინააღმდეგოდ. ზოგიერთი ქვეყნების იურისდიქცია კონფიდენციალურობის პრინციპს განიხილავს, როგორც მხოლოდ და მხოლოდ კლიენტის უფლებას, მაშინ როდესაც სხვადასხვა იურისდიქციების თანახმად „პროფესიული საიდუმლოების“ წესი შეიძლება მოითხოვდეს, რომ ადვოკატმა კლიენტთან კომუნიკაციისას კონფიდენციალურობის პირობით მიღებული ინფორმაცია არ უნდა გაანდოს მეორე მხარის ადვოკატს. პრინციპი (ბ) აერთიანებს ყველა ამ ურთიერთდაკავშირებულ კონცეფციას - იურიდიული პროფესიის პრივილეგია, კონფიდენციალურობა და პროფესიული საიდუმლოება. ადვოკატის მოვალეობა კლიენტისადმი ნარჩუნდება ადვოკატის მიერ საქმეს შეწყვეტის შემდეგაც.

პრინციპი(გ) – ინტერესთა კონფლიქტების არიდება, ორ სხვადასხვა კლიენტსა თუ ადვოკატსა და კლიენტს შორის:

პროფესიული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესასრულებლად, ადვოკატმა უნდა აირიდოს ინტერესთა კონფლიქტები. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა დაკავდეს ორი კლიენტის ერთსა და იმავე საქმეში, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან კონფლიქტის რისკი ამ ორი კლიენტის ინტერესთა შორის. ასევე, თუ ადვოკატი ფლობს არსებული ან ყოფილი კლიენტისაგან მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, მან თავი უნდა შეიკავოს ახალი კლიენტის საქმეზე მუშაობისაგან. ასევე, ადვოკატს ეკრძალება კლიენტის აყვანა იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს კონფლიქტი კლიენტსა და ადვოკატს შორის. თუ ინტერესთა კონფლიქტი გაჩნდება მოგვიანებით, კლიენტის დაცვის პროცესში, ადვოკატი ვალდებულია საქმეზე მუშაობა შეწყვიტოს. შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს პრინციპი მჭიდროდ უკავშირდება პრინციპ(ბ)-ს (კონფიდენციალურობა), (ა)-ს (დამოუკიდებლობა) და (ე)-ს (ერთგულება).

პრინციპი (დ) – იურიდიული პროფესიის ღირსება და პატიოსნება;

ცალკეული ადვოკატის მიუკერძოებლობა და დადებითი რეპუტაცია: იმისათვის, რომ ადვოკატი აღიჭურვოს კლიენტების, მესამე მხარის, სასამართლოებისა და სახელმწიფოს ნდობით, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ამ ნდობას იმსახურებს.

ეს მიიღწევა ღირსეული პროფესიული საქმიანობით; გამომდინარე აქედან, ადვოკატის ქმედებებმა არ უნდა მიაყენოს ზიანი მის პირად ან, ზოგადად, პროფესიულ რეპუტაციასა და ამ პროფესიისადმი საზოგადოების ნდობას. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება ადვოკატის პიროვნული სრულყოფილების მოთხოვნა, მაგრამ ის არამც და არამც არ უნდა იყოს დაკავებული პროფესიის შეურაცხყოფელი უღირსი ქმედებებით, იქნება ეს იურიდიული საქმიანობაში, საკუთარი ბიზნესსა თუ პირად ცხოვრებაში. უღირსი და მიუღებელი ქმედება ისჯება სხვადასხვა სანქციით, მათ შორის, მეტად მძიმე შემთხვევებში, პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევითაც.

პრინციპი (ე) – კლიენტისადმი ერთგულების დაცვა: კლიენტისადმი ერთგულება ადვოკატის როლისა და ფუნქციის ძირითადი არსია. კლიენტს უნდა შეეძლოს, რომ ადვოკატს ენდოს, როგორც კონსულტანტს და ინტერესების დამცველს (ნარმომადგენელს, ნდობით აღჭურვილ პირს). კლიენტისადმი ერთგულების დასაცავად ადვოკატი უნდა იყოს დამოუკიდებელი (იხ. პრინციპი (ა), თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტები (იხ. პრინციპი (გ), და დაიცვას კლიენტის საიდუმლო (კონფიდენციალურად განდობილი ინფორმაცია) (იხ. პრინციპი (დ)). პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველაზე დელიკატური პრობლემა ხშირად სწორედ კლიენტისადმი ერთგულების პრინციპსა და ადვოკატის უფრო ფართო, ზოგად ვალდებულებებთან დაკავშირებული ისეთი პრინციპების ურთიერთმიმართების გამო ჩნდება, როგორცაა პრინციპი (დ) (ღირსება და პატივი), პრინციპი (თ) (პატივისცემა პროფესიული საზოგადოებისადმი), უფრო კონკრეტულად კი, პრინციპი (ი) (კანონის უზენაესობისადმი და სამართლიანობის კანონიერი აღსრულებისადმი პატივისცემა). ასეთ პრობლემებთან გამკლავებისას ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს, რომ ადვოკატს არ აქვს უფლება საფრთხე შეუქმნას ან ეჭვქვეშ დააყენოს სასამართლოსა და სამართლის აღსრულებისადმი ნაკისრი მოვალეობანი კლიენტის სასარგებლოდ უპატიოსნო ან კანონსაწინააღმდეგო საქმის განხორციელების მიზეზით.

პრინციპი (ვ) – კლიენტებისადმი სამართლიანი მოპყრობა გასამრჯელოსთან დაკავშირებით: ადვოკატის მიერ მომსახურების სანაცვლოდ კლიენტისათვის დაკისრებული გასამრჯელო სრული ოდენობით უნდა ეცნობოს კლიენტს, უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი, უნდა შეესაბამებოდეს კანონს და პროფესიული საქმიანობის წესებს, რომელსაც ადვოკატი ექვემდებარება. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული კოდექსები (და ასევე, პრინციპი (გ) მოცემულ ქარტიაში) ხაზს უსვამს ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილებას ადვოკატსა და კლიენტს შორის, ადვოკატის გასამრჯელოს საკითხი ასეთი კონფლიქტის თანდაყოლილი საფრთხეა. შესაბამისად, ეს პრინციპი ადგენს პროფესიული რეგულაციის საჭიროებას, რათა

უმრუნველყოფილი იყოს, რომ კლიენტს არ ეკისრება სამართლიანად დაწესებულ გადასახადზე მეტი (კლიენტს არ უწევს დაწესებულ ნორმაზე მეტის გადახდა).

პრინციპი (ზ) – ადვოკატის პროფესიული კომპეტენცია: თავისთავად ცხადია, რომ ადვოკატი ვერ გაუწევს კონსულტაციას კლიენტს და ვერ დაიცავს მის ინტერესებს, თუ მას არ აქვს შესაფერისი პროფესიული განათლება. ბოლო ხანებში, კვალიფიციური სპეციალისტების პროფესიულმა გადამზადებამ (უწყვეტი/განგრძობადი პროფესიული განვითარება), ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებების სწრაფი ტემპიდან გამომდინარე, კანონსა და საადვოკატო პრაქტიკაში მზარდი მნიშვნელობა შეიძინა. პროფესიული რეგულაციები ძალიან ხშირად ხაზს უსვამენ, რომ ადვოკატს ეკრძალება იმ საქმეზე მუშაობა, რომლის გასაძლელადაც მას საკმარისი კომპეტენცია არ გააჩნია.

პრინციპი (თ) – პატივისცემა პროფესიის სხვა წარმომადგენლებისადმი (კოლეგებისადმი): ეს პრინციპი ბევრად უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე კოლეგებისადმი თავაზიანობის გამოჩენაა, თუმცა ესეც თავისთავად მნიშვნელოვანია მეტად მგრძნობიარე ან სადავო საკითხების განხილვისას, რაშიც ადვოკატები თავიანთი კლიენტების ინტერესების დაცვისას ერთვებიან. ეს პრინციპი ასევე ეხება ადვოკატის, როგორც შუამავლის როლს, რომელსაც ეკისრება სიმართლის თქმა, პროფესიული წესების დაცვა და დადებული ფიცის / პირობის შესრულება. მართლმსაჯულების შესაბამისი აღსრულება ადვოკატებისაგან ურთიერთპატივისცემას მოითხოვს, რათა სადავო საკითხები ცივილიზებული გზით გადაწყდეს. ამასთან, ურთიერთნდობა და გულწრფელობა ადვოკატების საჯარო ინტერესებში უნდა მოიაზრებოდეს. ამ პროფესიის წარმომადგენლებს შორის ურთიერთპატივისცემა მართლმსაჯულების სათანადო აღსრულებას უწყობს ხელს და შეთანხმების საფუძველზე კონფლიქტების გადაჭრის საშუალებას იძლევა, რაც კლიენტის ინტერესებშიც შედის.

პრინციპი (ი) – კანონის უზენაესობისა და სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების პატივისცემა: ჩვენ ნაწილობრივ განვიხილეთ ადვოკატის როლი და მისი მონაწილეობა სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში. იგივე იდეა გამოიხატება შემდეგ ტერმინებში, რომლებიც ადვოკატის მოვალეობას აღწერს, როგორც „officer of the court“ (სასამართლოს აღმასრულებელი) ან „minister of justice“ („მართლმსაჯულების მსახური“). პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატს ეკრძალება სასამართლოსთვის განზრახ ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გადაცემა და მესამე მხარის მოტყუება. ეს აკრძალვები ხშირად ადვოკატის კლიენტის ინტერესების სანინააღმდეგოა. ამ აშკარა კონფლიქტთან გამკლავება, რომელიც კლიენტის ინტერესებსა და სამართლიანობის ინტერესებს შორის

ნარმოიშვება, დელიკატურ პრობლემებს იწვევს, რომელთა გადანაცვლაც ადვოკატის პროფესიული მომზადების საფუძველზე ხდება. ასეთ საქმეზე მუშაობისას, ადვოკატი უფლებამოსილია დახმარებისათვის მიმართოს იმ ადვოკატთა ასოციაციას, რომლის წევრიც ის გახლავთ. მაგრამ საბოლოო ჯამში, ადვოკატს კლიენტის ინტერესების სრულყოფილად დაცვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ის აღჭურვილია ნდობით სასამართლოსა და მესამე მხარის მიერ, როგორც სანდო შუამავალი და სამართლიანი მართლმსაჯულების პროცესში ჩართული მონაწილე.

პრინციპი(კ) – იურიდიული პროფესიის თვითრეგულაცია: არათავისუფალი საზოგადოებების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ სახელმწიფო, პირდაპირ თუ ირიბად, აკონტროლებს იურიდიულ პროფესიას და ადვოკატთა საქმიანობას. ევროპის იურიდიული პროფესიების უმეტესობა დაფუძნებულია სახელმწიფო და თვით რეგულაციის კომბინაციაზე. ბევრ შემთხვევაში, სახელმწიფო, აღიარებს რა ძირითადი პრინციპების მნიშვნელობას, მათს მხარდასაჭერად კანონმდებლობას იყენებს - მაგალითად, კონფიდენციალურობას ანიჭებს კანონით დადგენილი ვალდებულების სტატუსს ან ადვოკატთა ასოციაციებს გადასცემს კანონიერ უფლებას პროფესიული წესდების შესაქმნელად. CCBE დარწმუნებულია, რომ მხოლოდ თვითრეგულაციის ელემენტის ძლიერება იძლევა სახელმწიფო ზეგავლენისაგან ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის გარანტიას, ხოლო დამოუკიდებლობის გარანტიის გარეშე ადვოკატისათვის შეუძლებელია საკუთარი პროფესიული და სამართლებრივი ფუნქციის შესრულება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება N 2/10/256

საქართველოს სახელით

2004 წლის 2 დეკემბერი ქ. თბილისი

კოლეგიის შემადგენლობა:

1. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (სხდომის თავმჯდომარე);
2. ოთარ ბენიძე;
3. ზაურ ჭინჯოლავა (მომხსენებელი მოსამართლე). სხდომის მდივანი:
ელენე ლალიძე.

საქმის დასახელება: მოქალაქე იასონ რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 45-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტთან, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, აგრეთვე ამავე კანონის მე-40 და 45-ე მუხლების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილენი: მოსარჩელე – იასონ რეხვიაშვილი და მისი წარმომადგენელი ნუგზარ ბირკაია. მოპასუხე მხარის წარმომადგენლები – ბათარ ჩანჭსელიანი და იოსებ თათარაშვილი.

2003 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის ნომერი N256) მომართა მოქალაქე იასონ რეხვიაშვილმა.

კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად 1976 წლის მაისში მოსარჩელე იასონ რეხვიაშვილი განეცხადებდა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიაში და დღემდე ითვლება ადვოკატთა კოლეგიის წევრად. „ადვოკატთა შესახებ“ 2001 წლის 20 ივნისის საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ამ კანონით დადგენილი წესით ადვოკატთა ასოციაციის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ითვლება საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ ადვოკატთა შესახებ“, ე.ი. უქმდება პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რაც მოსარჩელის აზრით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტს, რომლის თანახმად „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით და დადგენილი წესით“.

კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ადვოკატი შეიძლება იყოს „ფიზიკური პირი, რომელსაც გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება“, რაც მოსარჩელის აზრით საადვოკატო სტატუსის მეორედ მოპოვების პირობაა და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტს რომლის თანახმად კანონით განისაზღვრება სახელმწიფო სამსახურის პირობები და არა თავისუფალი პროფესიის ფიზიკური პირების საქმიანობის პირობები.

სარჩელის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი ვალდებული იყვნენ უზრუნველყვით კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაცია, კონსტიტუციასა და კანონებთან მათი შესაბამისობა.

მოსარჩელის აზრით, საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს პრეზიდენტმა არ შეასრულეს კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადაში

თავიანთი მოვალეობა და მათ არ ქონდათ უფლება საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებისა, ისინი ვალდებული იყვნენ სამართლებრივი აქტი მოეყვანათ კონსტიტუციასთან და კანონთან შესაბამისობაში.

განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელემ გააფართოვა თავისი სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 აგვისტოს განკარგულების „ადვოკატთა ტესტირების დანიშვნის შესახებ“ კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

მოსარჩელემ საქმის არსებითად განხილვისას უარი თქვა თავისი სასარჩელო მოთხოვნაზე იმ ნაწილში, რომლშიც სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 აგვისტოს განკარგულების „ადვოკატთა ტესტირების დანიშვნის შესახებ“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელე მხარემ ასევე აღნიშნა, რომ ისინი სადავოდ ხდიან ადვოკატთა ტესტირების სუბიექტთა წრეს და მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრების ტესტირების გარეშე შეყვანა კანონით გათვალისწინებულ საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში. ამასთანავე მოსარჩელემ საქმის არსებითი განხილვისას დაამუსტა თავისი სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 45-ე მუხლის კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტთან და 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. ასევე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლსა და ამავე კანონის 45-ე მუხლს შორის წინააღმდეგობის დადგენა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

მოპასუხე მხარე – საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა თავის დასკვნით სიტყვაში მხარი არ დაუჭირა კონსტიტუციურ სარჩელს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოპასუხემ აღნიშნა, რომ საქართველოს ადვოკატთა კოლეგია ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებით წარმოადგენდა დაფუძნებულ რეგისტრირებულ კავშირს, რომელიც იყო დამოუკიდებელი იურიდიული პირი და აკმაყოფილებდა 1997 წელს მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ სარეგისტრაციო პირობებს. შესაბამისად მათი წესდება რეგისტრირებული იყო სასამართლოში სათანადო პროცედურების გათვალისწინებით, მაგრამ ამავე სასამართლოს 2001 წლის 13 ივლისის განჩინებით საქართველოს ადვოკატთა კოლეგიას გაუუქმდა რეგისტრაცია. მოპასუხე მხარის განცხადებით საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ აუქმებს

საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონით დამტკიცებულ დებულებას

„საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ“ და არა „საქართველოს ადვოკატთა კოლეგიას“. მოპასუხემ განმარტა რომ, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და ამის დამადასტურებელია კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 13 ივნისის განჩინება საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მოპასუხემ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ საქართველოს კონსტიტუციით ასევე განსაზღვრულია საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეჩერება ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. სწორედ საქართველოს ორგანული კანონი „საზოგადოებრივი გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ ითვალისწინებს იმ საზოგადოებრივი გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებას ან აკრძალვას, რომელიც არღვევს ორგანული კანონით დადგენილ ნორმებს (საქართველოს კონსტიტუციური წყობის დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ძალადობის პროპაგანდა და ა.შ.).

მოპასუხე მიიჩნევს, რომ საქართველოს ორგანულმა კანონმა საზოგადოებრივი გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ დაუშვა საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეჩერების დამატებითი მექანიზმიც, რაც გამოიხატება ამავე კანონის მე-2 მუხლის ნორმაში – „...საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნული ორგანული კანონის ნორმაში – „...საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“, მოპასუხის აზრით, იგულისხმება საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის რეგულირება საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნის, რეგისტრაციისა და საქმიანობის შეჩერების წესსა და პროცედურებს.

მოპასუხემ განმარტა რომ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს პირობას – ადვოკატის სტატუსის მოსაპოვებლად ტესტირების გავლას. აღნიშნული ნორმის მიღება განპირობებული იყო საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებასა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებზე დაყრდნობით (ისევე, როგორც სასამართლო სისტემის რეფორმისას მოსამართლეებთან მიმართებაში) ამასთანავე აღნიშნა, რომ არსებობს რიგი ქვეყნები, რომლებშიც საქართველოს მოდელისგან განსხვავებით გართულებულია ადვოკატის სტატუსის მოპოვება.

ამდენად მოპასუხე მიიჩნევს, რომ კანონმდებლის ნება გაატაროს ადვოკატთა ტესტირება არათუ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას არამედ მასთან სრულ თანხვედრაშია.

მოპასუხე მხარე ასევე არ ეთანხმება მოსარჩელეთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სადავო მუხლებით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, კანონით განისაზღვრება სახელმწიფო სამსახურის პირობები და არა თავისუფალი პროფესიის ფიზიკური პირობების საქმიანობის პირობები.

მოპასუხის აზრით, მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი კანონით განსაზღვრავს, სახელმწიფო სამსახურის პირობებს, მაგრამ არ ადგენს, რომ არასახელმწიფო სამსახურის პირობები არ შეიძლება განისაზღვროს კანონით.

მოპასუხე მხარე ასევე არ ეთანხმება მოსარჩელეთა მოსაზრებას, რომ საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონით დამტკიცებული „საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ“ დებულება დღემდე მოქმედებს. მისი აზრით, მოქმედებს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული დებულება არ მოითხოვს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, რაც გამოიხატება მის ძალადაკარგულად გამოცხადებაში ან ახლებურად ჩამოყალიბებაში საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე.

მოპასუხე მხარე უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსარჩელის არგუმენტს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს პარლამენტმა არ შეასრულა კონსტიტუციის 106-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში თავისი მოვალეობა, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია და მოსარჩელის მიერ ჩამოთვლილი სადავო საკანონმდებლო აქტის მუხლები არ განსაზღვრავენ ზემოაღნიშნული თანამდებობის პირების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებს. ამრიგად, მოპასუხე მხარე არ ეთანხმება კონსტიტუციურ სარჩელს და მიაჩნია რომ, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ გამოარკვია კონსტიტუციური სარჩელის არსებით განხილვასთან დაკავშირებული შემდეგი გარემოებანი:

1. მოსარჩლე მოითხოვს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლისა და მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის დადგენას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა

შესახებ“ საქართველოს კანონის დასახელებული სადავო დებულებები მოიცავენ საადვოკატო საქმიანობისათვის დადგენილ, და ასევე ადვოკატთა ტესტირების ჩატარების ძირითად მოთხოვნებს, აგრეთვე ადვოკატთა ერთიანი სიის ფორმირების წესს.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. იგი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს ერთი მხრივ, საადვოკატო საქმიანობას, რომელსაც ახორციელებს ე.წ. „თავისუფალი პროფესიის პირი“, ხოლო მეორე მხრივ საჯარო სამსახურში და სახელმწიფო თანამდებობაზე მოღვაწეობას, რომლის პირობების კანონით გასაზღვრის ვალდებულებასაც ადგენს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი ეხება მხოლოდ სახელმწიფო სამსახურს და არ ანესრიგებს საადვოკატო საქმიანობას. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია თვლის, რომ შეუძლებელია ვიმსჯელოთ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევაზე დასახელებული სადავო აქტების მიერ, ვინაიდან ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულ საკითხებს ანესრიგებენ.

რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან ადვოკატთა ტესტირების დაწესებას, სასამართლო კოლეგია თვლის, რომ იგი არის მინიმალური სტანდარტი იმისათვის, რათა ადვოკატების მიერ კვალიფიციურად იქნეს განხორციელებული ადამიანის ინტერესების დაცვა. ამასთან, კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ თითქოს სახელმწიფოს არა აქვს უფლება კანონით განსაზღვროს კერძო სამსახურის ძირითადი პირობები, მით უმეტეს, როდესაც საუბარია საადვოკატო საქმიანობაზე, რომლის დროსაც, ე.წ. „თავისუფალი პროფესიების“ სხვა სახეებისგან განსხვავებით, ადვოკატებს უფრო სახელშეკრულებო ვალდებულებების პირობებში უხდებათ საქმიანობის განხორციელება.

2. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის განცხადებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტს. აღნიშნული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ“, რის გამოც, მოსარჩელის აზრით

უქმდება პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე მოქმედი საზოგადოებრივი გაერთიანება „ადვოკატთა კოლეგია“, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტით კი, „საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით...“.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ დაასაბუთა ის გარემოება, თუ საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონით დამტკიცებული „საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ“ დებულების ძალადაკარგულად გამოცხადებით, როგორ დაირღვევა მისი საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული უფლება, კერძოდ როგორ უქმდება „პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია“ - „საქართველოს ადვოკატთა კოლეგია“. საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ოქტომბრის N06/9-59 დადგენილებაზე, რის საფუძველზეც განხორციელდა კავშირის „საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის“ რეგისტრაცია და იგი გამოცხადდა 1980 წლის 12 ნოემბრის დადგენილებით რეგისტრირებული „საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის“ სამართალმემკვიდრედ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო თვლის, რომ კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს 1999 წლის 20 ოქტომბრის აღნიშნული დადგენილებით განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1511-ე მუხლით გათვალისწინებული არაკომერციული იურიდიული პირის „საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის“ ხელახალი რეგისტრაცია, ვინაიდან სასამართლოს დადგენილებაში კავშირის რეგისტრაციის ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1511-ე მუხლი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამავ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „ხელახალი რეგისტრაციისათვის აუცილებელია: ...ბ) წესდების ახალი რედაქცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს», ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად კი, ხელახალი რეგისტრაციის შედეგად რეგისტრირებული არაკომერციული იურიდიული პირი ადრე რეგისტრირებული იურიდიული პირის უფლებამონაცვლეა. ამრიგად, სასამართლო აღნიშნავს, რომ ზუსტად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1511-ე მუხლისა და მის საფუძველზე მიღებული კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს დადგენილებით მოხდა „საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის“ ხელახალი რეგისტრაცია და არა საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონით დამტკიცებული „საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ“ დებულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონით დამტკიცებული „საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ“ დებულების გაუქმებით შეუძლებელია გაუქმებულიყო კავშირი „საქართველოს ადვოკატთა კოლეგია“. შესაბამისად, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი ამ შემთხვევაში ვერ დაარღვევს მოსარჩელე იასონ რეხვიაშვილის საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით აღიარებულ უფლებას, ვინაიდან იგი არ ახდენს საზოგადოებრივი გაერთიანებების, კონკრეტულ შემთხვევაში კი „საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის“ გაუქმებას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

3. მოსარჩელის განცხადებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად „პირს, რომელსაც გავლილი არა აქვს ადვოკატთა ტესტირება, 2006 წლის 1 ივნისიდან ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება“ და ამავე კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი, რითაც უნდა გაუქმდეს საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ“ ეწინააღმდეგება ერთმანეთს და ამით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი და 45-ე მუხლის პირველი პუნქტი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ საკითხებს აწესრიგებენ და შეუძლებელია ვისაუბროთ, როგორც თვით მათ შორის წინააღმდეგობაზე, ისე მათ მიმართებაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანონის მუხლებს შორის წინააღმდეგობის დადგენა არ შედის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაში.

იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით და მეორე პუნქტით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, 21-ე მუხლის მეორე პუნქტით, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მეორე პუნქტით, 43-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-7 და მე-8 პუნქტებით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 32-ე და 33-ე მუხლებით,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს:

1. უარყოფილ იქნეს საქართველოს მოქალაქე იასონ რეხვიაშვილის კონსტიტუციური სარჩელი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 45-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტთან და 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, აგრეთვე ამავე კანონის მე-40 და 45-ე მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით;
2. ეს გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან;
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება;
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს;
5. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ 7 დღის ვადაში.

1. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი
2. ოთარ ბენიძე
3. ზაურ ჭინჭოლავა



საქართველოს სახელით
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

მეორე კოლეგია
გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№2/5/256

თბილისი, 2004 წლის 2 დეკემბერი


კოლეგიის შემადგენლობა:

1. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (სხდომის თავმჯდომარე);
2. ოთარ ბენიძე;
3. ზაურ ჯინჯოლავა (მომხსენებელი მოსამართლე).

სხდომის მდივანი: ელენე ლალიძე.

საქმის დასახელება: მოქალაქე იასონ რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის, 45-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტთან, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, აგრეთვე ამავე კანონის მე-40 და 45-ე მუხლების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. უარყოფილ იქნეს საქართველოს მოქალაქე იასონ რეხვიაშვილის კონსტიტუციური საჩივარი "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, 45-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტთან და 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, აგრეთვე ამავე კანონის მე-40 და 45-ე მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით;
2. ეს გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საფუძველზე გამოცხადების მომენტიდან;
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და ჭასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება;
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს;
5. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ 7 დღის ვადაში.



1. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი
2. თეიმურაზ ბენიძე
3. ზაურ ჯინჯოლია

ასლი დედანთან სწორია.
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მდივანი

ი. 176



კობ ჟუბარაძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება N1/5/323

საქართველოს სახელით

თბილისი, 2005 წლის 30 ნოემბერი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ბესარიონ ზოიძის (სხდომის თავმჯდომარე), ვახტანგ გვარამიას, იაკობ ფუტყარაძისა (მომხსენებელი მოსამართლე) და ნიკოლოზ შაშკინის შემადგენლობით (სხდომის მდივანი დარეჯან ჩალიგავა), –

2005 წლის 3, 8, 9, 11 და 15 ნოემბრის დია სასამართლო სხდომებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ მოსარჩევეები – გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი, ნინო არჩვაძე და ლევან ჩხეიძე (იმავედროულად – გ.ბერიშვილის გარდა სხვა მოსარჩევეთა წარმომადგენელი), მოპასუხის – საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებში წარმომადგენლობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი მარინე რობაქიძე და მონვეული სპეციალისტი იოსებ ლომაშვილი, მოწმეები – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა ასლანიშვილი და საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ქ. თბილისის საბურთალოს საადვოკატო ბიუროს უფროსი ოთარ ბერიშვილი, სპეციალისტები – ადვოკატები როინ მიგრიაული და ქეთევან ქვარცხავა, –

განიხილა საქმე: „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დავის საგანია: კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონის

(ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვები – „და განვერიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ და (ბ) მე-20 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები – „საჯარო სამართლის“.

საქართველოს მოქალაქეების – გიორგი ვაჭარაძის, არტურ კაზაროვის, ლევან ჩხეიძის, გიორგი ბერიშვილის, შორენა ოსკოპელის და ნინო არჩვაძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2005 წლის 11 მარტს შემოვიდა. იგი საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 12 აპრილის N1/1/323 საოქმო ჩანაწერით მიღებული იქნა არსებითად განსახილველად.

კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, მე-15 და მე-16 მუხლები.

მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ ისინი არიან საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების კურსდამთავრებულნი და ეწევიან საადვოკატო საქმიანობას. ისინი – თავისუფალი პროფესიის პირები, მათი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, კანონმდებლის მხრიდან შრომის უფლების შეზღუდვის მექანიზმით იძულებული გახდნენ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის სადავო ნორმების საფუძველზე განვერიანებულიყვნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მატარებელ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ამასთან დაკავშირებით მოსარჩელები მიუთითებენ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება. ამდენად, გასაჩივრებული ნორმები, მოსარჩელეთა აზრით, ზღუდავენ გაერთიანების თავისუფლებას – თუკი ასოციაციაში არ განვერიანდებიან, მათ ერთმევათ საადვოკატო საქმიანობის უფლება, ანუ იმის შესაძლებლობა, რომ მოიპოვონ საარსებო სახსრები.

მოსარჩელის – იმავდროულად მოსარჩელეთა წარმომადგენლის ლ. ჩხეიძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, იგი მაინც მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებაა.

მოსარჩელები მიუთითებენ, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. ადვოკატთა ასოციაცია კი, მოსარჩელეთა აზრით, უნდა შეიქმნას პირთა ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე და არა იძულებით, სხვა სახის უფლებათა შემღუფთვით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქმნება არა თავისუფალი ნების გამოვლენის, არამედ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე იმპერატიული მოთხოვნით.

მოსარჩელეთა განმარტებით, მათ ერთმევათ უფლება დამოუკიდებლად შექმნან ალტერნატიული ადვოკატთა ასოციაცია, რომლის უფლებამოსილება ცნობილი იქნება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. გაერთიანების თავისუფლებასთან დაკავშირებით ისინი მიუთითებენ „ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციაზე“ (მუხ.11), საერთაშორისო პაქტზე „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (მუხ.22), „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე“ (მუხ.20) და „ძირითად პრინციპებზე ადვოკატთა როლის შესახებ“ (პუნქტ. 23-24).

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები მოითხოვენ არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონის (ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვები – „და განვერიანებულება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ და (ბ) მე-20 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები – „საჯარო სამართლის“.

მოპასუხის – საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირეს სასარჩელო მოთხოვნას. მათი სიტყვით, სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებას. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს, პროფესიული ეთიკის ნორმებს და კლიენტის უფლებების დაცვით ემსახურება აგრეთვე საჯარო ინტერესს. მოპასუხის აზრით, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს სახელმწიფოს არა აქვს უფლება შესაბამის ორგანიზაციებს საკანონმდებლო აქტით მინიჭოს როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის სტატუსის მქონე ასოციაციაში სავალდებულო განვერიანების მოთხოვნის პირობა არც ერთ შემთხვევაში არ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებას. მოპასუხე

მხარის წარმომადგენლები ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ განხილული საქმეების მაგალითზე მიუთითებენ – დათქმა იმის თაობაზე, რომ პირი განწევრიანდეს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული სპეციალური კანონის საფუძველზე დაფუძნებულ გაერთიანებაში, „წარმომადგენს საჯარო-სამართლებრივ ინსტიტუტს და პრიორიტეტად ისახავს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას საკუთარი წევრების ინტერესების დაცვასთან შედარებით“, რაც არ ნიშნავს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ“ 1950 წლის 4 ნოემბრის რომის კონვენციით გარანტირებული საზოგადოებრივი გაერთიანებების თავისუფლების უფლების დარღვევას.

მოპასუხე მხარის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არ არის საზოგადოებრივი გაერთიანება. ის წარმოადგენს კანონის საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს საჯარო ფუნქციებს. ამდენად მასზე არ ვრცელდება კერძო ასოციაციების ისეთი პრინციპი, როგორიცაა ნებაყოფლობითობა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებაზე სახელმწიფოს უფლება გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლიდან.

კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული უფლება, მოპასუხის აზრით, გარდაიქმნება მოვალეობად. ადვოკატთა ასოციაციის შექმნით სახელმწიფოს განზრახული ჰქონდა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. საადვოკატო საქმიანობას, მისი არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჯარო როლი აკისრია საქართველოს სამართლებრივ სისტემაში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ „ადვოკატის მიერ დასაცავი პირის უფლებები და ინტერესები კონსტიტუციისა და საერთაშორისო დაცვის რანგშია აყვანილი“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარის წარმომადგენლები სასამართლო კოლეგიას თხოვენ არ დააკმაყოფილოს კონსტიტუციური სარჩელი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

მონმის – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის კახა ასლანიშვილის აზრით, სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებას. იგი განმარტავს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მხოლოდ ასეთი ფორმა იძლევა საშუალებას ადვოკატთა ასოციაციამ განახორციელოს ნაკისრი მიზნები, როგორიცაა ადვოკატთა საკვალიფიკაციო მომსახურების ჩატარება და ეთიკის კომისიის მეშვეობით ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობა. მონმე მიუთითებს, რომ ადვოკატთა ასოციაციის შექმნით ადვოკატთა შეზღუდვა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით არის განპირობებული, რათა არ იყოს ამ სფეროში ქაოსი და უნესრიგობა.

მონმე – ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის საადვოკატო ბიუროს უფროსი ოთარ ბერიშვილი მხარს უჭერს კონსტიტუციურ სარჩელს. იგი განმარტავს, რომ დიდი ხანია ეწევა საადვოკატო საქმიანობას და მიზანშეწონილად არ თვლის ადვოკატთა ასოციაციაში გაერთიანებას, ვინაიდან ადვოკატი თავისუფალი პროფესიის ადამიანია და დაუშვებელია მასზე გარკვეული ზენოლის მოხდენა, თუნდაც ადვოკატთა ასოციაციაში იძულებით განუერთიანების სახით. ადვოკატთა ასოციაცია უნდა იყოს ნებაყოფლობითი გაერთიანება და მასში ზენოლის ნიშნები არ უნდა არსებობდეს. დღეს არსებული სიტუაცია უნდა მოწესრიგდეს, მაგრამ არა იმ მეთოდით, რომელსაც გვთავაზობენ. მონმის განმარტებით, საადვოკატო ბიუროში შექმნილია კომისია, რომელიც ატარებს ტესტირებასა და გასაუბრებას ახალი წევრების მისაღებად. ამგვარად ბიურო თავად განსაზღვრავს წევრობის კანდიდატის კვალიფიკაციის დონეს, ხოლო ადვოკატები, თავის მხრივ, განუერთიანებული არიან ჯერ კიდევ მოქმედ ადვოკატთა კოლეგიაში, რომელიც საზოგადოებრივ გაერთიანებას წარმოადგენს.

სპეციალისტის – ადვოკატ როინ მიგრიაულის აზრით, გასაჩივრებულნი ნორმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებას. მისი აზრით, ადვოკატი სასამართლო ხელისუფლებასთან ერთად მონაწილეობს მართლმსაჯულების განხორციელებაში, თავისი კერძო საქმიანობით – „კერძო ინიციატივით“ ახორციელებს როგორც კლიენტის კერძო ინტერესს, ისე სახელმწიფო ინტერესს. ამდენად, ადვოკატი არის მართლმსაჯულების ერთ-ერთი მონაწილე და შემოქმედი. შესაბამისად, კანონმდებელს უფლება აქვს უფრო მეტი სტანდარტები დაუწესოს ადვოკატს, კერძოდ, მოსთხოვოს საჯარო ფუნქციის მატარებელ ორგანიზაციაში – ადვოკატთა ასოციაციაში გაერთიანება. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას გააჩნია საჯარო ხასიათის ფუნქციები, რომელთა განხორციელებაც მხოლოდ სახელმწიფოს შეეძლო. ამდენად, ადვოკატთა ასოციაცია წარმოადგენს კანონის საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და მასზე არ ვრცელდება ნებაყოფლობითობის პრინციპი. ადვოკატის სტატუსის მინიჭება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფუნქცია უნდა იყოს. საადვოკატო საქმიანობაზე უნდა არსებობდეს სახელმწიფო ზედამხედველობა. სპეციალისტი ასევე განმარტავს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არ არის საზოგადოებრივი გაერთიანება და იგი არ უნდა იქნეს გაიგივებული იმ ასოციაციებთან, რომელთა საქმიანობაც რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლით. ადვოკატთა ასოციაციაში გაერთიანება არ ართმევს ადვოკატებს უფლებას შექმნან საერთო ინტერესების მატარებელი საზოგადოებრივი გაერთიანებები. სპეციალისტი პარალელს ავლებს გერმანიისა და ავსტრიის კანონმდებლობასთან, სადაც ადვოკატთა პალატები შექმნილია საჯარო-სამართლებრივი კორპორაციების სახით.

სპეციალისტი – ადვოკატი ქეთევან ქვარცხავა მხარს უჭერს კონსტიტუციურ სარჩელს და განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის დეფინიცია ანიჭებს ინდივიდებს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლებას. ამას უნდა მიეცეს ფართო ინტერპრეტაცია და განიმარტოს, როგორც უფლება (თავისუფლება) ინდივიდებისა – არ გაერთიანდნენ საზოგადოებრივ გაერთიანებებსა თუ პროფესიულ კავშირებში. ეს მოსაზრება გამყარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-20 მუხლით, რომელიც ადგენს, რომ „არავინ შეიძლება აიძულონ შევიდეს რაიმე ასოციაციაში“. ამდენად, საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო ნორმები ცალსახად კრძალავს ინდივიდების ნებისმიერ იძულებას – შევიდეს რაიმე ასოციაციაში. ასოციაცია ფართო ცნებაა და მოიაზრებს ნებისმიერ საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომელიც პირთა წევრობას ეფუძნება. სპეციალისტის აზრით, უნდა გავიზიაროთ საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო აქტების არსი, რომელთა უპირატესი მიზანია აკრძალონ ძალადობა ადამიანის ნებაზე. დაუშვებელი და სახიფათოც კია ადვოკატთა ისეთი ასოციაციის შექმნა, რომელიც იურიდიული პროფესიის მიმდევარ ყველა პირს გააერთიანებს, ვინაიდან მან შეიძლება არ აირჩიოს ის პოლიტიკა, რომელიც ადამიანის დაცვას უზრუნველყოფს. სადავო ნორმების შეუთავსებლობა ადამიანის უფლებებთან მით უფრო მძაფრდება, რომ ადვოკატთა ასოციაცია ყალიბდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით და კანონის თანახმად, ამგვარი იურიდიული პირი თავის საქმიანობას სახელმწიფო კონტროლით ახორციელებს. სახელმწიფო კონტროლი კი თავისუფალი პროფესიის ადამიანებზე დაუშვებელია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ საქმის არსებითად განხილვის საფუძველზე გააანალიზა კონსტიტუციური სარჩელის მონაცემები, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეთა გამოსვლები, მოწმეთა ჩვენებები, სპეციალისტების დასკვნები, საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებები და ამის შედეგად დაადგინა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებანი.

მოსარჩელებს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით მიუღებლად მიაჩნიათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონის ის ნორმები, რომელთა მიხედვითაც (1) ადვოკატის სტატუსის მოსაპოვებლად აუცილებელია განვერიანება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში (პირველი მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვები – „და განვერიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“) და (2) საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (მე-20 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები – „საჯარო სამართლის“). მოსარჩელები თვლიან, რომ სადავო ნორმებით მათ ეზღუდებათ გაერთიანების კონსტიტუციური უფლება. ისინი სადავოდ

ხდიან ადვოკატთა ასოციაციის სამართლებრივ სტატუსს და მოითხოვენ, რომ იგი იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი გაერთიანების სახით.

სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოსარჩელე მხარის მოსაზრებებს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობის თაობაზე.

1. სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, მართალია, წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მაგრამ იგი მაინც, მიუხედავად თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, არის მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის იურიდიული ბუნება, მისი სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია საკანონმდებლო წესით – ამჟამად მოქმედი (2001 წლის 20 ივნისის) კანონით „ადვოკატთა შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ძალით, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის პირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი“. ადვოკატთა ასოციაციის ამ სტატუსს, მოსარჩელე მხარის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, ვერანაირად ვერ შეცვლის 1995 წლის კონსტიტუციამდე მიღებული, ან ძალადაკარგული კანონი „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ“ და, მით უფრო, დებულება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ“.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სამართლებრივი სტატუსი შესაბამება საჯარო სამართლის იურიდიული პირის დეფინიციას, რომელიც მოცემულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ 1999 წლის 28 მაისის კანონის მე-2 მუხლში: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას“.

რაც შეეხება საზოგადოებრივ გაერთიანებას, მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მათში საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან განსხვავებით, წინა პლანზე წამოწეულია კერძო კოლექტიური ინტერესი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სოციალურ, შემოქმედებით, კულტურულ და სხვა სფეროებს. კერძო სამართლის იურიდიულ პირს უფლება

აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა (მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა გათვალისწინებული წესდებაში). საჯარო სამართლის იურიდიული პირი კი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონში ან მის დამფუძნებელ დოკუმენტში გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მკაცრი გამიჯვნა გააკეთა საჯარო და კერძო სამართლის გაერთიანებებს შორის და სწორედ ამის შემდეგ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა (სიგურდურ სიგუიონსონი ისლანდიის წინააღმდეგ).

მართალია, საქართველოს ადვოკატთა ზემოხსენებული ორგანიზაციის სახელწოდებაში ("საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია") ჩართულია ტერმინი "ასოციაცია", მაგრამ ეს სიტყვა, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის განმარტებით, გულისხმობს ნებაყოფლობით გაერთიანებას რაიმე საერთო მიზნის მისაღწევად (იანგი, ჯეიმსი და უებსტერი შეერთებული სამეფოს წინააღმდეგ). სასამართლო კოლეგია არსებითად ეთანხმება სპეციალისტ რ.მიგრიაულის აზრს, რომ „დასახელება ან სათაური ყოველთვის არ განსაზღვრავს საგნის შინაარსს. შესაბამისად, "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია" არ უნდა იქნას გაიგივებული იმ ასოციაციებთან (კავშირებთან), რომლებიც მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლით, ასევე – იმ ასოციაციებთან, რომლებიც აღიარებულია მოსარჩელეთა მიერ მოხმობილ საერთაშორისო პაქტებში. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შეიძლება ასევე წარმატებით დარქმეოდა "ადვოკატთა პალატა", "ადვოკატთა კორპუსი", "ადვოკატთა კოლეგია" და ა.შ".

ამგვარად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არ არის საზოგადოებრივი გაერთიანება. იგი კანონით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

2. იმის გამო, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მასზე არ ვრცელდება კერძო გაერთიანებისათვის დამახასიათებელი ნებაყოფლობითობის პრინციპი. ადვოკატის სტატუსის მისაღებად საჭიროა ასოციაციაში გაწევრიანება. მოსარჩელეებისათვის მიუღებელია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საჯარო-სამართლებრივი სტატუსი და მისთვის დამახასიათებელი სავალდებულო წევრობის პრინციპი, მაგრამ მათ იურიდიულად ანგარიშგასაწევი არგუმენტებით ვერ დაასაბუთეს, რომ შესაბამისი გაერთიანება აუცილებლად კერძო საწყისებზე უნდა იყოს მოწყობილი. სასამართლო კოლეგიის აზრით, არსებობს იმის მონაცემები, რომ სავალდებულო წევრობაზე დაფუძნებული ადვოკატთა გაერთიანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დასაშვები და მისაღებია.

სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე შეეხება ადვოკატურის ორგანიზაციის ფორმის საკითხს და კანონმდებლის შესაბამის არჩევანს. კანონმდებლის ნებაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ პროფესიის დაფუძნება – მისი ორგანიზაციის ფორმის არჩევა, რაც არ შეიძლება იყოს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით შეფასების საგანი.

დასაფუძნებელი ორგანიზაციის ფორმა, მისი მიზნებიდან გამომდინარე, უნდა იყოს მაქსიმალურად ეფექტური. ამასთან, მთავარია არ შეილახოს ადვოკატთა პროფესიის თვითრეგულირებისა და მართლმსაჯულების განხორციელების ფუძემდებლური პრინციპები. ამჯერად, კანონმდებელმა ჩათვალა, რომ ადვოკატურის მოწყობისათვის მიზანშეწონილია ის ფორმა, რომელიც წარმოდგენილია სადავო ნორმებში. სახელდობრ, ასეთ ფორმად მიჩნეულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. ადვოკატად ითვლება მხოლოდ ის პირი, რომელიც განეწიანებულია ამ ასოციაციაში.

აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ჩანს, განპირობებულია ადვოკატის პროფესიის მაღალი ფუნქციური დანიშნულებით, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ვლინდება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ადამიანის უფლებების დაცვა ადვოკატის უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ფუნქციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ მან გარანტირებული გახადოს დაცვის უფლება, რაც, ცხადია, გულისხმობს ადამიანის არამართო ადვოკატით უზრუნველყოფას, არამედ კვალიფიციური და ეფექტური დაცვის განხორციელებას. ყოველივე ეს განაპირობებს ადვოკატის საქმიანობის სახელისუფლებო ფუნქციებთან სიახლოვეს და ადვოკატურის საჯარო ორგანიზაციის ფორმის მიზანშეწონილობას. საადვოკატო საქმიანობა საჯარო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებად მიიჩნევა. ამასთან, ადვოკატურა სახელმწიფო მმართველობისაგან განცალკევებული ორგანიზაციაა და ამ სახით ახორციელებს თავის ფუნქციებს.

მაშასადამე, ადვოკატი ჩართულია საჯარო ამოცანის განხორციელებაში. იგი თავისი კერძო საქმიანობით მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასამართლო საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ადვოკატი ერთდროულად ემსახურება როგორც კლიენტის კერძო ინტერესს, ისე სახელმწიფო ინტერესს. სწორედ იმის გამო, რომ ადვოკატი გარკვეულწილად ახორციელებს საჯარო ფუნქციებს, კანონმდებელი მას, თავისუფალი პროფესიის სხვა პირებთან შედარებით, უფრო მაღალ სტანდარტებს უწესებს და მოითხოვს მის სავალდებულო განეწიანებას სპეციალურ პროფესიულ გაერთიანებაში. ანალოგიურია სახელმწიფოს დამოკიდებულება ნოტარიუსისადმი. "ნოტარიატის შესახებ" 1996 წლის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი

ითვალისწინებს ნოტარიუსების სავალდებულო წევრობას ნოტარიუსთა პალატაში.

სასამართლო კოლეგია მიუთითებს, რომ საქართველოში ადვოკატებისადმი ისეთივე (ანალოგიური) მიდგომაა, როგორიცაა, მაგალითად, გერმანიასა და ავსტრიაში. ამ ქვეყნებში არსებობს ადვოკატთა პალატები, რომლებიც შექმნილია საჯარო-სამართლებრივი კორპორაციების სახით. უფრო მეტიც, კერძოდ, გერმანიაში ადვოკატთა გაერთიანებები, შესაბამისად, ფედერალური და სამხარეო იუსტიციის ზედამხედველობას ექვემდებარებიან.

იძულებითი წევრობა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია იმით, რომ ეს გაერთიანება სახელმწიფომ ლეგიტიმური საჯარო ამოცანების შესასრულებლად დააარსა. მასში შერწყმულია კერძო და საჯარო ინტერესები, რომელთაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს ვერც სახელმწიფო და ვერც ცალკეული პიროვნება თავისი ინდივიდუალური ინიციატივით.

სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი არ მოიცავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, ვინაიდან იგი წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ გაერთიანებას და შესაბამისად ემყარება სავალდებულო წევრობის პრინციპს. კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტში კი მოიაზრება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია გაერთიანების ნებაყოფლობითობა. ასეთი მიდგომა ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. მთელ რიგ საქმეებზე სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის

გადაწყვეტილებების მიხედვით, პიროვნება შეიძლება ვალდებული იყოს გაერთიანდეს ცალკეულ ორგანიზაციებში იმ საფუძველზე, რომ ისინი არ არიან კონვენციის მე-11 მუხლით ნაგულისხმევი (ნებაყოფლობითი წევრობაზე დამყარებული) გაერთიანებები. ასეთი პროფესიული გაერთიანება არ წარმოადგენს ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. კერძოდ, საქმეში “ლე კონტი, ვან ლევენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ” სასამართლომ დაადგინა, რომ ბელგიაში ექიმებს შეიძლება დაეკისროთ ვალდებულება გაერთიანდნენ ბელგიის სამედიცინო ასოციაციაში. ასევე, კომისიამ მხარი დაუჭირა სავალდებულო წევრობას სხვადასხვა ორგანიზაციაში (მაგალითად, სტუდენტურ ორგანიზაციებში და ვეტერინარ ქირურგთა საბჭოში).

სადავო ნორმების შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ადვოკატურის ორგანიზაციის აღნიშნული ფორმა მოითხოვს ადვოკატთა საქმიანობისადმი და პროფესიული ეთიკის დაცვისადმი

საჯარო კონტროლს. ევროპულმა სასამართლომ სწორედ იმით გაამართლა ბელგიის სამედიცინო ასოციაციაში სავალდებულო წევრობა, რომ ამ ორგანიზაციის მიზანი იყო “სამედიცინო ეთიკისა და მისი წევრების პატივის, თავისუფლების, სანდოობისა და ღირსების დაცვა”. კომისიამ და სასამართლომ მიიჩნიეს, რომ ეს ორგანიზაცია ახდენდა მისი წევრების პროფესიული საქმიანობის მონიტორინგს და ამით ასრულებდა საჯარო-სამართლებრივ ფუნქციებს.

3. ადვოკატთა ასოციაციის შექმნის მიზნის თავისებურებამ თვით ორგანიზაციის არაორდინალური იურიდიული სტატუსი განაპირობა. ადვოკატის პროფესიის სპეციფიკის გათვალისწინებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია საჯარო სამართლის თავისებური – სახელმწიფო საგან დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით გამორჩეული იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბდა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სტატუსის შეფასებისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ მოქმედი კანონმდებლობა მას გამორიცხავს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლით დაწესებული სახელმწიფო კონტროლის სფეროდან. ამის თაობაზე პირდაპირი მითითება მოცემულია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-20 მუხლში. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია, რომ „ადვოკატთა ასოციაციაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი“. ამ მუხლის მიხედვით კი დაწესებულია მეტად მკაცრი სახელმწიფოებრივი კონტროლი. სახელდობრ:

- 1) საჯარო სამართლის იურიდიული პირი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას;
- 2) საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს კანონით ან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა;
- 3) სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრულია ადვოკატთა ასოციაციაში განწევრიანების პირობები და დადგენილია, რომ წევრად მიღებაზე უარი შეიძლება 1 თვის განმავლობაში გასაჩივრდეს

სასამართლოში. 38-ე მუხლის პირველი პუნქტის ძალით, „ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მასში ჩარევა დაუშვებელია“. მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები მისივე წესდებით განისაზღვრება. წესდებითაც დაუშვებლად არის მიჩნეული ასოციაციის წევრის უფლებამოსილებათა რაიმე სახით შეზღუდვა (მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი). განსაზღვრულია ასოციაციის მიზნები, როგორცაა, მაგალითად, ასოციაციისა და მის წევრთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ადვოკატის პროფესიული ღირსების დაცვა, ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, ასოციაციის წევრების სამართლებრივი და სოციალური ინტერესების დაცვა, უცხო ქვეყნების ადვოკატთა გაერთიანებებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება და მათთან მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა (იხ. ასოციაციის წესდება, მუხ.3).

4. „ადვოკატთა შესახებ“ კანონი იმის საშუალებასაც იძლევა, რომ საერთო ინტერესების საფუძველზე შეიქმნას დამოუკიდებელი საადვოკატო გაერთიანებები. კანონის მე-18 მუხლით („საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა“), „ადვოკატს უფლება აქვს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად შექმნას საადვოკატო ბიურო (ოფისი, კანტორა, იურიდიული ფირმა და ა. შ.) ამხანაგობის ან იმ სამეწარმეო იურიდიული პირის სახით, რომელშიც არანაკლებ 1 პარტნიორის პასუხისმგებლობა არ არის შემზღუდული“ (პუნქტ.1); „საადვოკატო ბიუროს ორგანიზებისა და მუშაობის წესს და სტრუქტურას განსაზღვრავს ბიურო“ (პუნქტ.3).

ამგვარად, მოსარჩევეებს ორგანიზაციის მოცემული ფორმის შიგნითაც აქვთ საერთო ინტერესებით გაერთიანების შესაძლებლობა დამოუკიდებელი საადვოკატო ბიუროების შექმნის საფუძველზე. აქედან ჩანს, რომ საჯარო-სამართლებრივ ორგანიზაციაში სავალდებულო განვითარების შედეგად ადვოკატებს არ ერთმევათ საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში გაერთიანების კონსტიტუციური უფლება.

საქმეებში, სადაც ევროპულმა სასამართლომ სავალდებულო წევრობა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევად არ მიიჩნია, იქვე განმარტა, რომ „საჯარო სამართლის ორგანიზაციის შექმნა არ უნდა განხორციელდეს კერძო უფლების ხარჯზე, ანუ ამ პროფესიის ადამიანებს უნდა შეეძლოთ სხვა გაერთიანების შექმნა თავიანთი ინტერესებისა და ხელისუფლების მიერ შექმნილი გაერთიანებისაგან განსხვავებული პერსპექტივების უზრუნველსაყოფად“. საქმეში „ლე კონტი, ვან ლევენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ“ სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მიუხედავად მედიცინის მუშაკების ვალდებულებისა – ყოფილიყვნენ საჯარო

გაერთიანების წევრები, ისინი ამავე დროს სარგებლობდნენ სრული თავისუფლებით შეექმნათ კერძო გაერთიანება ან გაერთიანებულიყვნენ მასში თავისი ინტერესების დასაცავად. ბელგიაში არსებობდა ისეთი გაერთიანებები, რომლებიც შექმნილი იყო მედიცინის მუშაკთა ინტერესების დასაცავად. ამდენად, მოცემულ საქმეში კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

მაშასადამე, სადავო ნორმების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ადვოკატებს, როგორც გარკვეული პროფესიის მქონე პირებს, აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გაერთიანების უფლებით. სპეციალისტ რ. მიგრიაულის აზრითაც, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, როგორც საჯარო ფუნქციის მატარებელ ორგანიზაციაში განწევრიანება არ ართმევს ადვოკატებს უფლებას, შექმნან კოლექტიური ინტერესის მატარებელი საზოგადოებრივი გაერთიანებები, მაგალითად ადვოკატთა კლუბები“.

ანალოგიურად არის აგრეთვე მოწესრიგებული ნოტარიუსების საკითხი. „ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ნოტარიუსებს, რომელთა წევრობაც ნოტარიუსთა პალატაში სავალდებულოა, უფლებას ანიჭებს ნებაყოფლობით სანყისებზე განწევრიანდნენ ნოტარიუსთა სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებში.

5. ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა მყარ საფუძველს ითქვას, რომ საქმის არსებითად განხილვის შედეგად არ დასტურდება მოსარჩელეთა განცხადება სადავო ნორმებით საზოგადოებრივ გაერთიანებათა შექმნისა და მათში გაერთიანების კონსტიტუციური უფლების დარღვევის თაობაზე. როგორც ირკვევა, კონსტიტუციის ფარგლებში სახელმწიფოს შეუძლია კანონით შექმნას ადვოკატთა გაერთიანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით – სავალდებულო წევრობის დაწესებით და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მის საქმიანობაზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლის გაუვრცელებლობის პირობით.

ამასთან ერთად, აღნიშნული გარემოება, სასამართლო კოლეგიის აზრით, არ გამოირიცხავს იმის ლეგიტიმურ შესაძლებლობას, რომ მომავალში, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფომ როგორც ქართული გამოცდილების, ისე შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებითა და სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგებით, ადვოკატთა გაერთიანება მოაწყოს სხვაგვარ ორგანიზაციულ-სამართლებრივ სანყისებზეც, კერძოდ კი – საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ფარგლებში.

ხელმძღვანელობს რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით, „საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით, 43-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-7 და მე-8 პუნქტებით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 32-ე და 33-ე მუხლებით,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღდგენს:

1. უარყოფილი იქნეს საქართველოს მოქალაქეების _ გიორგი ვაჭარაძის, არტურ კაზაროვის, ლევან ჩხეიძის, გიორგი ბერიშვილის, შორენა ოსკოპელისა და ნინო არჩვაძის 323-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ იმის თაობაზე, რომ კონსტიტუცია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონის
(ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვები _ „და განევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ და (ბ) მე-20 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები – „საჯარო სამართლის“;
2. ეს გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან;
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება;
4. ამ გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს;
5. გადაწყვეტილება 7 დღის ვადაში გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

ბესარიონ ზოიძე (სხდომის თავმჯდომარე)

ვახტანგ გვარამია

იაკობ ფუტყარაძე (მომხსენებელი მოსამართლე)

ნიკოლოზ შაშკინი



საქართველოს სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

პირველი კოლეგია გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№1/5/323

თბილისი, 2005 წლის 30 ნოემბერი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ბესარიონ ზოიძის (სხდომის თავმჯდომარე), ვახტანგ გვარამიას, იაკობ ფუტყარაძისა (მომხსენებელი მოსამართლე) და ნიკოლოზ შაშკინის შემადგენლობით (სხდომის მდივანი დარეჯან ჩალიგავა), –

2005 წლის 3, 8, 9, 11 და 15 ნოემბრის ღია სასამართლო სხდომებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ მოსარჩელები – გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი, ნინო არჩვაძე და ლევან ჩხეიძე (იმავედროულად – გ.ბერიშვილის გარდა სხვა მოსარჩელეთა წარმომადგენელი), მოპასუხის – საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებში წარმომადგენლობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი მარინე რობაქიძე და მოწვეული სპეციალისტი იოსებ ღომაშვილი, მოწმეები – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა ასლანიშვილი და საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის

თბილისის საბურთალოს საადვოკატო ბიუროს უფროსი



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში" და (ბ) მე-20 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები – „საჯარო სამართლის“;

2. ეს გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან;

3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება;

4. ამ გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს;

5. გადაწყვეტილება 7 დღის ვადაში გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.



ბესარიონ ზოიძე (სხდომის თავმჯდომარე)
ვახტანგ გვარამია
იაკობ ფუტყარაძე (მომხსენებელი მოსამართლე)
ნიკოლოზ შაშკინი

ასლი დედანთან სწორია:
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მდივანი

ი. თყეშელაშვილი



ფუტყარაძე

www.coe.int



ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მონივნე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრაცაა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE